



საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა

სადოქტორო პროგრამა: საზოგადოებრივი ჯანდაცვა

არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის გავლენა ახალგაზრდა მომხმარებელთა
აღქმაზე და ამ პროდუქტების კონტროლის პოლიტიკის ანალიზი საქართველოში

ავტორი: თამარ აბულაძე

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ბახტურიძე
თანახელმძღვანელი: ლელა სტურუა

თბილისი

2026

საავტორო უფლებები:

სადისერტაციო ნაშრომი „არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის გავლენა ახალგაზრდა მომხმარებელთა აღქმაზე და ამ პროდუქტების კონტროლის პოლიტიკის ანალიზი საქართველოში“ წარმოადგენს ავტორის ინტელექტუალურ საკუთრებას.

ყველა უფლება დაცულია.

© 2025 თამარ აბულაძე

სამეცნიერო გარემო

წინამდებარე კვლევა განხორციელდა საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.

პროგრამაზე სწავლა და კვლევითი საქმიანობა მხარდაჭერილი იყო ამერიკის შეერთებული შტატების გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის მეცნიერებების ეროვნული ინსტიტუტის (National Institute of Environmental Health Sciences) და ფოგარტის საერთაშორისო ცენტრის (Fogarty International Center) მიერ, ემორი-საქართველოს სუფთა ჰაერის კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის (The Clean Air Research and Education (CARE) Program, 49777-NCDC) ფარგლებში. აღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა ერთის მხრივ, ემორის უნივერსიტეტის (Emory University, Atlanta, Georgia, United States) და მეორეს მხრივ, სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს შორის თანამშრომლობით, საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. ზემოაღნიშნული მხარდაჭერა მოიცავდა სადოქტორო პროგრამის სწავლის საფასურის, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობისა და კვლევითი აქტივობების დაფინანსებას, სტიპენდიას, ასევე, თანახელმძღვანელობას ამერიკელი ექსპერტების მხრიდან და ემორის უნივერსიტეტის სასწავლო კურსების გავლას, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აკადემიური მომზადებისთვის. კვლევაზე მუშაობის პროცესში, ავტორს მიეცა შესაძლებლობა თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ევროპული მიდგომები შეესწავლა პარიზის სიტი უნივერსიტეტში (Université Paris Cité) პარიზის გულ-სისხლძარღვთა კვლევითი ცენტრთან (Inserm PARCC) თანამშრომლობით, ამავე უნივერსიტეტის პროფესორის, დავიდ სმადჯას (David Smadja) ხელმძღვანელობით, ორთვიანი კვლევითი ვიზიტის ფარგლებში.

კვლევითი ვიზიტი ნაწილობრივ დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ფრანგულ-ქართული უნივერსიტეტის ერთობლივი გრანტით (UFG-25-016, 2025), რომელიც ავტორის მიერ მოპოვებული იქნა კონკურსის საფუძველზე. ასევე, კვლევითი ვიზიტის დაფინანსების ნაწილი გაიცა საქართველოს უნივერსიტეტის მიერ.



მიძღვნა

ვუძღვნი ჩემი არსებული და მომავალი ცხოვრების მოტივაციას - ჩემს შვილებს, რომლებმაც შესძინეს ღირებული მნიშვნელობა ჩემს არსებობას ამ სამყაროში; და ჩემი შეუპოვარი ცხოვრების დასაბამს - მამას, რომელთანაც არ მომეცა შესაძლებლობა გამეზიარებინა ჩემი ზრდასრული ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები.

მადლიერება

ნაშრომის წერას რომ შევუდექი, ჩემმა უფროსმა კოლეგამ მითხრა - დასასრულს მიხვდები, ამ პროცესის მთავარი შენაძენი არა აკადემიური ხარისხი, არამედ გამოცდილება და ადამიანებიაო. მართლაც ასეა.

ამ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილების კარის შეღების შესაძლებლობისთვის, პირველ რიგში, უდიდეს მადლობას ვუხდის პროფესორ ლელა სტურუას, რომელმაც ირწმუნა ჩემი შესაძლებლობები და შემომთავაზა პროგრამაში მონაწილეობა. იგი მიწევდა თანამენტორობას ჩემი თემის ხელმძღვანელთან ერთად, თუმცა ჩემთვის მისი როლი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკადემიური მენტორობით. სწორედ მისმა განსაკუთრებულმა მხარდაჭერამ და ნდობამ მომცა მოტივაცია, რომ განსხვავებული საბაზისო განათლების მიუხედავად, თავდაჯერებულად გამეგლო ეს გზა. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემი თემის ხელმძღვანელს და მთავრ მენტორს - პროფესორ გიორგი ბახტურიძეს. დარგის ექსპერტის მენტორობა თავისთავად დიდი პრივილეგიაა, თუმცა ამ გზაზე ჩემთვის განსაკუთრებით ფასეული იყო მისი პირონული მხარდაჭერა და დამოკიდებულება. იგი არ მაქცევდა საკუთარი ხედვის ჩარჩოებში, არამედ მამლევდა აკადემიურ თავისუფლებას, რათა მესწავლა უკეთ და ზუსტად მაშინ მიზიარებდა პროფესიულ და მეგობრულ რჩევას, როცა ეს ნამდვილად იყო საჭირო. განსაკუთრებით დასაფასებელია, რომ მისგან ვგრძნობდი კოლეგიალურ დამოკიდებულებას, რომელსაც გულწრფელად ახარებს ჩემი თითოეული წარმატება. პროფესორი გიორგი ბახტურიძის წვლილი ასევე მნიშვნელოვანია როგორც მთლიანი კვლევის განხორციელებაში, ასევე, ჩემი კვლევითი და სამეცნიერო სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში.

კვლევაზე მუშაობის პერიოდში ვერ ვიქნებოდი საკმარისად გაბედული, რომ არა პროფესორი კრალა ბერგი (Carla Berg). იგი იყო ჩემი მენტორი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მხრიდან და მისი რჩევები ძალიან დამეხმარა რაოდენობრივი კვლევის დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების ანალიზის დროს. განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებს მისი მუშაობის სტილი. იგი მამლევდა საშუალებას, პირველ რიგში, საკუთარი ძალები მომესინჯა, შემდეგ კი, თითოეულ ცხრილზე მისი დეტალური შენიშვნებით მეხმარებოდა ნაშრომის მაღალი დონის ინგლისურენოვან აკადემიურ ტექსტად გარდაქმნაში.

ასევე, მადლობას ვუხდით ემორის უნივერსიტეტის პროფესორს, უილიამ მაიკლ ქაუდლს (William Michael Caudle), რომელიც პროფესორ ბერგთან ერთად ხელმძღვანელობდა კვლევით-საგანმანათლებლო პროგრამას (CARE). მისი კეთილგანწყობა ჩემთვის იყო სტიმული, რომ ყოველ მომდევნო შეხვედრაზე გამეზიარებინა მიღწეული პროგრესი, ხოლო მისმა სასწავლო კურსმა უცხოური სწავლების მნიშვნელოვანი გამოცდილება შემძინა.

მინდა მადლიერება გამოვხატო თავად ემორი-საქართველოს სუფთა ჰაერის კვლევითი-საგანმანათლებლო პროგრამის (The Clean Air Research and Education (CARE) Program) და მისი მთლიანი გუნდის, როგორც ამერიკული, ისე ქართული მხარის მიმართ. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებულმა სრულმა დაფინანსებამ და სტიპენდიამ მომცა უნიკალური შესაძლებლობა, თავი მეგრძნო მაღალი დონის საერთაშორისო სადოქტორო გარემოში, სადაც მკვლევარის შრომა ფინანსური ბარიერებისგან თავისუფალი და დაფასებულია.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით საფრანგეთის ჯანდაცვის მინისტრის მრჩეველსა და ევროკომისიის სოციალური დაცვის (TAIEX) ექსპერტს, ქალბატონ ანნე ბეინიერს (Anne Beinier), მისი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. ქალბატონმა ბეინიერმა დამაკავშირა საფრანგეთში თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის განხორციელებაში ჩართულ მაღალი დონის პროფესიონალებთან, რამაც საშუალება მომცა ევროკავშირისა და საფრანგეთის მიდგომებზე საჭირო ინფორმაცია უშუალოდ პროცესის მონაწილეებისგან მიმეღო. ამასთანავე, უდიდესი მადლობა მინდა გადავუხადო მას გაწეული პიროვნული დახმარებისთვის, რომლის გარეშეც ჩემი კვლევის პარიზში განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა.

ამასთანავე, მადლობას ვუხდით ჩემს მენტორს პარიზის სიტი უნივერსიტეტში (Université Paris Cité) - პროფესორ დავიდ სმადჯას (David Smadja), რომელთან თანამშრომლობამ სრულიად ახალი კუთხით დამანახა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის თანამედროვე გამოწვევები.

მადლობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და ფრანგულ-ქართულ უნივერსიტეტს ფინანსური მხარდაჭერისთვის. სწორედ მათ მიერ გამოცხადებულმა კონკურსმა გააჩინა იდეა, რომ კვლევის გასაღრმავებლად ბედი მეცადა საფრანგეთის უნივერსიტეტში. მიღებული საგრანტო დაფინანსება იყო მთავარი სტიმული ამ ნაბიჯის გადასადგმელად.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავ საქართველოს უნივერსიტეტის გუნდის მიმართ:

მადლობას ვუხდით ქალბატონ თინა ბერუჩაშვილს, CARE პროგრამის კოორდინატორსა და ჩემი სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელს, რომელიც ქმნიდა მხარდამჭერ, სტუდენტზე ორიენტირებულ გარემოს. მისი ადამიანობა ასევე იმსახურებს ცალკე აღნიშვნას;

მადლობას ვუხდით ბატონ ამირან გამყრელიძეს, რომლის გულწრფელი გულშემატკივრობა და წახალისება ჩემთვის დიდი სტიმული იყო;

ასევე, მადლობას ვუხდით პროფესორ ლელა შენგელიას, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში მხარდაჭერისთვის;

დიდი მადლობა ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორს - ქალბატონ თამარ ლობჯანიძეს, მაღალი სტანდარტის აკადემიური გარემოს უზრუნველყოფისთვის;

მადლობა სადოქტორო პროგრამის ყველა პროფესორს, რომელთა ლექციებმაც მომცა ცოდნა, და ადმინისტრაციის თითოეულ თანამშრომელს, რომლებიც ინფორმაციის დროული მოწოდებით, მეხმარებოდნენ სწორად დამეგეგმა მთელი პროცესი.

მინდა მადლობა გადავუხადო სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შეძენილ მეგობრებსაც, რომლებიც გულწრფელად მგულშემატკივრობდნენ და მათთან პროგრესის ურთიერთგაზიარება იყო სასიამოვნო.

ასევე, მადლობას ვუხდით დედას, რომლის ურყევი სიმშვიდე და უპირობო თანადგომა ჩემი ემოციური წონასწორობის მყარი საფუძველია.

მადლობა ჩემს პატარა შვილებს: ილიას და ლიზას, რომელთა სიტკბო მამხნევებდა რთულ მომენტებში, და დიდი მადლობა ჩემს მთავარ საყრდენს - ჩემს მეუღლეს, რომელთან ერთად ყველა გამოწვევასთან გამკლავება უფრო მარტივია.

მოკლე მიმოხილვა

საკვლევი თემა: თამბაქოს მოხმარება რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად გლობალურად და საქართველოში. ამ გამოწვევის დამატებითი სირთულეა თამბაქოს ინდუსტრიის განვითარება და თამბაქოს ისეთი ახალი ნაწარმის გაჩენა ბაზარზე, როგორცაა ელექტრონული სიგარეტები და გასახურებელი თამბაქო (HTPs). არომატიზატორების მრავალფეროვნებისა და მიზანმიმართული მარკეტინგული კამპანიების გზით, თამბაქოს ინდუსტრია ცდილობს გაზარდოს ამ პროდუქტებისადმი მიზიდველობა, განსაკუთრებით ახალგაზრდებში (Truth Initiative/სიმართლის ინიციატივა, 2021). საქართველოში 15-16 წლის მოსწავლეებში ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი (ბოლო 30 დღის განმავლობაში) მოხმარება 2019 წლიდან 2024 წლამდე გაორმაგდა (2019 წელს 7%, 2024 წელს 14% - ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევა (ESPAD) 2019, 2024). მიუხედავად ამისა, საქართველოში შეზღუდულია როგორც ემპირიული მტკიცებულებები ახალგაზრდა მოხმარებელთა აღქმაზე არომატიზატორების გავლენის შესახებ, ისე თამბაქოს კონტროლის არსებული პოლიტიკის სისტემური ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით. მიზანი: კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ აღიქვამენ არომატიზირებულ თამბაქოს ახალ ნაწარმს (ელექტრონული სიგარეტი და HTPs) 18–25 წლის ახალგაზრდები საქართველოში და შეაფასოს საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა ამ ნაწარმის კონტროლის კუთხით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (ჯანმო) და ევროკავშირის მიდგომებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

მეთოდოლოგია: კვლევა ორი კომპონენტისგან შედგებოდა. პირველი, რაოდენობრივი კომპონენტი (N=400) წარმოადგენდა ჯვარედინ-სექციურ ონლაინ გამოკითხვას, რომელიც 2024 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით ჩატარდა 18–25 წლის ახალგაზრდებში სოციალური ქსელების (Facebook, Instagram) საშუალებით. მონაცემები გაანალიზდა IBM SPSS Statistics-ის (ვერსია 23) გამოყენებით, აღწერითი სტატისტიკის, ბივარიაციული ანალიზისა (χ^2) და მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის მოდელების მეშვეობით. კვლევის მეორე ნაწილი მოიცავდა პოლიტიკის ხარისხობრივ ანალიზს (Gap Analysis), რა პროცესშიც, საქართველოს ეროვნული კანონმდებლობა შედარებული იქნა ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციისა და ევროკავშირის თამბაქოს პროდუქტების დირექტივის (TPD) მოთხოვნებთან.

შედეგები: რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ რესპონდენტთა 49.8% თამბაქოს რომელიმე ნაწარმის ამჟამინდელი (ბოლო 30 დღის განმავლობაში) მომხმარებელია, 25% მოიხმარს ელექტრონულ სიგარეტს, მათგან 22.8% კი არომატიზირებულ ვერსიას. არომატიზატორი დასახელდა მოხმარების მთავარ მიზეზად ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელ მომხმარებელთა 33%-ში და მომავალი მოხმარების მთავარ მოტივატორად არამომხმარებელთა 19.3%-ში. ლოგისტიკურმა რეგრესიამ აჩვენა, რომ არომატიზირებული პროდუქტების „უფრო მეტად მიმჯაჭველად“ აღქმა არაარომატიზირებულთან შედარებით, 2.78-ჯერ ზრდიდა ელექტრონული სიგარეტის მიმდინარე მოხმარების შანსს (aOR=2.78, 95% CI: 1.06–7.28). ასევე, ქალებს მამაკაცებთან შედარებით სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი შანსი ჰქონდათ, ყოფილიყვნენ ელექტრონული სიგარეტის მომხმარებლები (aOR=1.81, 95% CI: 1.10–2.98). რესპონდენტთა უმრავლესობა (51.2%-51.5%) უჭერს მხარს არომატიზატორების რეგულირებას თამბაქოს ნაწარმში. პოლიტიკის ანალიზმა გამოავლინა არსებითი ნორმატიული ხარვეზები: საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს დამახასიათებელ არომატებს, არ არეგულირებს უნიკოტინო ელექტრონულ სიგარეტებს, არ ადგენს პიქტოგრამის შემცველ სამედიცინო გაფრთხილებებს HTPs-სთვის და შეფუთვაზე დასაბრუნებლად არც ერთ სამედიცინო გაფრთხილებას ელექტრონული სიგარეტისთვის. ასევე, არ ფუნქციონირებს ბაზრის ზედამხედველობის სისტემური მექანიზმები.

დისკუსია: კვლევის შედეგების სინთეზი აჩვენებს, რომ საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა არასაკმარისად პასუხობს ახალგაზრდების აღქმებსა და ქცევებს თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ. არომატიზატორები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ელექტრონული სიგარეტის მოხმარების ცდასა და დაწყებაში, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა მათ რეგულირებას არ ითვალისწინებს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება TPD-ის მოთხოვნებს. ტერმინთა ვიწრო სამართლებრივი განმარტებები, განსაკუთრებით ელექტრონული სიგარეტების და თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ, ქმნის ნორმატიულ სიცარიელეს და ინდუსტრიას კანონმდებლობის გვერდის ავლის საშუალებას აძლევს. მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს რეკლამის/პოპულარიზაციის ყოვლისმომცველი აკრძალვა ფორმალურად არსებობს, ონლაინ სივრცეში მისი გავრცელების მაღალი მაჩვენებელი (51.7%) აღსრულების სისუსტეზე მიუთითებს. ამას ემატება ბაზრის ზედამხედველობის გაუმართავი სისტემა, მათ შორის, ლაბორატორიული კონტროლისა და მონაცემთა ცენტრალიზებული ელექტრონული ბაზის არარსებობა.

დასკვნა: არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი საქართველოში წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელ გამოწვევას. თუ დროულად არ მოხდება ამ ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის გაძლიერება, მოსალოდნელია ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების ახალი ტალღა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, აუცილებელია ეროვნული კანონმდებლობის სრული ჰარმონიზაცია TPD-ის მოთხოვნებთან, განსაკუთრებით არომატიზატორებისა და დანამატების რეგულირების, ასევე, სტანდარტიზებული შეფუთვისა და სათანადო სამედიცინო გაფრთხილებების დანერგვის კუთხით როგორც HTPs-ის, ასევე ელექტრონული სიგარეტისთვის.

პუბლიკაციების ჩამონათვალი

Abuladze, T., Berg, C., Bakhturidze, G. & Sturua, L. (2025). Perceptions and use intentions of flavored versus unflavored tobacco products among young adults in Georgia: A cross-sectional study. *Tobacco Prevention & Cessation*, 11(October), 46.

<https://doi.org/10.18332/tpc/208691>.

Abuladze, T., Sturua, L., Bakhturidze, G., & Berg, C. J. (2023). Georgia's Tobacco Control Policy Regarding Novel Flavored Tobacco Products – A Comparison to Benchmarks from the European Context. *Health Policy, Economics and Sociology*, 7(2).

<https://heconomic.cu.edu.ge/index.php/healthecosoc/article/view/7309>.

Ghvinianidze, K., Bakhturidze, G., & Abuladze, T. (გამოქვეყნების პროცესშია). Gender Trends in Youth Tobacco and Nicotine Use in Georgia Across GYTS Rounds, 2014-2023. *European Journal of Public Health*.

ნაშრომის აპრობაცია

ნაშრომის აპრობაცია განხორციელდა კვლევის შედეგებზე დაყრდნობით მომზადებული აბსტრაქტისა და ზეპირი მოხსენების სახით.

მოხსენება გაკეთდა European Network for Smoking and Tobacco Prevention (ENSP)-ის თამბაქოს კონტროლის ევროპულ კონფერენციაზე (ENSP 2023, ფლორენცია, იტალია). კონფერენციის აბსტრაქტების კრებული მოიცავს შესაბამის პუბლიკაციას: Abuladze, T., Bakhturidze, G., & Sturua, L. (2023). Challenges of the flavored novel tobacco products control policy in Georgia. *Abstract Book of the 8th ENSP European Conference on Tobacco Control (ENSP 2023)* (გვ. 28).

ნაშრომში მოყვანილი ცხრილების ჩამონათვალი:

ცხრილი 1. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები (N=400)

ცხრილი 2. თამბაქოს ნაწარმის ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღე) და

არომატიზირებული ნაწარმის მოხმარების წილი (N=400)

ცხრილი 3. რესპონდენტთა შედარებითი აღქმები არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის

მახასიათებლებზე არაარომატიზირებულთან შედარებით: მიჯაჭვულობა, ზიანი

(საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის), სოციალური მისაღებობა და მომავალი

გამოყენების განზრახვა (N=400)

ცხრილი 4. ელექტრონული სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს (HTPs) ამჟამინდელი

მოხმარების მიზეზები ამ ნაწარმის ამჟამინდელ მოხმარებლებს შორის

ცხრილი 5. ელექტრონული სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს (HTPs) მომავალში

გასინჯვის ან გამოყენების მიზეზები ამ ნაწარმის არამომხმარებლებს შორის

ცხრილი 6: რესპონდენტთა მიერ თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ან/და პოპულარიზაციის

შემთხვევათა ნახვის პროცენტული წილი ბოლო 30 დღის განმავლობაში (N=400)

ცხრილი 7: თამბაქოს ნაწარმის რეკლამებში არომატიზატორებზე ხაზგასმის

პროცენტული განაწილება პროდუქტების მიხედვით

ცხრილი 8. რესპონდენტთა განზრახვა მომდევნო 12 თვის განმავლობაში

არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მოხმარების თაობაზე (N=400)

ცხრილი 9. რესპონდენტთა მოსაზრებები თამბაქოს ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის

ღონისძიებების შესახებ (N=400)

ცხრილი 12: ლოგისტიკური რეგრესია: ბოლო 30 დღის მოხმარების განმსაზღვრელი

ფაქტორები (ჯგუფი A)

ცხრილი 13. ლოგისტიკური რეგრესია: არომატიზირებული პროდუქტების მოხმარების

განმსაზღვრელი ფაქტორები ამჟამინდელ მოხმარებლებს შორის (ჯგუფი B)

ცხრილი 14. ლოგისტიკური რეგრესია: არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის

მოხმარების მაღალი განზრახვის განმსაზღვრელი ფაქტორები არამომხმარებლებში

(ჯგუფი C)

ცხრილი 16. თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის ეროვნული პოლიტიკის

რეკომენდაციები

ნაშრომში მოყვანილი ნახაზების ჩამონათვალი:

ნახაზი 1. განმარტებითი თანმიმდევრული დიზაინის სქემა

აბრევიატურების, ტერმინებისა და შემოკლებების ჩამონათვალი

ასოცირების შეთანხმება - ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება

აშშ - ამერიკის შეერთებული შტატები

თამბაქოს ახალი ნაწარმი - ელექტრონული სიგარეტი და გასახურებელი თამბაქოს ნაწარმი

სკოტკო - საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“

ჩარჩო კონვენცია - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენცია

ჯანმო - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

AI - Artificial intelligence

ANSES - National Agency of food safety, environment and work

COP - The Conference of the Parties

CDC - Centers for Disease Control and Prevention

EU-CEG - EU common entry gate

ENSP - European Network for Smoking and Tobacco Prevention

ENDS - Electronic Nicotine Delivery Systems

ENNDS - Electronic Non-Nicotine Delivery Systems

ESPAD - European School Survey Project on Alcohol and Other Drugs

FDA - Food and Drug Administration

GATS - Global Adult Tobacco Survey

GYTS - Global Youth Tobacco Survey

HTPs - Heated Tobacco Products

ISO - International Organization for Standardization

NCCDPHP - National Center for Chronic Disease Prevention and Health Promotion (US)

NRT - Nicotine replacement therapy

TPSAC - The Tobacco Products Scientific Advisory Committee

TPD - Directive 2014/40/EU of the European Parliament and of the Council of 3 April 2014 on the approximation of the laws, regulations and administrative provisions of the Member

States concerning the manufacture, presentation and sale of tobacco and related products
and repealing Directive 2001/37/EC

UNDP - United Nations Development Programme

შინაარსი	
სამეცნიერო გარემო.....	3
მიძღვნა.....	4
მადლიერება.....	5
მოკლე მიმოხილვა	8
პუბლიკაციების ჩამონათვალი	11
ნაშრომის აპრობაცია.....	11
ნაშრომში მოყვანილი ცხრილების ჩამონათვალი:.....	12
ნაშრომში მოყვანილი ნახაზების ჩამონათვალი:.....	13
აბრევიატურების, ტერმინებისა და შემოკლებების ჩამონათვალი	14
შესავალი	19
თამბაქოს მოხმარების ტვირთი.....	19
თამბაქოს ახალი ნაწარმი და მისი გავრცელება.....	19
რეგულირების ჩარჩო.....	20
კვლევის დასაბუთება.....	21
კვლევის ჰიპოთეზა.....	22
კვლევის მიზანი და ამოცანები.....	22
კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია	22
კვლევის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა.....	23
ნაშრომის სტრუქტურა.....	23
თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი თემის შესახებ.....	24
1.1. რა მოიაზრება თამბაქოს ნაწარმში?	24
1.2. თამბაქოს გავლენა გლობალურად და საქართველოში.....	24
1.3. თამბაქოს ახალი ნაწარმი.....	26
1.3.1. ელექტრონული სიგარეტი.....	26
1.3.2. გასახურებელი თამბაქო (HTPs)	32
1.3.3. გავრცელება გლობალურად და საქართველოში	35
1.4. ახალგაზრდების აღქმები და სოციალური ნორმები თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ.....	36
1.4.1. ახალგაზრდების ცოდნა და აღქმა ელექტრონული სიგარეტის შესახებ.....	37
1.4.2. ახალგაზრდების ცოდნა და აღქმა გასახურებელი თამბაქოს (HTPs) შესახებ ..	41
1.5. თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ჩარჩო.....	42
1.5.1. გლობალური ჩარჩო	42
1.5.2. ევროკავშირის მიდგომა	44

1.5.3. საქართველო და რეგიონული კონტექსტი.....	45
1.6. დასკვნა.....	46
თავი II: თეორიული ჩარჩო	47
თავი III: კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია.....	49
3.1. კვლევის პირველი ნაწილი: რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია	50
3.1.1. კვლევის დიზაინი და გარემო.....	50
3.1.2. კვლევის მონაწილეები	51
3.1.3. კვლევის ინსტრუმენტი და ძირითადი ცვლადები.....	52
3.1.4. მონაცემთა ანალიზი	56
3.1.5. კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები	57
3.1.6. კვლევის შეზღუდვები.....	58
3.2. კვლევის მეორე ნაწილი: პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგია	58
3.2.1. კვლევის დიზაინი	58
3.2.2. მონაცემთა წყაროები და მათი კატეგორიზაცია	59
3.2.3. ანალიზის პროცესი	60
3.2.4. კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები	61
3.2.5. კვლევის შეზღუდვები.....	62
3.3. ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ფარგლები.....	62
თავი IV: შედეგები.....	63
4.1. რაოდენობრივი კვლევა: არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენა 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე საქართველოში	63
4.1.1. აღწერილობითი სტატისტიკის შედეგები	63
4.1.1.1. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები	63
4.1.1.2. თამბაქოს მოხმარების სტატუსი და არომატიზატორების როლი.....	64
4.1.1.3. რესპონდენტთა აღქმები არომატიზირებული და არაარომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის შესახებ	66
4.1.1.4. მარკეტინგული კომუნიკაციის არხები და რეკლამის აქცენტები	71
4.1.1.5. თამბაქოს ნაწარმის მომავალში მოხმარების განზრახვა	73
4.1.1.6 . მოსაზრებები პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ.....	74
4.1.2. ბივარიაციული ანალიზი: აღქმების კავშირი სოციო-დემოგრაფიულ მახასიათებლებთან და მოხმარების სტატუსთან	76
4.1.3. მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები.....	77
4.2: თამბაქოს ახალი პროდუქტების კონტროლის პოლიტიკის ანალიზი საქართველოში	84
4.2.1.ძირითადი მიგნებები	84

4.2.1.1. თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტება და კატეგორიზაცია	84
4.2.1.2. თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის კონტროლი და მათში არომატიზატორების გამოყენების რეგულირება	86
4.2.1.3. შეფუთვის და მასზე და სამედიცინო გაფრთხილებების დატანის მოთხოვნები	88
4.2.1.4. მარკეტინგის, რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა;	89
4.2.1.5. კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები.....	91
4.2.1.6. ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება.....	93
თავი V: დისკუსია და რეკომენდაციები	94
5.1. შესავალი - ძირითადი მიგნებები.....	94
5.2. არომატიზატორების გავლენა ახალგაზრდების აღქმებზე და რეგულირების სისუსტეები	95
5.3. მომხმარებლის პროფილი და პოლიტიკის მიზნობრიობის დეფიციტი.....	97
5.4. მარკეტინგის გავლენა და აღსრულების სუსტი მექანიზმები.....	99
5.5. სამართლებრივი განსაზღვრებები და ნორმატიული სიცარიელე.....	100
5.6. ბაზრის ზედამხედველობა და აღსრულების მექანიზმები.....	102
5.7. საზოგადოებრივი მხარდაჭერა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ლეგიტიმაცია	105
5.8. შეჯამება და რეკომენდაციების პაკეტი.....	106
დასკვნა.....	111
ძირითადი დასკვნები.....	111
ძირითადი რეკომენდაციები.....	112
კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერსპექტივები.....	112
პრაქტიკული შედეგები.....	113
დანართები.....	114
დანართი 1: ეთიკის საბჭოს თანხმობა.....	115
დანართი 2: ინფორმირებული თანხმობის ფორმა.....	116
დანართი 3: კითხვარი	118
დანართი 4: ბივარიაციული ანალიზის შედეგები (ცხრილი 10 და 11)	132
დანართი 5. თამბაქოს ახალი ნაწარმის პოლიტიკის ანალიზის შედეგები (ცხრილი 15)	139
გამოყენებული ლიტერატურა	161

შესავალი

თამბაქოს მოხმარების ტვირთი

თამბაქოს მოხმარება კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უდიდეს გამოწვევად როგორც გლობალურად, ასევე საქართველოსთვის. თამბაქო კლავს მისი მოხმარებლების ნახევარს და მსოფლიოს მასშტაბით იგი პასუხისმგებელია ყოველწლიურად 7 მილიონი ადამიანის გარდაცვალებაზე, რომელთა შორის დაახლოებით 1.6 მილიონი ადამიანი არის მეორადი კვამლის ზემოქმედების მსხვერპლი („Tobacco key facts“, 2025). მსოფლიოში 1.3 მილიარდი თამბაქოს მოხმარებლის დაახლოებით 80% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ცხოვრობს, სადაც თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებისა და სიკვდილიანობის ტვირთი ყველაზე მძიმეა (World Health Organization/ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო), 2021).

საქართველოში თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებით ქვეყანაში ყოველწლიურად 11 400 ადამიანი იღუპება, რომელთაგან 2 100 შემთხვევა მეორადი კვამლის ზემოქმედებითაა გამოწვეული (გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), 2018). 2018 წლისთვის თამბაქოსგან გამოწვეული ხარჯები 824.9 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც 2016 წლის ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2.43% იყო. (UNDP, 2018).

თამბაქოს ახალი ნაწარმი და მისი გავრცელება

თამბაქოს მოხმარების კოლოსალური ტვირთის გამო, თამბაქოს კონტროლი რჩება თანამედროვე საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად (ჯანმო, 2021), ამ პროცესში დამატებითი გამოწვევაა თამბაქოს ბაზრის სწრაფი განვითარება და ახალი პროდუქტების გაჩენა. ბოლო ათწლეულში ფართოდ გავრცელდა თამბაქოს ისეთი ახალი ნაწარმი, როგორცაა ელექტრონული სიგარეტები (ლიტერატურაში მოხსენიებული, როგორც ნიკოტინის ელექტრონული მიწოდების სისტემები (ENDS) და უნიკოტინო ელექტრონული მიწოდების სისტემები (ENNDS)) და გასახურებელი თამბაქო (HTPs). ამ პროდუქტებზე განსაკუთრებით ძლიერია ინდუსტრიის მარკეტინგული ზეგავლენა - არომატიზატორების მრავალფეროვნებისა და მიზანმიმართული მარკეტინგის გზით გაზარდოს პროდუქტის მიმართ მიმზიდველობა ახალგაზრდებში და არამწვევლებში, შეამციროს პროდუქტის რისკების აღქმა და შექმნას ნაკლები ზიანის ილუზია (Truth Initiative/სიმართლის ინიციატივა, 2021).

ჯანმოს მონაცემებით, 2024 წლისთვის ელექტრონულ სიგარეტს მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ადამიანი (მოსახლეობის დაახლოებით 1.23%, მათ შორის, 15 მილიონი 13-15 წლის ასაკის ბავშვი) მოიხმარდა (ჯანმო, 2025), ხოლო HTPs-ის გლობალური გავრცელება 2023 წლისთვის 1.53%-ს აღწევდა (Sun et al./სუნი და სხვ., 2023). ეროვნული ბაზარზე HTPs-ის გაყიდვების მოცულობა 2018-დან 2020 წლამდე 20-ჯერ გაიზარდა (Lietzmann & Moulac/ლიეტმანი და მულაკი, 2023) და ელექტრონული სიგარეტი ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე იქცა ყველაზე ხშირად გამოყენებად თამბაქოს ნაწარმად მოზარდებში (Feliu et al./ფელიუ და სხვ., 2023).

თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარების მზარდი ტენდენცია შეინიშნება საქართველოშიც: ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის (ESPAD) მიხედვით, 15-16 წლის მოსწავლეებში ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი (ბოლო 30 დღის განმავლობაში) მოხმარება 2019 წლიდან 2024 წლამდე გაორმაგდა (7%-დან 14%-მდე გაიზარდა), ხოლო HTPs-ის მოხმარებამ 3%-დან 4%-მდე მოიმატა (ESPAD 2019, 2024). ზრდასრულ მოსახლეობაში კი, HTPs-ს და ელექტრონულ სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარებელია 51-დან 55 ათასამდე ადამიანი (Global Adult Tobacco Survey/თამბაქოს მოხმარების გლობალური კვლევა ზრდასრულებში (GATS), 2025, გამოუქვეყნებელი).

რეგულირების ჩარჩო

თამბაქოს ახალი ნაწარმი ჯანმოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, ექცევა ჯანმოს თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის (WHO FCTC (ჩარჩო კონვენცია), 2003) რეგულირების სფეროში (ჯანმო, გადაწყვეტილებები: FCTC/COP/6/14, 2014; FCTC/COP/8, 2018; FCTC/COP6(9), 2014), ხოლო ევროკავშირის დონეზე, ამ ნაწარმისთვის, მსგავსად ტრადიციული თამბაქოს ნაწარმისა, ძირითადი დოკუმენტი ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 3 აპრილის 2014/40/EU დირექტივაა „თამბაქოსა და მასთან დაკავშირებული პროდუქტების წარმოების, წარდგენისა და რეალიზაციის შესახებ“ (TPD). საქართველო 2006 წლიდან არის ჩარჩო კონვენციის მხარე. გარდა ამისა, 2014 წელს, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით (ასოცირების შეთანხმება) ქვეყანამ აიღო ვალდებულება, სრულად განახორციელოს როგორც ჩარჩო კონვენციით გათვალისწინებული დებულებები, ასევე, თანხვედრაში მოიყვანოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ცალკეული საკითხები TPD-სთანაც.

ჩარჩო კონვენციის მოთხოვნები საქართველოს კანონმდებლობაში ნაწილობრივ აისახა 2017 წელს მიღებულ და 2018 წელს ამოქმედებულ თამბაქოს კონტროლის ყოვლისმომცველ, ეგრეთ წოდებულ „ახალი თაობის“ კანონმდებლობაში, რომელიც მოიცავს მეორადი კვამლის ზემოქმედების შეზღუდვას, რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის აკრძალვას, სამედიცინო გაფრთხილებების შეფუთვაზე დატანის წესებს და სხვა დებულებებს (საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ (სკთკმ), 2010.; Bakhturidze/ზახტურიძე, 2023). კანონმდებლობის მიღების დროისთვის, მართალია რეგულირდებოდა ნიკოტინის შემცველი ელექტრონული სიგარეტის სითხეებიც, მაგრამ არ რეგულირდებოდა გასახურებელი თამბაქოს ნაწარმი და მიუხედავად ამ ნაწარმის გამოჩენის შემდეგ, კანონში შესული ცვლილებებისა, კანონმა დაადგინა ცალკეული გამონაკლისები შეფუთვისა და შემადგენლობის კონტროლის თვალსაზრისით ელექტრონული სიგარეტისა და გასახურებელი თამბაქოსთვის.

კვლევის დასაბუთება

თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარების ზრდის ტენდენციის და მის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული რიგი გამონაკლისების გათვალისწინებით, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ აღიქვამენ ქართველი ახალგაზრდები არომატიზებულ თამბაქოს ახალ ნაწარმს, და რამდენად ეფექტურად პასუხობს ამ აღქმებს თამბაქოს კონტროლის არსებული პოლიტიკა, საერთაშორისო სტანდარტების (ჩარჩო კონვენცია, TPD) ფონზე.

საერთაშორისო კვლევები ადასტურებს, რომ არომატიზატორები მნიშვნელოვნად ზრდის თამბაქოს ნაწარმის მიმართ მიმზიდველობას ახალგაზრდებში (Wagoner/ვაგონერი et al./და სხვ., 2016; Kowitz/კოვიტი et al./და სხვ., 2017; Krusemann/კრუსემანი et al./და სხვ., 2021; Cheney/ჩენი, Gowin/გოუინი, & Wann/ვანი, 2016) თუმცა, საქართველოში შეზღუდულია როგორც ემპირიული მტკიცებულებები, რომელიც შეისწავლის არომატიზატორების გავლენას ახალგაზრდა მომხმარებელთა აღქმაზე ადგილობრივ კონტექსტში, ასევე, არსებული კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების სისტემური ანალიზი და მათი შეფასება ჩარჩო კონვენციისა და TPD-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით.

გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილად ჩაითვალა დისერტაციაზე მუშაობა, რომელიც გააერთიანებდა თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ ახალგაზრდების აღქმების რაოდენობრივი კვლევის შედეგებსა და ამ დარგში არსებული საქართველოს პოლიტიკის ჩარჩოს სისტემურ, შედარებით სამართლებრივ შეფასებას, რათა დადგინდეს, რამდენად

პასუხობს სამართლებრივი გარემო იმ გამოწვევებს, რომლებიც თამბაქოს ახალი ნაწარმის სწრაფმა გავრცელებამ გამოიწვია.

კვლევის ჰიპოთეზა

კვლევა, მისი ორი ძირითადი კომპონენტიდან გამომდინარე (რაოდენობრივი კვლევა და პოლიტიკის ანალიზი), ეყრდნობა ორ მთავარ ჰიპოთეზას:

1. არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი საქართველოს 18–25 წლის ახალგაზრდებში აღიქმება მნიშვნელოვნად უფრო სოციალურად მისაღებად და ნაკლები ზიანის მქონედ თამბაქოს ტრადიციულ ნაწარმთან და მათ არაარომატიზირებულ ვერსიებთან შედარებით;
2. საქართველოს თამბაქოს კონტროლის არსებული პოლიტიკა სრულად ვერ აკმაყოფილებს ჯანმოს ჩარჩო კონვენციისა და ევროკავშირის TPD-ის მოთხოვნებს თამბაქოს ახალი ნაწარმის რეგულირების კუთხით, განსაკუთრებით არომატიზატორების მიმართულებით.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია შეისწავლოს, თუ როგორ აღიქვამენ არომატიზირებულ თამბაქოს ახალ ნაწარმს (ელექტრონული სიგარეტი და HTPs) 18–25 წლის ახალგაზრდები საქართველოში და შეაფასოს საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის კუთხით, ჯანმოს და ევროკავშირის მიდგომებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

მიზნის მისაღწევად განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები:

1. 18–25 წლის ახალგაზრდებში არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ არსებული აღქმების, რწმენებისა და სოციალური ნორმების შეფასება მათი ძირითადი დეტერმინანტების გამოვლენის მიზნით.
2. საქართველოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსობრივი და სტრუქტურული შეფასება ჩარჩო კონვენციისა და TPD-ის მოთხოვნებთან მიმართებით ხარვეზების ანალიზის (Gap Analysis) მეთოდოლოგიის გამოყენებით.

კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

რაოდენობრივი კვლევა განხორციელდა ჯვარედინ-სექციური დიზაინით, ონლაინ გამოკითხვის საფუძველზე, ხოლო პოლიტიკის ანალიზი განხორციელდა (Gap Analysis) მეთოდით (Heath et al. / ჰითი და სხვ., 2018), რომლის საფუძველზეც საქართველოს

თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ჩარჩო შედარებული იქნა ჩარჩო კონვენციისა და TPD-ის მოთხოვნებთან საკვანძო მიმართულებების კუთხით.

კვლევის მეცნიერული სიახლე და მნიშვნელობა

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ ინტეგრირებულ კვლევას საქართველოში, რომელიც აერთიანებს აღქმების რაოდენობრივ შეფასებას და პოლიტიკის ჩარჩოს სისტემურ ანალიზს. მისი მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ იგი ქმნის მნიშვნელოვან სამეცნიერო მტკიცებულებას - ერთის მხრივ, იკვლევს არომატიზატორების გავლენას 18–25 წლის ახალგაზრდების აღქმაზე (ზიანის შემცირება, სოციალური მიმდებლობა, მიჯაჭვულობა) თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ, ხოლო მეორეს მხრივ, აფასებს საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის სტრუქტურულ სისუსტეებს, რაზე დაყრდნობითაც, გადაწყვეტილების მიმღებებს სთავაზობს კონკრეტულ რეკომენდაციებს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის გაძლიერებისკენ მიმართული პრევენციული და საკანონმდებლო ნაბიჯების უკეთ და მიზანმიმართულად დაგეგმვისთვის.

ნაშრომის სტრუქტურა

წინამდებარე დისერტაცია სტრუქტურულად დაყოფილია ექვს თავად. პირველი თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას, რომელიც თამბაქოს ახალი ნაწარმის ცნებების, მისი გლობალური გავრცელებისა და ახალგაზრდების აღქმების, აგრეთვე პოლიტიკის არსებული ჩარჩოს განხილვით აყალიბებს თეორიულ საფუძველს ნაშრომის უკეთ გასაგებად. თავი II ხსნის კვლევის თეორიულ ჩარჩოს. თავი III ეთმობა კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის დეტალურ აღწერას ორივე კვლევითი კომპონენტის – რაოდენობრივი კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის კუთხით. თავი IV გადმოსცემს კვლევის შედეგებს და წარმოადგენს კვლევის ემპირიულ და ანალიტიკურ მიგნებებს, რომლებიც შემდეგ ინტეგრირდება მე-5 თავში. თავი V ეთმობა დისკუსიას და რეკომენდაციებს, სადაც განმარტებულია წინა თავში მოცემული მიგნებების მნიშვნელობა და საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის არსებული პოლიტიკის გაძლიერებისათვის საჭირო რეკომენდაციების პაკეტი. დასასრულს, თავი VI ეთმობა დასკვნას და აჯამებს ნაშრომის მთავარ დასკვნებს, საუბრობს მის სამეცნიერო წვლილსა და პრაქტიკულ შედეგებზე.

თავი I: ლიტერატურის მიმოხილვა საკვლევი თემის შესახებ

1.1. რა მოიაზრება თამბაქოს ნაწარმში?

ჩარჩო კონვენცია თამბაქოს ნაწარმად მიიჩნევს პროდუქტს, რომლის ნედლეულად მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებულია თამბაქოს ფოთლები, და რომელიც დამზადებულია მოწევის, დაღეჭვის, წუწვნის ან შესუნთქვის მიზნით (ჯანმო, 2003, მუხლი (მუხ) 1(f)). სიგარეტის მოწევა თამბაქოს მოხმარების ყველაზე გავრცელებული ფორმაა მთელ მსოფლიოში, თუმცა თამბაქოს ნაწარმი მოიცავს არა მხოლოდ ამ სახის ნაწარმს, არამედ, იგი მოიაზრებს ჩილიმის თამბაქოს, ე.წ. „უკვამლო“ თამბაქოს ნაწარმს, სიგარებს, სიგარილოებს, ხელით გასახვევ თუთუნს და ა.შ (ჯანმო, 2023). სიგარეტის მოწევის გავრცელების შემცირებამ ბევრ ქვეყანაში, ისევე, როგორც თამბაქოს ინდუსტრიის განვითარებამ და კონსოლიდაციამ, მსოფლიოში ნიკოტინის მიწოდების სხვა, ახალი ფორმების დანერგვა გამოიწვია (O'Connor/ო'კონორი, Schneller/შნელერი, Felicione/ფელიჩიონე და სხვ., 2022). ბოლო წლებში მსოფლიო ბაზარზე თამბაქოს ახალი ნაწარმი გამოჩნდა, როგორცაა ელექტრონული სიგარეტები (ENDS და ENNDS) და HTPs. ეს პროდუქტები, მათი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ზედმიწევნით არ მისადაგებიან ჩარჩო კონვენციის ზემოაღნიშნულ განმარტებას, თუმცა ჩარჩო კონვენციის 2014 წლის მხარეთა კონფერენციის მეექვსე სესიაზე ჯანმომ FCTC/COP6(9) გადაწყვეტილებით მოუწოდა მხარეებს, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტის გათვალისწინებით, აკრძალონ ან დაარეგულირონ ნიკოტინიანი ან უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტები, როგორც თამბაქოს პროდუქტები, სამკურნალო პროდუქტები, სამომხმარებლო, ან სხვა კატეგორიის პროდუქტები (ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP6(9), 2014). ასევე, 2018 წლის მხარეთა კონფერენციის FCTC/COP8(22) გადაწყვეტილების პრეამბულაში აღიარებულ იქნა, რომ HTPs არის თამბაქოს ნაწარმი და, შესაბამისად, ექვემდებარება ჯანმოს ჩარჩო კონვენციის დებულებებს (ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP8(22), 2018).

1.2. თამბაქოს გავლენა გლობალურად და საქართველოში

თამბაქოს ეპიდემია არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი საფრთხე საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის, რომლის წინაშეც მსოფლიო ოდესმე დამდგარა. იგი კლავს წელიწადში 7 მილიონ ადამიანს, რომელთა შორის დაახლოებით 1,6 მილიონი ადამიანი მეორადი კვამლის ზემოქმედების მსხვერპლია („Tobacco key facts“, 2025). თამბაქოს

ნაწარმის მოხმარების ყველა ფორმა საზიანოა და არ არსებობს თამბაქოს ზემოქმედების უსაფრთხო დონე (ჯანმო, 2023).

ჩარჩო კონვენციის მიღების შემდეგ, ტრადიციული სიგარეტის მოწვევის მაჩვენებელი მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი, მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში შემცირდა, თუმცა ამჟამინდელი ტენდენცია აჩვენებს, რომ ეს კლება ნაწილობრივ კომპენსირდება თამბაქოს ახალი პროდუქტების პოპულარობის ზრდით. კერძოდ, თუ მწვევლობის მაჩვენებელი გლობალურად ჩარჩო კონვენციის მიღებამდე, 2000 წელს 33.3% იყო, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 22.8 %-მდე შემცირდა, ხოლო 2025 წლისთვის 20.9%-ია პროგნოზირებული (ჯანმო, 2019). მსგავსად, 2020 წლის მონაცემებით, ევროკავშირში მნიშვნელოვნად შემცირდა მოწვევის მაჩვენებელი 2017-2020 წლებში 32.0%-დან (European Commission /ევროკომისია, 2007) 23.0%-მდე (ევროკომისია, 2021). ამის მიუხედავად, თამბაქოს ახალი ნაწარმის მზარდი საბაზრო წილის პირობებში, არსებობს მოლოდინი, რომ მწვევლობის გლობალური მაჩვენებელი გაიზრდება (Chen et al./ჩენი და სხვ., 2021). სამეცნიერო ლიტერატურაში საუბრობენ, რომ სავარაუდოდ, ამჟამინდელი მწვევლები გადავლენ თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარებაზე, რაც გამოიწვევს ნიკოტინისა და თამბაქოს პროდუქტების ორმაგ და მრავალჯერად მოხმარებას, რაც გაართულებს თამბაქოს კონტროლის ეფექტური რეგულაციების და დაავადების ტვირთის შემცირებას (ჩენი და სხვ., 2021).

თამბაქოს გავლენა დიდია სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზეც. კვლევა, რომელიც აანალიზებს 21 დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში ბოლო წლებში ჩატარებულ, ჩარჩო კონვენციის საინვესტიციო საქმეებს, აჩვენებს, რომ თამბაქოს მოხმარება იწვევს 95 მილიონი აშშ დოლარის სოციალურ-ეკონომიკურ ზარალს დაბალშემოსავლიან (n=3) ქვეყნებში (Mann et al./მანი და სხვ., 2024). ეს რიცხვი საშუალოზე დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის (n=12) 610 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე (n=6) ქვეყნებში 1.6 მილიარდი აშშ დოლარი, რაც ამ კატეგორიის ქვეყნების საშუალო წლიური მთლიანი შიდა პროდუქტის 1.1%-ს, 1.8%-ს და 2.9%-ს შეადგენს (მანი და სხვ., 2024).

თამბაქოს ინდუსტრია პასუხისმგებელია გარემოს მნიშვნელოვან დეგრადაციაზე, მათ შორის 600 მილიონი ხის განადგურებაზე, 200 000 ჰექტარი მიწის გამოყენებაზე, 22 მილიარდი ტონა წყლის მოხმარებაზე და ყოველწლიურად 84 მილიონი ტონა CO₂-ის გამოყოფაზე (ჯანმო, 2022). თამბაქოს ნახშირბადის კვალი უდრის ყოველწლიურად

კომერციული ავიახაზების მიერ წარმოებული CO₂-ის დაახლოებით მეხუთედს (ჯანმო, 2022).

თამბაქოს მოხმარების მაღალი დონე არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოშიც. საქართველოს აქვს მოწვევის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ევროპის რეგიონში - ზრდასრული მოსახლეობის 24,8% მწვეველია (46,1% მამაკაცი და 5,8% ქალი) (GATS, 2025, გამოუქვეყნებელი) და ქვეყანაში ყოველწლიურად 11 400 ადამიანი იღუპება თამბაქოსთან დაკავშირებული დაავადებებით, რომელთა შორის 2 100 შემთხვევა მეორადი მწვევლობითაა გამოწვეული (UNDP, 2018) 2018 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, ყოველწლიურად, თამბაქოსგან გამოწვეული ხარჯები საქართველოსთვის 824.9 მილიონი ლარია, რაც ქვეყნის 2016 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 2.43%-ს წარმოადგენდა. ეს ხარჯები მოიცავს ჯანდაცვის პირდაპირ დანახარჯებს 327.3 მილიონი ლარის ოდენობით და არაპირდაპირ ეკონომიკურ დანაკარგებს გამოწვეული ნაადრევი სიკვდილიანობით, შეზღუდული შესაძლებლობით და სამუშაოზე მოცდენის ხარჯებით (ჯამში 497.5 მილიონი ლარი) (UNDP, 2018).

1.3. თამბაქოს ახალი ნაწარმი

TPD-ის მიხედვით, „თამბაქოს ახალი ნაწარმი“ განიმარტება, როგორც „თამბაქოს ნაწარმი, რომელიც არ განეკუთვნება არცერთ შემდეგ კატეგორიას: სიგარეტი, შესახვევი თუთუნის, საჩიბუხე თამბაქო, ჩილიმის თამბაქო, სიგარა, სიგარილა, დასალეჭი თამბაქო, შესასუნთქი თამბაქო ან საწუწნი თამბაქო და ბაზარზე განთავსებულია 2014 წლის 19 მაისის შემდეგ“ (TPD, 2014, მუხ. 2(14)) თამბაქოს ახალ ნაწარმს განეკუთვნება ელექტრონული სიგარეტი და HTPs (ლიეცმანი და მულაკი, 2023).

1.3.1. ელექტრონული სიგარეტი

პროდუქტის აღწერა და წარმოშობის ისტორია

2017 წლის იანვრის განცხადებაში, ჯანმო ENDS და ENNDS განმარტავს, როგორც *„ბატარეაზე მომუშავე მოწყობილობებს, რომელიც ათბობს სითხეს მომხმარებლის შესასუნთქად განკუთვნილი აეროზოლის შესაქმნელად. ეს სითხე ხშირად შეიცავს არომატიზატორებს, რომელიც ჩვეულებრივ იხსნება პროპილენ გლიკოლში ან/და გლიცერინში. ნიკოტინის ყველა ელექტრონული მიწოდების სისტემა (განსხვავებით უნიკოტინო ელექტრონული მიწოდების სისტემებისა) შეიცავს ნიკოტინს. ელექტრონული სიგარეტს ყველაზე გავრცელებული პროტოტიპი არის მოწყობილობა, რომელიც არ იწვის*

და არ იყენებს თამბაქოს ფოთლებს, არამედ აორთქლებს სითხეს, რომელსაც შეისუნთქავს მომხმარებელი. ამ სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილი, ნიკოტინის გარდა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არის პროპილენგლიკოლი გლიცერინით ან მის გარეშე, და არომატიზატორები. ნიკოტინის ელექტრონული მიწოდების სისტემების სითხეები და ორთქლი შეიცავს სხვა ქიმიურ ნივთიერებებსაც, რომელთაგან ზოგიერთი არის ტოქსიკური“ (ჯანმო, 2017). ელექტრონული სიგარეტი შეიძლება გამოყენებული იქნას პირის ღრუს მეშვეობით, ნიკოტინის შემცველი ორთქლის მოსახმარებლად, ან ამ ნაწარმის ნებისმიერი კომპონენტი, მათ შორის, კარტრიჯი, კაფსულა და მოწყობილობა კარტრიჯის ან კაფსულის გარეშე (European Network for Smoking and Tobacco Prevention/მოწვევისა და თამბაქოს პრევენციის ევროპული ქსელი (ENSP), 2019).

ელექტრონული სიგარეტი შეიძლება იყოს მოცემული ერთჯერადი ან მრავალჯერადი გამოყენების რეზერვუარის და კაფსულის მეშვეობით, ან დასამუხტი ერთჯერადი მოხმარების კარტრიჯებით (ENSP, 2019).

ელექტრონული სიგარეტის ევოლუცია 2006 წლიდან იწყება. იგი ამ დროისთვის პირველად გაჩნდა ჩინეთში, 2008–2009 წლებში კი უკვე ფართოდ ხელმისაწვდომი გახდა მთელ მსოფლიოში (Palmisani et al./პალმისანი და სხვ., 2020). იგი თავდაპირველად იყო მარტივი, სიგარეტის ფორმის პატარა მოწყობილობა, რომელსაც ჰქონდა ნიკოტინის შემცველი სითხით შევსებული კარტრიჯი (Yingst et al./ინგსტი და სხვ., 2021). დროთა განმავლობაში ტექნოლოგია დაიხვეწა და შეიქმნა უფრო რთული, კალმისა და მცირე ყუთის ფორმის მოწყობილობები, რომლებიც მოიცავდნენ შემავსებელ ავზებს ან რეზერვუარებს ნიკოტინის შემცველი სითხისთვის (ინგსტი და სხვ., 2021).

ელექტრონული სიგარეტების უახლესი მოწყობილობები, რომლებსაც პოდებს უწოდებენ, არის პატარა, დისკრეტული მოწყობილობები; ამ მოწყობილობებს აქვთ დახვეწილი დიზაინი, არის ფუნქციურად მოსახერხებელი და გააჩნია მთელი რიგი გემოების და არომატების ვარიანტები (Fadus/ფადუსი, Smith/სმიტი, & Squeglia/სკუეგლია, 2019).

ცნობილია, რომ ამგვარი მოწყობილობები მომხმარებელს აწვდიან ნიკოტინს იმაზე უფრო მაღალი დოზებით, ვიდრე მრავალი ადრეული მოწყობილობა (ფადუსი, სმიტი, & სკუეგლია, 2019).

ელექტრონული სიგარეტის სითხეები, რომლებიც ბაზარზე ხელმისაწვდომია რეზერვუარებში ან შესაცვლელ კარტრიჯებში, ძირითადად წარმოადგენენ პროპილენგლიკოლის, გლიცეროლის და წყლის ნარევის (ეს უკანასკნელი ძირითადად მცირე რაოდენობით) (პალმისანი და სხვ., 2020). პროპილენგლიკოლის და გლიცეროლის

ჩართვა ელექტრონული სიგარეტის თხევად ფორმულირებებში ხშირია დამატენიანებელი და გამხსნელი თვისებების გამო (პალმისანი და სხვ., 2020). ლიტერატურაში მოხსენიებულია ასევე სხვა ქიმიკატების გამოყენება, როგორცაა ეთანოლი (EtOH) (Poklis/პოკლისი, Wolf/ვოლფი, & Peace/ფისი, 2017). ამ ნივთიერებებთან ერთად, ელექტრონული სიგარეტის სითხეები შეიცავს უამრავ არომატიზატორს. 2018 წელს ჩატარებული თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ანალიზის შედეგები, რომელიც ევროკავშირის 9 წევრ ქვეყანაში 122 ყველაზე ხშირად გაყიდვად ელექტრონულ სითხეზე ჩატარდა აჩვენებს, რომ გამოკვლეული ელექტრონული სიგარეტის სითხეებში იდენტიფიცირებულ იქნა 293 არომატიზატორი და მათ შორის ყველაზე ხშირად გამოყენებადი იყო მენტოლი (Girvalaki et al./გირვალაკი და სხვ., 2018). რამდენიმე ასეული არომატიზატორიდან მომხმარებლებს შეუძლიათ ელექტრონული სიგარეტის ბაზარზე აირჩიონ რამდენიმე არომატი, რომელთაგან ყველაზე პოპულარული როგორც წესი არის არომატები მენტოლის, თამბაქოს, ხილის (ალუბალი, მოცვი, მარწყვი, ვაშლი), ტკბილეულის (კარამელი, ვანილი, ძირტკბილა, შოკოლადი) შემადგენლობით (Krishnan-Sarin et al./კრიშნან-სარინი და სხვ., 2019).

1.3.1.1. გავლენა ჯანმრთელობაზე

ელექტრონული სიგარეტის ხელმისაწვდომობის სწრაფ ზრდასთან ერთად, ასევე სწრაფად გაიზარდა და სულ უფრო იზრდება ამ პროდუქტის ჯანმრთელობაზე გავლენის შესახებ ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ პროდუქტი თითქმის ორი ათეული წელია ბაზარზეა, მისი მოხმარების და ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ დისკუსიები კვლავ აქტიურია და ჯერ კიდევ მიმდინარეობს კვლევები. თუმცა, კვლევების რაოდენობა, რომლებიც ადასტურებს ელექტრონული სიგარეტის გამოყენების უარყოფით ჯანმრთელობისთვის საზიანო შედეგებს, სტაბილურად იზრდება (Przewoźniak & Koczkodaj/პრჟევოჟნიაკ და კოჩკოდაი, 2024).

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) მთავარი ქირურგის (Surgeon General) 1988 წლის მოხსენებაში მკაფიოდ განიმარტა, რომ ნიკოტინი არის ნარკოტიკული ნივთიერება (Centers for Disease Control and Prevention/დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC), 1988). შესაბამისად, პირველ რიგში, მეცნიერები თანხმდებიან, რომ ნიკოტინის შემცველი ელექტრონული სიგარეტების (ამერიკაში გავრცელებული, როგორც JUUL) მოწევა ზრდის შანსს, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც აქამდე არასდროს მოუწევიათ, დამოკიდებული გახდებიან პროდუქტზე რაც თავის მხრივ, შეიძლება გახდეს

საფუძველი სიგარეტზე დამოკიდებულებისთვისაც (Meka/მეკა, 2019). კვლევები აჩვენებს, რომ მოზარდები უფრო ხშირად ხდებიან ნიკოტინზე დამოკიდებულნი, ვიდრე მოზრდილები, მათი ტვინის უჯრედებში არსებული განსხვავებების გამო (England et al./ინგლენდი და სხვ., 2015). ამ მიზეზით, ელექტრონული სიგარეტი განსაკუთრებით რისკის შემცველია ბავშვებისა და მოზარდების მიერ მისი გამოყენებისას, რადგან ნიკოტინი ძლიერ დამოკიდებულებასთან ერთად, განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნის ახალგაზრდების ტვინის განვითარებას, რომელიც ოცდაათ წლამდე გრძელდება (ENSP, 2019). ნიკოტინი უარყოფით გავლენას ახდენს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოზარდობის პერიოდში (მეკა, 2019). მღრღნელებზე ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ ნიკოტინის ზემოქმედების შედეგად მცირდება ცერებრალური ქერქის, შუა ტვინისა და ჰიპოკამპის უჯრედების ზომა და რაოდენობა, რომლებიც თავის მხრივ, პასუხისმგებელია ადამიანის სხვადასხვა ფუნქციებზე - სმენა, ვიზუალური დამუშავება, უმაღლესი აზროვნების პროცესები, გადაწყვეტილების მიღება და ემოციებისა და მეხსიერების კონტროლი (National Center for Chronic Disease Prevention and Health Promotion (US)/ქრონიკული დაავადებების პრევენციისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობის ეროვნული ცენტრი (აშშ) (NCCDPHP), 2014) ტვინის ამ უბნების დაზიანება ასევე დაკავშირებულია როგორც კოგნიტური ფუნქციის დაზიანებასთან, ასევე საერთო განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებთან (NCCDPHP, 2014).

ელექტრონული სიგარეტის ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი გავლენა ჯერ კიდევ შესწავლის პროცესშია, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში საუბრობენ მის პოტენციურ კავშირზე გულ-სისხლძარღვთა და ფილტვის დაავადებებთან. კერძოდ, სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ელექტრონული სიგარეტის მოხმარებას, ისევე როგორც ნიკოტინზე დამოკიდებულებას აქვს პოტენციური გავლენა გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე და ფილტვებზე (Ahmad et al./აჰმადი და სხვ., 2021). ასევე ნათქვამია, რომ ENDS ზრდის გულის დაავადებების და ფილტვების დაზიანების რისკს (ENSP 2019). იგი ასევე, მნიშვნელოვან რისკებს უქმნის ორსულებს, რადგან ამ პროდუქტს შეუძლია ზიანი მიაყენოს ნაყოფის ზრდა-განვითარებას (ENSP 2019).

ზემოთ აღინიშნა, რომ ელექტრონული სიგარეტები ნიკოტინის გარდა ჩვეულებრივ შეიცავენ არომატიზატორებს და დანამატებსაც. მათი ჯანმრთელობაზე გავლენა ერთ-ერთი ყველაზე სადავო და საფრთხის შემცველი საკითხია. არომატები, რომლებიც ნიკოტინის მძაფრ გემოს არბილებს, განსაკუთრებით მიმზიდველია ახალგაზრდებისთვის (Ahmad/აჰმადი, Sassano/სასანო, & Tarran/ტარანი, 2021). ამის მიზეზი შეიძლება ისიც იყოს,

რომ არომატების შემცველი პროდუქტი ნაკლებად საზიანოდ წარმოუდგენიათ ჯანმრთელობისთვის. არომატები, რომლებსაც შეიცავს ელექტრონული სიგარეტები გვხვდება საკვებში, სასმელებსა და კოსმეტიკურ საშუალებებში და შედის გემოსა და ექსტრაქტების მწარმოებელთა ასოციაციის (FEMA) უსაფრთხოდ აღიარებულ არომატულ ნივთიერებათა სიაში (femaflavor.org), რომელთა გამოყენება დაშვებულია პერორალურად მიღებისა და კანის კონტაქტის გზით, თუმცა არა პირდაპირი შესუნთქვისთვის (პალმისანი და სხვ., 2020). სწორედ ამიტომ, მართალია, ის არომატიზატორები და სხვა ქიმიური ნივთიერებები, რომლებსაც მოიცავს ელექტრონული სიგარეტები, ჩვეულებრივ, ცალკე აღებული განიხილება, როგორც არატოქსიკური, ან ტოქსიკურობის დაბალი დონის ნივთიერებები, რომელთა მოხმარება არაა საფრთხის შემცველი, თუმცა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ამ ნივთიერებებს არ შეუძლიათ გამოიწვიონ გრძელვადიანი, უარყოფითი გავლენა ჯანმრთელობაზე (მექა, 2019). არატოქსიკური ნივთიერებების შემცველი „ელექტრონული სითხის“ გათბობამ და შესუნთქვამ შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი პრობლემები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის გამოვლენილი (მექა, 2019). ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ჩასუნთქვის შედეგად გამოწვეული მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების პროგნოზირება შეუძლებელია, თუმცა სპეციფიკური არომატიზატორები იმსახურებენ ყურადღებას მათი პოტენციური ტოქსიკურობის გამო (პალმისანი და სხვ., 2020). მაგალითისთვის, 2,3-ბუტანედიონი (ჩვეულებრივ მოხსენიებული, როგორც დიაცეტილი) წარსულში ფართოდ გამოიყენებოდა აშშ-ში მიკროტალღურ თუმბელში მოსამზადებელ პოპკორნში კარაქის და კარამელის გემოს მიღებისთვის (პალმისანი და სხვ., 2020). ეს დანამატები არის უსაფრთხოდ აღიარებულ არომატულ ნივთიერებათა სიაში (GRAS) მოხსენიებული და მისი მიღება, როგორც საკვები დანამატის, დაშვებულია გარკვეული დოზით თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეგროვებულ ეპიდემიოლოგიურ მონაცემებზე დაფუძნებით გამოქვეყნებულმა სამეცნიერო ნაშრომებმა აჩვენა, რომ დიაცეტილის ინჰალაციის ზემოქმედება, სავარაუდოდ, უკავშირდება ფილტვის სპეციფიკური დაავადების რისკს, რომელსაც ეწოდება მათი ბრონქიოლიტი (bronchiolitis obliterans) (პალმისანი და სხვ., 2020).

მნიშვნელობა აქვს პროდუქტში გამოყენებული არომატიზატორების რაოდენობასა და დოზებსაც. კვლევები აჩვენებს, რომ ელექტრონული სიგარეტის სითხეში შემავალი არომატიზატორების რაოდენობა პირდაპირ კავშირშია ამ პროდუქტის ტოქსიკურობის ხარისხთან (კრიშნან-სარინი და სხვ., 2019). კვლევამ გაზომა 2013-2015 წლებში

ევროკავშირის ბაზარზე არსებული 97 ელექტრონული სიგარეტის სითხეებში ბენზოლის, ტოლუოლის, ეთილბენზოლისა და ქსილენების (BTEX) დონეები. მათმა უმრავლესობამ (97-დან 85) აჩვენა BTEX დაბინძურება. კონცენტრაციები მნიშვნელოვნად იცვლებოდა და ეს ცვალებადობა დაკავშირებული იყო არა ნიკოტინის შემცველობასთან, არამედ პროპილენგლიკოლის, გლიცეროლისა და არომატული დანამატების შემცველობასთან (პალმისანი და სხვ., 2020).

ამგვარად, სამეცნიერო საზოგადოებაში ელექტრონული სიგარეტის მოხმარებასთან დაკავშირებით შეშფოთებები არსებობს ელექტრონული სითხის შემადგენლობიდან გამომდინარე, რა პროცესშიც აქტუალურია შემდეგი სამი საკითხი: (ა) პოტენციურად საშიში ნივთიერებების ზემოქმედება შესუნთქვის შედეგად, რომელიც გვხვდება ელექტრონულ სითხეებში (მაგ., არომატული ნახშირწყალბადები, ალდეჰიდები, PAHs, მძიმე მეტალები); ბ) აორთქლების პროცესში წარმოქმნილი მავნე ქვეპროდუქტების პოტენციური ზემოქმედება; და (გ) უცნობი და არაპროგნოზირებადი გრძელვადიანი ჯანმრთელობის ეფექტი არომატიზატორი დანამატისა და მთავარი ინგრედიენტის (ანუ გლიცეროლის და პროპილენგლიკოლის) ჩასუნთქვის გამო (პალმისანი და სხვ., 2020). გამომდინარე აქედან, მეცნიერები თანხმდებიან, რომ სიგარეტის მსგავსად, რომელიც თავდაპირველად არ განიხილებოდა, როგორც მავნე პროდუქტი, შესაძლებელია, ელექტრონული სიგარეტიც აღმოჩნდეს ჯანმრთელობისთვის იმაზე ბევრად საზიანო, ვიდრე თავდაპირველად იყო მიჩნეული (პალმისანი და სხვ., 2020). საერთაშორისო პედიატრიული ასოციაციის განცხადებით, 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, 107 მაღალი ხარისხის ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომლებიც აფასებდა ელექტრონული სიგარეტის გამოყენებასთან პირდაპირ დაკავშირებული დაავადების რისკებს, აჩვენებს, რომ: ელექტრონული სიგარეტის მოხმარებლებს, მწვევლების მსგავსად აქვთ გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ინსულტის, მეტაბოლური დისფუნქციის და პირის ღრუს დაავადებების რისკი; ელექტრონული სიგარეტის მოხმარებლებში არსებობს უფრო დაბალი, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი ასთმისა და ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების რისკი მწვევლებთან შედარებით; ორმაგი გამოყენება (ელექტრონული სიგარეტის მოხმარება სიგარეტთან ერთად) ზრდის გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ინსულტის, მეტაბოლური დისფუნქციის, ასთმის, ფილტვების ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების და პირის ღრუს დაავადებების განვითარების რისკს 20%-დან 40%-მდე მხოლოდ სიგარეტის მოწევასთან შედარებით (Arora et al./არორა და სხვ., 2025).

1.3.2. გასახურებელი თამბაქო (HTPs)

1.3.2.1 განმარტება და წარმოშობის ისტორია

ჯანმოს განმარტებით, HTPs არის თამბაქოს პროდუქტი, „რომელიც წარმოქმნის აეროზოლებს, რომლებიც შეიცავენ ნიკოტინს და ქიმიურ ნივთიერებებს თამბაქოს გახურებისას ან თამბაქოს შემცველი მოწყობილობის გააქტიურებისას. აეროზოლები შეისუნთქება მოწყობილობის მოქაჩვის/მოწევის პროცესში. იგი შეიცავს მაღალი დამოკიდებულების მქონე ნივთიერებას, ნიკოტინს, ასევე, არათამბაქოს დანამატებს და ხშირად არომატიზირებულია. თამბაქო პროდუქტში წარმოდგენილი შეიძლება იყოს სპეციალურად შექმნილი სიგარეტის ღერების სახით (მაგალითად: *heat sticks*” და *“neo sticks*”) ან პოდების (*Pods*) და ფლუგების (*plugs*) სახით“ (ჯანმო, 2020).

HTPs მრავალი ქვეყნის ბაზრისთვის სიახლეა, თუმცა ეს პროდუქტი არც ისე ახალია მსოფლიოსთვის. HTPs პირველად 1960-იანი წლებიდან გაჩნდა აშშ-ში, ხოლო გლობალურად ამ პროდუქტის განვითარება თამბაქოს ინდუსტრიამ 1998 წლიდან დაიწყო (McKelvey et al./მაკელვი და სხვ., 2018). HTPs-ის ახალი თაობა, Philip Morris International-ის პროდუქტი აიქოსი/IQOS-ია, რომლის სახელი სხვადასხვა ლიტერატურაში იზიფრება როგორც „I Quit Ordinary Smoking“ (მე თავს ვანებებ ჩვეულებრივ მოწევას) (Cho/ჩო & Thrasher/თრეშერი, 2019). პროდუქტი პირველად 2014 წელს იაპონიასა და იტალიაში, ერთი წლის შემდეგ კი, შვეიცარიის, რუსეთის და უკრაინის ბაზარზე გამოჩნდა (iqos.com, 2024). მას შემდეგ Philip Morris International სწრაფად აფართოებს IQOS-ის ბაზარს და 2019 წლის ბოლოსთვის იგი უკვე იყო მსოფლიოს 47 ბაზარზე (Stopping Tobacco Organizations and Products/თამბაქოს ორგანიზაციებისა და პროდუქტების შეჩერება (STOP), 2020). აშშ-ის ბაზარზე ამ პროდუქტის დაშვება ამერიკის სურსათისა და წამლების ადმინისტრაციის (FDA) მიერ, მოდიფიცირებული რისკის სტატუსის მინიჭებით მოხდა (U.S. Food and Drug Administration, უთარილო). უფრო კონკრეტულად პროცესი შემდეგნაირად წარმომართა: Philip Morris International-მა 2016 წელს მოითხოვა თანხმობა IQOS-ის აშშ-ის ბაზარზე შესვლისთვის და იგი წარმოაჩინა, როგორც ნაკლები რისკის თამბაქოს პროდუქტი. მიუხედავად ამისა, იმდროინდელ კვლევებში ჩანს შეფასებები, რომ არ არსებობდა მკაფიო მტკიცებულება, რომ HTPs გამოყენება ამცირებდა ზიანს და არც ახალგაზრდა მომხმარებლების აღქმა და რისკები იყო ადეკვატურად შეფასებული (მაკელვი და სხვ., 2018). მეტიც, გამოვლინდა, რომ Philip Morris International-მა 56 ინგრედიენტის შესახებ

ინფორმაცია დამალა (Helen /ჰელენი და სხვ., 2018). 2018 წელს, აშშ-ის თამბაქოს პროდუქტების საკონსულტაციო კომიტეტმა (TPSAC) გასცა რეკომენდაცია, არ დაკმაყოფილებულიყო განაცხადი რომლითაც მოთხოვნილი იყო IQOS-ის შემცირებული რისკის პროდუქტად გაყიდვა (Abutaleb/აბუტალეები, 2018). ვითარება შეიცვალა 2020 წელს, როდესაც ამერიკის წამლებისა და სურსათის ადმინისტრაციამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა Philip Morris International-ის განაცხადი. ადმინისტრაციამ დაასკვნა, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილმა მონაცემებმა აჩვენა, რომ IQOS-მა შეიძლება შეამციროს მავნე ნივთიერებების ზემოქმედება, თუმცა იგი არ დაეთანხმა იმას, რომ IQOS ამცირებს დაავადებისა და სიკვდილის რისკს სიგარეტის მოწევასთან შედარებით და, შესაბამისად, ვერ აკმაყოფილებდა „რისკის მოდიფიკაციის“ უფრო მაღალ სტანდარტს (tobaccotactics.org, 2023).

IQOS-ის მსგავსი პროდუქტი გაჩნდა კორეის ბაზარზეც 2017 წელს. კერძოდ, KT&G, უმსხვილესმა კორეულმა თამბაქოს კომპანიამ, კორეის ბაზარზე შიტანა ინოვაციური პროდუქტი - HTPs-სთვის განკუთვნილი თამბაქოს ღერები არომატიზირებული კაფსულებით (tobacco sticks with flavour capsules for HTPs /capsule heat- sticks) (Thrasher et al./თრეშერი და სხვ., 2017). ეს კაფსულა არის მცირე ზომის კოლოფი, რომელიც შეიცავს არომატიზატორებს და მისი დანიშნულებაა შესასუნთქი აეროზოლის არომატიზირება, რაც მომხმარებლების მიერ, HTPs მოხმარების ნებისმიერ დროს კაფსულის დაზიანების/გატეხვის შედეგად მიიღწევა (ჩო & თრეშერი, 2019). არომატიზირებული კაფსულები პირველად იაპონიაში დაინერგა 2007 წელს და იგი გამიზნული იყო მხოლოდ ტრადიციული სიგარეტებისთვის, რასაც მოჰყვა ამ პროდუქტის სწრაფი გავრცელება და სიგარეტის ბაზრის წილის ზრდა მთელ მსოფლიოში (თრეშერი და სხვ., 2017).

ბაზარზე ამჟამად წარმოდგენილი IQOS-ები არ შეიცავს კაფსულებს, თუმცა მისი თამბაქოს ღერები შეიცავს სხვადასხვა არომატებს, როგორცაა მოხალული თამბაქო, მენტოლი, ტყის ხილი, ალაო, ჩაი, თხილი, ციტრუსი და სხვა (iqos.com, 2024). საქართველოს ბაზარზე ამჟამად ხელმისაწვდომია შვიდი სხვადასხვა არომატის მქონე ღერები (iqos.com, 2024).

მსგავსი პროდუქტია კომპანია British American Tobacco-ს (BAT) პროდუქტი „glo“, რომელიც პირველად 2017 წლის აგვისტოში იქნა შეტანილი კორეის ბაზარზე, და მისი ღერები (Dunhill Neosticks) არ შეიცავდა კაფსულებს (ჩო & თრეშერი, 2019).

სამეცნიერო ლიტერატურაში ფიგურირებს ვარაუდი, რომ რადგან არომატების შემცველი კაფსულიანი სიგარეტი იზიდავს ახალგაზრდებს და აღიქმება, როგორც უფრო ტრენდული და ნაკლებად მავნე ჩვეულებრივ სიგარეტთან შედარებით, კაფსულიანი

HTPs-იც შეიძლება აღმოჩნდეს ასეთივე მოსაწონი მომხმარებლებისთვის (ჩო & თრეშერი, 2019). კაფსულიანი სიგარეტის მსგავსად, HTPs-ის კაფსულიანი ღერებიც შეიცავს მენტოლს და სხვა არომატებს, რომლებსაც შეუძლიათ თამბაქოს მძაფრი გემოს შენიღბვა და იგი შესაძლოა მოსაწონი იყოს არამწვევლი ქალებისა და ახალგაზრდებისთვის (ჩო & თრეშერი, 2019).

1.3.2.2. გავლენა ჯანმრთელობაზე

ბოლო წლებში, HTPs დაწინაურდა იმგვარი წარმოდგენით, რომ ისინი შემცირებული ზიანის მქონე პროდუქტებია ან/და ესაა პროდუქტები, რომლებსაც შეუძლიათ დაეხმარონ ადამიანებს თავი დაანებონ ტრადიციული თამბაქოს მოწევას, თუმცა, HTPs, ისევე როგორც ყველა სხვა სახის თამბაქოს პროდუქტი, არსებითად ტოქსიკურია და შეიცავს კანცეროგენებს (ჯანმო, 2023). კვლევები, რომლებიც აჩვენებს HTPs-ის შემცირებულ ტოქსიკურობას და შესაბამისად, საუბრობს მის შემცირებულ ზიანზე, ძირითადად თამბაქოს ინდუსტრიის მიერ დაფინანსებულია (Jankowski et al./იანკოვსკი და სხვ., 2019), შესაბამისად, არაა სანდო. იმ დაშვების გაკეთების შემთხვევაშიც კი, რომ HTPs ტრადიციულ სიგარეტებთან შედარებით ნაკლებ ტოქსიკურ ქიმიურ ნივთიერებებს გამოყოფს, არ იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ ეს პროდუქტები სრულიად თავისუფალია ჯანმრთელობის რისკებისაგან (იანკოვსკი და სხვ., 2019). მეცნიერთა ნაწილი ვარაუდობს, რომ HTPs ტრადიციულ თამბაქოსთან შედარებით ნაკლებად საზიანოა, მაგრამ ისინი ვერ უვლიან გვერდს ფაქტს, რომ ეს პროდუქტები მაინც შეიცავს ჯანმრთელობისთვის რისკებს (იანკოვსკი და სხვ., 2019). HTPs-ის მოწყობილობები თამბაქოს გახურებისას ან თამბაქოს შემცველი მოწყობილობის გააქტიურებისას წარმოქმნიან აეროზოლებს, რომლებიც შეიცავს ნიკოტინს და ტოქსიკურ ნივთიერებებს. წარმოქმნილი აეროზოლები, რომლებიც მომხმარებლის მიერ შეისუნთქება პირით მოქაჩვის/მოწევის პროცესში, შეიცავს მაღალი მიჯაჭვულობის/დამოკიდებულების თვისების მქონე ნივთიერებას - ნიკოტინს, არათამბაქოს დანამატებს და ხშირად, სხვადასხვა არომატიზატორებს. კვლევები აჩვენებს, რომ მაგალითად, ტკბილი არომატების გამოყენება ნიკოტინის შემცველ პროდუქტში აძლიერებს ნიკოტინის ზემოქმედებას ტვინზე (Kroemer et al./კროემერი და სხვ., 2018). ზოგიერთი არომატიზატორი ქიმიკატები, როგორცაა დიაცეტილი, დაკავშირებულია ფილტვების მძიმე დაავადებებთან (კრიშნან-სარინი და სხვ., 2019). დამოუკიდებელი კვლევები მიუთითებს ჯანმრთელობის პოტენციურ რისკებზე, როგორც HTPs-ის აქტიური, ასევე პასიური მომხმარებლებისთვისაც (იანკოვსკი და სხვ., 2019).

1.3.3. გავრცელება გლობალურად და საქართველოში

1.3.3.2. მსოფლიო და ევროკავშირი

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრონული სიგარეტი და HTPs მეტ-ნაკლებად მსოფლიოს გარკვეული ქვეყნებისთვის ახალია და წინა წლებში, ყველა ქვეყნის მიერ ჩატარებული ეროვნული კვლევა არ მოიცავდა კითხვებს ამ პროდუქტების მოხმარებასთან დაკავშირებით, გლობალურად ამ ნაწარმის გავრცელების ზუსტი ციფრის გამოთვლა რთულია (ჯანმო, 2024). მიუხედავად ამისა, პროდუქტის სახეობის მიხედვით (ელექტრონული სიგარეტი თუ HTPs) გარკვეული სურათის დანახვა შესაძლებელია ჯანმოს გათვლების საფუძველზე.

ჯანმოს მონაცემებით 2024 წლისთვის, მსოფლიოში 100 მილიონზე მეტი ადამიანი მოიხმარდა ელექტრონულ სიგარეტს, რომელთა შორისაა სულ მცირე 86 მილიონი ზრდასრული (მეტწილად მაღალშემოსავლიანი ქვეყნებიდან) და 15 მილიონი 13–15 წლის ბავშვი (ჯანმო, 2025). HTPs გლობალური გავრცელების სისტემური მიმოხილვის მიხედვით, ამჟამინდელი მომხმარებლების საერთო მაჩვენებელი 2015–2022 წლებში იყო 1.53%, ხოლო პროდუქტის ერთხელ მაინც გასინჯვის მაჩვენებელი 4.87% (Sun et al./სუნი და სხვ., 2023).

რაც შეეხება ევროკავშირს, მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ის მოხმარების მაჩვენებელი ამჟამად შედარებით დაბალია ევროკავშირის მთლიან მოსახელობაში, ამ პროდუქტებმა, განსაკუთრებით კი, ელექტრონულმა სიგარეტმა, სწრაფად მოიპოვა პოპულარობა ევროპის ქვეყნების მოზარდებშიც და გახდა ყველაზე ხშირად გამოყენებადი თამბაქოს ნაწარმი ზოგიერთ ქვეყანაში (ფელიუ და სხვ., 2023). 2020 წელს, ევროკავშირში და გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ გამოკითხულთა შვიდიდან ერთ ადამიანს (14%) ერთხელ მაინც უცდია ელექტრონული სიგარეტის მოხმარება, ხოლო ოციდან ერთმა (6%) აღნიშნა, რომ ერთხელ მაინც უცდია HTPs-ის მოხმარება (ევროკომისია, 2020). ზოგადად, ელექტრონული სიგარეტის მოხმარება ევროპაში უფრო ხშირია მამაკაცებში, მოზარდებში, ახალგაზრდებში, მწვევლებში და ყოფილ მწვევლებში (Kapan et al./კაპანი და სხვ., 2020).

HTPs, ევროკავშირის ბაზარზე 2014 წელს გამოჩნდა და მისი გაყიდვის მოცულობები 2018-დან 2020 წლამდე 20-ჯერ გაიზარდა (ლიეცმანი & მულაკი, 2023). ევროკავშირის წევრ ქვეყნებში HTPs-ის მოხმარების მაჩვენებელი 15 წელზე უფროსი ასაკის მოქალაქეებში 2020 წელს უფრო დაბალი იყო, ვიდრე ელექტრონული სიგარეტების მოხმარების მაჩვენებელი (ევროკომისია, 2021). თუმცა, ეს გავრცელება საგრძნობლად

გაიზარდა 2017 წლიდან და 2022 წლის მონაცემებით მისმა მოხმარების მაჩვენებელმა 1.8%-ს მიაღწია (Gallus et al./გალუსი და სხვ., 2022). ამ წლისთვის ჩეხეთი იყო ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის HTPs-ის ოდესმე მოხმარებელთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლით (14.6%), შემდეგ მოდიოდა ლატვია (13.8%) და ირლანდია (12.3%) (ფელიუ და სხვ., 2023). ამავე წლის მონაცემებით, ყველაზე დაბალი პრევალენტობა საფრანგეთს ჰქონდა (2.8%), შემდეგ მოდის პოლონეთი (3.8%) და მალტა (3.9%) (ფელიუ და სხვ., 2023). ამასთან, კვლევამ გამოავლინა, რომ 15-24 წლის ასაკის ადამიანები მნიშვნელოვნად უფრო ხშირად აფიქსირებდნენ HTPs-ის პროდუქტების ოდესმე, მიმდინარე და ყოველდღიურ გამოყენებას უფროს ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით (ფელიუ და სხვ., 2023).

1.3.3.3. საქართველო

საქართველოში, გასულ წლებში ჩატარებული რამდენიმე წარმომადგენლობითი კვლევა აჩვენებს თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარების გავრცელების ბოლოდროინდელ ტენდენციას: ESPAD-ის კვლევის მიხედვით, 15-16 წლის მოსწავლეებში ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი (ბოლო 30 დღის განმავლობაში) მოხმარება 2019 წელს არსებული 7%-დან 14%-მდე გაიზარდა 2024 წელს, ხოლო HTPs-ის მოხმარება ამავე წლებში გაიზარდა 3%-დან 4%-მდე. 2023 წლის თამბაქოს მოხმარების გლობალური კვლევა ახალგაზრდებში (GYTS) მონაცემებით, რომლის ასაკობრივი ჯგუფი 13-15 წელია, მოსწავლეებში ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღის განმავლობაში მოხმარება) 11.3%-ს შეადგენს (GYTS 2023). ზრდასრულ მოსახლეობაში ახალი პროდუქტების გავრცელება შეფასებულია GATS 2025-ის მიხედვით: HTPs-ს ამჟამად მოიხმარდა ზრდასრულთა 1.9% (55.2 ათასი ადამიანი), ხოლო ელექტრონულ სიგარეტს – 1.7% (51.5 ათასი ადამიანი) (GATS, 2025, გამოუქვეყნებელი).

1.4. ახალგაზრდების აღქმები და სოციალური ნორმები თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ

ახალგაზრდების აღქმები და სოციალური ნორმები თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მეტ-ნაკლებად განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია დამოკიდებულებები იმის მიხედვით, თუ რომელ პროდუქტს ეხება საქმე - ელექტრონულ სიგარეტს თუ HTPs-ს. მიუხედავად ამისა, რიგი კვლევებისა აჩვენებს ზოგად ტენდენციას, რომლის მიხედვით არომატიზატორები ახალგაზრდებში გადამწყვეტ როლს თამაშობს ელექტრონული სიგარეტის და HTPs მოხმარების ცდაში და დაწყებაში (Denlinger-Apte et

al./დენლინგერ-აპტე და სხვ., 2020). ეს არომატები ემსახურება ნიკოტინის მძაფრი გემოს შენიღბვას და აადვილებს ელექტრონული სიგარეტის მოხმარების დაწყებას ახალგაზრდებზე ფოკუსირებით, ისევე, როგორც აადვილებს პროდუქტის რეგულარულ გამოყენებას (კრიშნან-სარინი და სხვ., 2019).

1.4.1. ახალგაზრდების ცოდნა და აღქმა ელექტრონული სიგარეტის შესახებ მიუხედავად თამბაქოს ინდუსტრიის განცხადებებისა, რომლებიც ახდენენ ელექტრონული სიგარეტის, როგორც მოწვევის ჯანსაღი ალტერნატივის საშუალების რეკლამირებას და ასევე, მიუხედავად კვლევებისა, რომლებიც ადასტურებენ ამ პროდუქტის გამოყენების ეფექტურობას ტრადიციული თამბაქოს ნაწარმის მოწვევის შეწყვეტის ან/და შემცირების პროცესში, ეს მტკიცებულებები არ არის საკმარისი და სანდო ზემოაღნიშნული დასკვნების გამოსატანად (პალმისანი და სხვ., 2020). არსებობს კვლევები, რომელიც ეჩვენებს ელექტრონული სიგარეტების გამოყენებასა და მოწვევაზე თავის დანებებას შორის კავშირს, და მეტიც, ხაზს უსვამს რისკებზე, რაც ამ პროდუქტით ტრადიციული ნაწარმის მოხმარების ჩანაცვლებას ან ორივე პროდუქტის ერთდროულად გამოყენებაში ვლინდება (პალმისანი და სხვ., 2020).

ამის მიუხედავად, ცხადია, მარკეტინგი მუშაობს და მისი მსხვერპლი პირველ რიგში, მეტწილად ახალგაზრდები არიან. მაგალითად, პაკისტანის ქალაქში მცხოვრები მოზარდების გამოკითხვამ აჩვენა, რომ ტრადიციული სიგარეტის ზოგიერთი მომხმარებელი გადავიდა ელექტრონულ სიგარეტზე ჯანმრთელობაზე ნაკლები ზიანის მიყენების იმედით (Qureshi/კურეში & Mumtaz/მუმთაზი, 2024). იორდანის კოლეჯის სტუდენტებს შორის ჩატარებული კვლევის შედეგებმა კი გამოავლინა, რომ გამოკითხულთა 33%-ს სჯეროდა რომ ელექტრონული სიგარეტი არ იწვევს დამოკიდებულებას (Khader/ქადერი, 2020). ამავე სტუდენტების 32%-მა თქვა რომ იგი ეხმარება მათ მოწვევისთვის თავის დანებებაში და 62.5% თქვა რომ არაა ისეთი მავნე როგორც ტრადიციული თამბაქოს მოხმარება (ქადერი, 2020).

საუდის არაბეთის უნივერსიტეტის პირველკურსელთა გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ გამოკითხულთა 27.4%-ს ოდესმე მოუწევია ელექტრონული სიგარეტი, ხოლო 13.5% იყო ამჟამინდელი მომხმარებელი, რომელთა უმეტესობამ ელექტრონული სიგარეტის მოხმარება დაახლოებით 16 წლის ასაკიდან დაიწყო (Alduraywish et al./ალდურაივიში და სხვ., 2023). სტუდენტებს გააჩნდათ ცოდნა ელექტრონული სიგარეტის ჯანმრთელობაზე რისკების შესახებ, თუმცა მათ დიდ ნაწილს ეს რისკები ტრადიციულ სიგარეტთან

შედარებით ნაკლებად მიაჩნდათ (ალდურაივიში და სხვ., 2023). გვატემალაში ჩატარებული კვლევის შედეგებმა, რომელიც საშუალო სკოლის მოსწავლეებში თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმის მიმზიდველობას აფასებდა დისკრეტული არჩევანის ექსპერიმენტის (DCE) გამოყენებით, აჩვენა, რომ მოსწავლეებს გააჩნდათ უფრო დიდი ინტერესი ელექტრონული სიგარეტების მიმართ, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის და HTPs-ის მიმართ (Monzón et al./მონსონი და სხვ., 2021). ამასთან, მათთვის ეს პროდუქტი უფრო მიმზიდველი იყო და სახელდებოდა ნაკლები ზიანის მომტან პროდუქტად ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით (მონსონი და სხვ., 2021). ამასთან, არომატიზირებული პროდუქტები ყველაზე დადებითად იქნა შეფასებული სტუდენტების მხრიდან (მონსონი და სხვ., 2021).

ერთ-ერთი სტატია, რომელიც მიმოიხილავს ელექტრონული სიგარეტების (ცნობილი, როგორც JUUL) აღქმას და გამოყენებას აშშ-ის კოლეჯის სტუდენტებს შორის, აჩვენებს, რომ ახალგაზრდები ამ პროდუქტებს, პირველ რიგში, მიმზიდველი გემოს გამო იყენებენ (მეჟა, 2019). სტატიის თანახმად, კოლეჯის სტუდენტების 70%-ზე მეტი უპირატესობას ანიჭებს არომატიზირებულ ელექტრონულ სიგარეტს, ხოლო 81% არომატებს ასახელებს ამ პროდუქტების გამოყენების ძირითად მიზეზად (მეჟა, 2019). ამავე სტატიაში ნახსენებია ტერმინი „ტექნოფილიაც“, რაც ახალი ტექნოლოგიებისადმი მიზიდულობას ნიშნავს და როგორც ავტორი უთითებს, მასაც მნიშველოვანი როლი აქვს ახალგაზრდებში ელექტრონული სიგარეტის მოხმარების გავრცელებასთან.

კვლევები საუბრობენ ასევე სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე პოპულარულ არომატებზეც. ამერიკაში ჩატარებული The Population Assessment of Tobacco and Health (PATH) კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ მოზარდებში ელექტრონული სიგარეტის ყველაზე პოპულარული არომატი იყო ხილი, ტკბილეული და სხვა არომატები (Soneji et al./სონეჯი და სხვ., 2019). ახალგაზრდებში პოპულარობით სარგებლობდა ხილი, კარამელი და პიტნა/მენტოლი, ხოლო ზრდასრულები უპირატესობას ანიჭებდნენ თამბაქოს ან სხვა გემოს, ხილს და პიტნას/მენტოლს (სონეჯი და სხვ., 2019). კვლევამ ასევე აჩვენა, რომ მოზარდები და ახალგაზრდები უფრო ხშირად იყენებდნენ ხილის და ტკბილეულის არომატის მქონე ელექტრონულ სიგარეტებს და ამასთან, ისინი უფრო ხშირად იყენებდნენ რამდენიმე არომატს ერთდროულად. მსგავსი მიგნებები გამოვლინდა კვლევიდანაც, რომელმაც გამოიკვლია არომატიზირებული ელექტრონული სითხეების მიმართ მომხმარებელთა განწყობები და აღქმები სოციალურ მედიაში. კვლევამ აჩვენა, რომ ხილის არომატის იყო ყველაზე პოპულარული ელექტრონული სიგარეტის

მომხმარებლებს შორის, სოციალურ მედიაში (Lu et al./ლუ და სხვ., 2020). დადებითი განწყობები ფიქსირდებოდა სხვა არომატების მიმართაც, გარდა სასმელისა და თამბაქოს არომატებისა, რომელზეც ნაკლებად დადებით რეაქციებს გამოხატავდნენ (ლუ და სხვ., 2020).

ზემოაღნიშნული დასკვნები აჩვენებს ახალგაზრდების რწმენებს, ელექტრონული სიგარეტის ნაკლებმავნებლობასთან, ან მოწვევისთვის თავის დანებებაში ხელშეწყობასთან დაკავშირებით, თუმცა მათი ქცევების შეფასება მეტყველებს საპირისპიროზე. ახალი ზელანდიის მონაცემებზე დაყრდნობით გამოქვეყნებული 2025 წლის სტატია უთითებს, რომ 14-15 წლის მოზარდებში ელექტრონული სიგარეტის მოხმარების სწრაფ ზრდას ყოველდღიური მოწვევის კლების ტემპზე მცირე ან საერთოდ არანაირი გავლენა არ მოუხდენია (Egger et al., ეგერი და სხვ., 2025). ჯაკარტაში ჩატარებული ჯვარედინ-სექციური კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ელექტრონული სიგარეტის მწვეელი 937 სუბიექტიდან მხოლოდ 34,2% იყო ამ პროდუქტის მოხმარებაზე გადასვლამდე ტრადიციული თამბაქოს ნაწარმის მწვეელი, რაც ნიშნავს, რომ 65,8%-მა დაიწყო მოწვევა უშუალოდ ელექტრონული სიგარეტით (Samoedro et al./სამოედრო და სხვ., 2021). ავსტრალიაში ჩატარებული 2024 წლის კვლევის მიხედვით, 14-17 წლის ბავშვებში ტრადიციული სიგარეტის მოწვევის დაწყების მაჩვენებელი მათთვის, ვინც ოდესმე მოიხმარდა ელექტრონულ სიგარეტს, თითქმის 5-ჯერ მეტი იყო, მათთან შედარებით, ვისაც არასდროს მოუხმარია იგი (Egger et al./ეგერი და სხვ., 2024).

ელექტრონული სიგარეტის მოხმარების დაწყების მიზეზებთან დაკავშირებით, - კვლევამ აჩვენა, რომ იმ რესპოდენტთა 79.1%, რომელიც გადავიდა ტრადიციული თამბაქოს ნაწარმის მოწვევიდან ელექტრონული სიგარეტის მოხმარებაზე, ამ პროდუქტის მოხმარების მიზეზად ასახელებდა ნიკოტინის ჩანაცვლებით თერაპიას (NRT), 13.7% უკეთეს გემოს, ხოლო 1.8% ახალგაზრდულ ტენდენციებს (სამოედრო და სხვ., 2021). 2020 წელს ავსტრალიაში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მოზარდები, რომლებიც მოიხმარდნენ ალკოჰოლურ სასმელს და ეწეოდნენ სიგარეტს, ყველაზე ხშირად იყენებდნენ ელექტრონულ სიგარეტსაც (Leung et al./ლეუნგი და სხვ., 2023). ამგვარად, სახეზე იყო ორმაგი მოხმარება. გარდა ამისა, ცალკეულ ქვეყნებში დადგინდა ელექტრონული სიგარეტის მოხმარების უარყოფითი გავლენა მოზარდების ქცევებზე. ნიდერლანდებსა და ბელგიაში 10-18 წლის მოსწავლეების 2018 წლის გამოკითხვამ აჩვენა, რომ ელექტრონული სიგარეტის მოხმარებლებს ჰქონდათ დეპრესიის სიმპტომების, იმპულსურობის, დანაშაულებრივი ქცევის და მოწვევის პოზიტიური მოლოდინის მაღალი

დონე (Martinelli et al./მარტინელი და სხვ., 2021). პედიატრიის საერთაშორისო ასოციაციამ ელექტრონული სიგარეტის გამოყენებასთან დაკავშირებულ გლობალურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, 2025 წელს გამოაქვეყნა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ელექტრონული სიგარეტების სასარგებლო როლი ახალგაზრდებში ან მოზრდილებში მოწვევისთვის თავის დანებების კუთხით არ დასტურდება და ამის ნაცვლად, ხშირია ორმაგი გამოყენება (ელექტრონული სიგარეტისა და სიგარეტის ერთდროულად გამოყენება) და ხანგრძლივი ნიკოტინზე დამოკიდებულება (არორა და სხვ., 2025). ელექტრონული სიგარეტის გამოყენება ასოცირდება გულ-სისხლძარღვთა, მეტაბოლურ, რესპირაციულ, პირის ღრუს დაავადებებთან და კიბოსთან, სადაც ორმაგი მომხმარებლები უფრო დიდ ჯანმრთელობის რისკებს აწყდებიან, ვიდრე მხოლოდ სიგარეტის მწეველები (არორა და სხვ., 2025).

პაკისტანში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელიც აფასებდა ქალაქში მცხოვრები მოზარდების აღქმას ელექტრონული სიგარეტის მიმართ, გამოვლინდა, რომ კვლევაში მონაწილეებმა იცოდნენ ამ პროდუქტების ჯანმრთელობის რისკებთან დაკავშირებით, მაგრამ ამის მიუხედავად ისინი მაინც აგრძელებდნენ მის მოხმარებას რამდენიმე მიზეზის გამო: დამოკიდებულება, სტრესის შემსუბუქება ან სამედიცინო პრობლემების შემცირება (კურეში & მუმთაზი, 2024). იგივე კვლევამ დაადგინა, რომ ელექტრონული სიგარეტის გამოყენება განსაკუთრებით პოპულარული იყო ახალგაზრდებში მისი სოციალური მიმდებლობის, მიმზიდველი გემოსა და სურნელის გამო (კურეში & მუმთაზი, 2024). ამასთან, კვლევამ დაადგინა, რომ ელექტრონული სიგარეტის მომხმარებლებში იმაზე მეტი იყო სხვა ნივთიერებების მოხმარების რიცხვი, ვიდრე მათში, რომლებსაც არასდროს მოუხმარიათ ელექტრონული სიგარეტი (მარტინელი და სხვ., 2021). მოსწავლეებს, რომლებიც მოიხმარდნენ თამბაქოს არომატის მქონე, უნიკოტინო ელექტრონულ სიგარეტებს, ჰქონდათ სხვა ნივთიერებების მოხმარების ნაკლები რისკ-ფაქტორი იმათთან შედარებით, ვინც იყენებდა თამბაქოს არომატის მქონე და ნიკოტინის შემცველ ელექტრონულ სიგარეტს (მარტინელი და სხვ., 2021).

რაც შეეხება ელექტრონული სიგარეტის მოხმარების მაჩვენებლის გადანაწილებას სქესთა შორის, ნიდერლანდებსა და ბელგიაში 10-18 წლის 2794 მოსწავლის 2018 წლის გამოკითხვის მონაცემებმა აჩვენა, რომ ელექტრონული სიგარეტის მომხმარებლები უფრო ხშირად იყვნენ ბიჭები, ასევე, დაბალი განათლების დონის მქონე მოსწავლეები, და უფრო ხშირად მათი ოჯახის წევრი ან მეგობარი იყო მწეველი (მარტინელი და სხვ., 2021).

1.4.2. ახალგაზრდების ცოდნა და აღქმა გასახურებელი თამბაქოს (HTPs) შესახებ HTPs-ის შესახებ ახალგაზრდების აღქმა გარკვეულწილად ჰგავს მათ აღქმებს ელექტრონული სიგარეტების მიმართ. ჰონგ კონგში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ HTPs-ის 2017 წლის მოხმარების მაჩვენებელი 5.7%-დან 2020 წლისთვის 37.9%-მდე გაიზარდა და მომხმარებლები პროდუქტის მოხმარების დაწყების მიზეზად ცნობისმოყვარეობას ასახელებდნენ (Ho et al./ჰო და სხვ., 2020). ამავე კვლევამ აჩვენა, რომ HTPs-ის მომხმარებლები ელექტრონული სიგარეტის მსგავსად, ამ ნაწარმს აღიქვამდნენ ტრადიციულ სიგარეტზე ნაკლებად მავნე პროდუქტად და თვლიდნენ, რომ იგი დაეხმარებოდათ მათ მოწევაზე თავის დანებებაში (ჰო და სხვ., 2020).

მსგავსი მიგნება გამოიკვეთა იაპონიაში ჩატარებული კვლევითაც. იაპონიაში თამბაქოს ინდუსტრია HTPs-ს წარმოაჩენს როგორც ტრადიციულ სიგარეტზე უფრო უსაფრთხო პროდუქტად (Gravelly et al./გრეიველი და სხვ., 2020). ამ მოსაზრებას იზიარებს მწეველთა 47.5%, ხოლო 24.6%-ს მიაჩნია, რომ ეს პროდუქტები და ტრადიციული სიგარეტები თანაბრად საზიანოა (გრეიველი და სხვ., 2020). როგორც კვლევით ირკვევა, ადამიანებზე დიდი გავლენა აქვს HTPs-ის რეკლამას, ბევრი მწეველი და განსაკუთრებით ის, ვინც იყენებს გასახურებელ პროდუქტს და ვინც ხედავს ამ პროდუქტების რეკლამას, თვლის, რომ HTPs ნაკლებად საზიანოა ვიდრე ტრადიციული სიგარეტი (გრეიველი და სხვ., 2020). მსგავსი ტენდენცია იკვეთება კორეაში ჩატარებული კვლევითაც: აქ ჩატარებულ კვლევაში მონაწილეთა 16.8% HTPs-ის განიხილავდა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით ნაკლებად საზიანოდ, 11.2%-ს სჯეროდა, რომ HTPs დაეხმარებოდათ მათ მოწევის შეწყვეტაში (Kim et al./კიმი და სხვ., 2020).

ევროპის ექვს ქვეყანაში (გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი და ესპანეთი) ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 2016 და 2018 წლებში ზრდასრული მოსახლეობის მწეველებს შორის HTPs-ის შესახებ ინფორმირებულობის დონე გაიზარდა 8%-დან 17%-მდე ორ ტალღას შორის, თუმცა ასევე გაიზარდა ამ პროდუქტების მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოყენება 1.1%-დან 1.9%-მდე და ამასან, უფრო მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბერძნეთსა და რუმინეთში, დაახ. 4% (Lotrean et al./ლოტრინი და სხვ., 2020). ავტორები აღნიშნავენ, რომ ამ მონაცემების ზრდაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რამდენიმე ფაქტორმა, მათ შორის, HTPs-ის, როგორც ნაკლებად მავნე პროდუქტად აღქმამ (ლოტრინი და სხვ., 2020).

იგივე მიზეზი დასახელდა HTPs-ის მოხმარებისთვის ევროკავშირის 27 ქვეყანაში და დიდ ბრიტანეთში 2020 წელს ჩატარებული კვლევითაც (Laverly et al./ლევერტი და სხვ., 2021).

კვლევამ, ამასთან ერთად, ასევე აჩვენა, რომ HTPs-ის მომხმარებლები ძირითადად 15-24 წლის ასაკის ადამიანები და ამჟამინდელი ან ყოფილი მწეველები არიან (ლევერტი და სხვ., 2021).

კვლევები არსებობს კონკრეტულად IQOS-ის პროდუქტის ირგვლივაც: 2019 წელს აშშ-ის ბაზარზე IQOS-ის გამოჩენიდან მალევე, ჩატარდა კვლევა, რომელმაც გამოიკვლია ახალგაზრდების აღქმები HTPs-ის მიმართ და გამოვლინდა, რომ ახალგაზრდების ინტერესზე მოქმედებდა შემდეგი ფაქტორები: პროდუქტის დიზაინი, ზიანის შემცირება ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით, ტექნოლოგიური სიახლე და მაღალი ღირებულება (კიმი და სხვ., 2020). ამავე კვლევამ გამოავლინა, რომ კვლევის მონაწილეები IQOS-ს აღიქვამდნენ როგორც ტრადიციულ სიგარეტზე უფრო უსაფრთხო პროდუქტად მისი გახურების ტექნოლოგიის გამო (კიმი და სხვ., 2020).

იაპონიაში ჩატარებული კვლევა უთითებს, რომ IQOS-ის დახვეწილმა და მაღალტექნოლოგიურმა მარკეტინგმა შეიძლება მიიზიდოს ახალგაზრდები და კულტურულმა ფაქტორებმა, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მიმზიდველობაზე (Hair et al./ჰეირი და სხვ., 2018). იაპონიაში IQOS ბაზარზე იყიდება, როგორც სუფთა და ელექტრონული პროდუქტი, რომელიც კულტურული ფასეულობების გამო კარგად დამკვიდრდა (ჰეირი და სხვ., 2018). კვლევებმა აჩვენა, რომ იაპონელი მომხმარებლები ხშირად იყენებდნენ IQOS-ს არამწეველებთან სოციალიზაციისთვის (ჰეირი და სხვ., 2018). დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, არსებული კვლევები შემდეგ სურათს აჩვენებს: ჰოლანდიელ 13 წლის და უფროსი ასაკის მოზარდებში ჩატარებული ონლაინ გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ თამბაქოს ახალი პროდუქტების შესახებ ინფორმირებულობა და გამოყენება ძირითადად უფრო მაღალი იყო ბიჭებში (Havermans et al./ჰავერმანსი და სხვ., 2021). გამოკითხვაში მონაწილეთა უმეტესობამ ამ პროდუქტების შესახებ შეიტყო ნაცნობი ადამიანებისგან, მათი გამოყენების ძირითადი მიზეზები კი, იყო ცნობისმოყვარეობა, სასიამოვნო გემო, გემოს მრავალფეროვნება და რწმენა იმისა, რომ ეს პროდუქტები სიგარეტზე ნაკლებად საზიანოა (ჰავერმანსი და სხვ., 2021).

1.5. თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ჩარჩო

1.5.1. გლობალური ჩარჩო

ჩარჩო კონვენცია წარმოადგენს პირველ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ადგენს გლობალურ სტანდარტებს თამბაქოს კონტროლის ეროვნული პოლიტიკისთვის

ჯანმოს ეგიდით (ჯანმო, 2003). კონვენცია თითქმის საყოველთაოდ მიღებულია და აერთიანებს 183 მხარე ქვეყანას, რაც მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 90%-ს ფარავს (ჯანმოს ჩარჩო კონვენცია, 2024). ჩარჩო კონვენცია თავდაპირველად შეიქმნა თამბაქოს ტრადიციული ნაწარმით გამოწვეული ეპიდემიის საპასუხოდ, თუმცა დროის ცვლილებასთან ერთად, შეიცვალა თამბაქოს ნაწარმის სახეობები და როგორც ზემოთ აღინიშნა, დაწინაურდა თამბაქოს ახალი პროდუქტები. წლიდან წლამდე, სულ უფრო იზრდება ჩარჩო კონვენციის მხარე ქვეყნების წილი, რომელთა ეროვნულ ბაზარზე ხელმისაწვდომია ელექტრონული სიგარეტები (მ/შ ENDS & ENNDS) და HTPs. კერძოდ, თუ 2020 წელს ENDS ხელმისაწვდომი იყო ჯანმოს წევრი ქვეყნების 65 ქვეყანაში, 2023 წელს ეს რიცხვი 74-მდე გაიზარდა (ჯანმო, 2023). ENNDS-ის შემთხვევაში ეს რიცხვი 2020 წელს 38, ხოლო 2023 წელს 52 იყო; რაც შეეხება HTPs-ს, 2020 წელს იგი წარმოდგენილი იყო ჯანმოს წევრ 38 ქვეყანაში, ხოლო 2023 წლისთვის უკვე 49 ქვეყანაში გავრცელდა (ჯანმო, 2023). 2018 წლის ოქტომბერში, ჩარჩო კონვენცია შეეხო თამბაქოს ახალ ნაწარმს, მათ შორის HTPs-ს, მაგრამ გაურკვეველობა რჩება მათ კლასიფიკაციასთან და რეგულირებასთან დაკავშირებით (Gruszczynski/გრუშჩინსკი & Melillo/მელილო, 2020). მიუხედავად ახალი ნაწარმის ფართო გავრცელებისა, ცალკეული ქვეყნები ამ დრომდე რეგულირების მიღმა ტოვებენ თამბაქოს ახალ ნაწარმს. მაგალითად, ENDS-ის კონტროლისკენ მიმართული პოლიტიკა ან რეგულირება 2023 წლის მდგომარეობით არსებობს ჯანმოს წევრ 60 ქვეყანაში (ჯანმო, 2023). ENNDS-ის მარეგულირებელი პოლიტიკა დანერგილია მხოლოდ 36 ქვეყანაში, ხოლო HTPs რეგულირდება 43 ქვეყანაში, რაც ჩამორჩება ამ პროდუქტის მსოფლიოს ქვეყნებში გავრცელების რიცხვს (ჯანმო, 2023).

როგორც ზემოთ აღინიშნა, თამბაქოს ახალი ნაწარმი გარკვეულ შემთხვევებში არ ესადაგება ჩარჩო კონვენციით მოცემულ „თამბაქოს ნაწარმის“ განმარტებას. ეს უკანასკნელი თამბაქოს ნაწარმად მიიჩნევს თამბაქოს ფოთლისგან დამზადებულ პროდუქტს, რომელიც გამიზნულია მოწვევის, დალექვის, წუწვნის ან შესუნთქვისთვის (ჯანმოს ჩარჩო კონვენცია, 2003, მუხლი 1(F)). შესაბამისად, ჩარჩო კონვენციის გავრცელება და გამოყენება გასახურებელ თამბაქოს პროდუქტებზე კვლავ არის დებატებისა და განხილვის საგანი. HTPs არ წარმოქმნის კვამლს ტრადიციული გაგებით, არამედ წარმოქმნის აეროზოლებს შესუნთქვისთვის, რაც თავის მხრივ, დამუშავებული თამბაქოს გახურებით წარმოიშვება (გრუშჩინსკი & მელილო, 2020).

ისტორიული კონტექსტი ცხადყოფს, რომ ჩარჩო კონვენცია შექმნილია თამბაქოს ნაწარმის ფართო ასორტიმენტისთვის, თუმცა მისი შექმნის დროისთვის თამბაქოს ახალი ნაწარმი,

როგორცაა ელექტრონული სიგარეტი და HTPs, მოხსენიებული ვერ იქნებოდა კონვენციაში ამ პროდუქტების ბაზარზე გვიან გამოჩენის გამო. ამის მიუხედავად, ბოლოდროინდელი ინტერპრეტაციები იყენებს იმის მტკიცებას, რომ HTPs უნდა მოიაზრებოდეს ჩარჩო კონვენციის რეგულირების სფეროს ქვეშ, რადგან იგი შეიცავს თამბაქოს და ასევე მისი წარმოქმნილი აეროზოლები მოიხმარება მოწყობილობის მოწვევის შედეგად (გრუშჩინსკი & მელილო, 2020). ამგვარი განმარტება კი, ემთხვევა ჩარჩო კონვენციის მიზანს - დაფაროს თამბაქოს მოხმარების განვითარებადი მეთოდები (ჯანმოს ჩარჩო კონვენცია, 2003, პრეამბულა). ამის გარდა, თამბაქოს ახალი ნაწარმის კონვენციის რეგულირების ქვეშ მოქცევას მხარს ჯანმოს სხვადასხვა ანგარიშებიც ადგენს, თუმცა ჩარჩო კონვენციის ზოგიერთი დებულების ფარგლებში, როგორცაა მაგალითად თამბაქოს მოხმარებისა და დამოკიდებულების შემცირების ზომები, HTPs-ის მოქცევა კვლავ რჩება სადავო საკითხად (გრუშჩინსკი & მელილო, 2020).

1.5.2. ევროკავშირის მიდგომა

ევროკავშირმა 2005 წელს მოახდინა ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება და შემდგომში, ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ განახორციელა თამბაქოს კონტროლის ძირითადი პოლიტიკა (ფელიუ და სხვ., 2023). მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ქვეყნების მიხედვით, თუმცა მათი პოლიტიკა მეტწილად ეფუძნება TPD-ს. TPD ძალაში შევიდა 2014 წლის მაისში და სრულად განხორციელდა ევროკავშირის ქვეყნებში 2016-2018 წლებში (პალმისანი და სხვ., 2020).

თამბაქოს ახალი ბრენდების დაწინაურებამ და მათმა მომრავლებამ ევროკავშირის ბაზარზე, ევროკომისიას უბიძგა ცენტრალიზებულ, ონლაინ სისტემაზე გადასვლისკენ, რომლის საშუალებით გროვდება ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის სრული ქიმიური შემადგენლობისა და პროდუქტის მახასიათებლების შესახებ. სისტემა მოიცავს ონლაინ EU-CEG საინფორმაციო პორტალს, სადაც ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება აქვს თამბაქოს მწარმოებლებსა და იმპორტიორებს. ამ პორტალზე არსებული მონაცემების ანალიზმა აჩვენა, რომ ევროკავშირის 12 ქვეყანაში წარმოდგენილი 40 000 სახეობის თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობაში 90 000-ზე მეტჯერ იყო გამოყენებული TPD-ით განსაზღვრული პრიორიტეტული (Vardavas/ვარდავასი, 2022). ამასთან, მწვევლთა 90%-ზე მეტმა აღნიშნა, რომ სიგარეტის არომატი ყველაზე გადამწყვეტი პარამეტრი იყო მათთვის თამბაქოს ნაწარმის ბრენდის არჩევის პროცესში და იგი აჭარბებდა ფასის ან შეფუთვის პარამეტრებსაც კი (ვარდავასი, 2022). ამ არომატების ადამიანებზე გავლენის შეფასების

შედეგად, თამბაქოს კონტროლის დირექტივით 2016 წლის მაისიდან აიკრძალა მენტოლის დამახასიათებელი არომატის სიგარეტი და ხელით გასახვევი თუთუნი. მიუხედავად იმისა, რომ კვლევებმა აჩვენა მწვევლობის მაჩვენებლის 12.5%-ით შემცირება დირექტივის მიღების და განხორციელების შემდეგ, სამეცნიერო ლიტერატურაში საუბრობენ, რომ დიფერენცირებული რეგულირების არსებობა თამბაქოს ტრადიციულ ნაწარმსა და ელექტრონულ სიგარეტებს შორის, ქმნის საფრთხეს თამბაქოს მოხმარებლები გადავიდნენ ერთი ნაწარმის მოხმარებიდან მეორეზე (ვარდავასი, 2022). ამ გამოწვევის ფონზე, ევროკავშირის ზოგიერთმა წევრმა ქვეყნამ გაატარა დამატებითი ეროვნული ზომები ახალი ნაწარმის მოხმარების შესაზღუდად. მაგალითად, ნიდერლანდების სამეფომ 2023 წლიდან აკრძალა არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტების (Regeling Tabaks-en rookwaren/თამბაქოსა და მოსაწვეი ნაწარმის რეგულაცია, 2022) წარმოება, ხოლო 2024 წლიდან მისი განთავსება ბაზარზე. ასევე, საფრანგეთმა 2025 წლიდან აკრძალა ერთჯერადი ელექტრონული სიგარეტების რეალიზაცია და განთავსება ბაზარზე (Loi n° 2025-175/კანონი № 2025-175, 2025), რაც ეფუძნებოდა სახელმწიფო დაკვეთით ჩატარებულ კვლევებს და საჯარო კომუნიკაციას, რომლითაც ხაზი გაესვა აკრძალვის საჭიროებას გარემოსა და ახალგაზრდების დაცვის მიზეზით (Assemblée Nationale/ეროვნული ასამბლეა, 2023).

1.5.3. საქართველო და რეგიონული კონტექსტი

საქართველოს თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს თამბაქოს ნაწარმის შეფუთვის, მარკეტინგის ყოვლისმომცველი აკრძალვის, მეორადი კვამლისგან თავისუფალი გარემოს და სხვა, ჩარჩო კონვენციით განთვალისწინებულ საკითხებს, ფარავს თამბაქოს ახალ ნაწარმსაც (სკთკმ, 2010). თუმცა უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტები არ მიიჩნევა თამბაქოს ნაწარმად, რის გამოც იგი კანონმდებლობის მიღმაა (სკთკმ, 2010, მუხლი 3."ა"). TPD-სგან განსხვავებით, საქართველოს კანონმდებლობა არ კრძალავს და არც არეგულირებს არომატიზატორებსა და დანამატებს თამბაქოსა და მ/შ თამბაქოს ახალ ნაწარმში, თუმცა ადგენს ნიკოტინის დონეს ელექტრონული სიგარეტის სითხეებისთვის და ასევე, მოიცავს ვალდებულებას თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლებისა და იმპორტიორებისთვის, წარმოადგინონ თამბაქოს და მ/შ თამბაქოს ახალი ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია მათი ბაზარზე განთავსებამდე სამი თვით ადრე. საქართველოს მსგავსი კონტექსტის მქონე, და მეზობელ ქვეყნებში სხვადასხვაგვარი მიდგომაა. უკრაინაში 2024 წლის ივლისიდან ძალაში შევიდა არომატიზებული

სიგარეტებისა და ელექტრონული სიგარეტების სითხეების აკრძალვა (Law of Ukraine /უკრაინის კანონი № 1978-IX, 2021). თურქეთში 2020 წლის თებერვლიდან აკრძალულია ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ის იმპორტი კომერციული მიზნებისთვის (Presidential Decree/საპრეზიდენტო დეკრეტი № 2149, 2020). სომხეთში იკრძალება კონკრეტული მცენარეული და ქიმიური ნივთიერებების შემცველი ელექტრონული სიგარეტები (Law of the Republic of Armenia on Tobacco/სომხეთის რესპუბლიკის კანონი თამბაქოს შესახებ, 2020), ხოლო აზერბაიჯანში თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობა მოიცავს თამბაქოს ახალ ნაწარმსაც, თუმცა მათში არომატიზატორების რეგულირებაზე/აკრძალვაზე არაფერია ნათქვამი (Law No. 887-VQ/კანონი, 2017).

1.6. დასკვნა

განხილული ლიტერატურისა და საკანონმდებლო ჩარჩოების მიმოხილვა ცხადყოფს, რომ თამბაქოს ახალი ნაწარმის - ელექტრონული სიგარეტებისა და HTPs-ის გლობალური გავრცელება მზარდი ტემპით ხასიათდება. მოხმარების მაჩვენებლის ზრდის პარალელურად, იზრდება ამ პროდუქტების პოპულარობა ახალგაზრდებში, რასაც მკვლევრები ხშირად უკავშირებენ პროდუქტის მახასიათებლებს, კერძოდ არომატიზატორებს და „შემცირებული ზიანის“ აღქმას. მიუხედავად ჯანმოს ჩარჩო კონვენციის რეკომენდაციებისა და ევროკავშირის TPD-ის დებულებებისა - თამბაქოს ახალ ნაწარმში არომატიზატორების და ინგრედიენტების შეზღუდვის თაობაზე, საერთაშორისო დონეზე არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით. ევროკავშირის ცალკეული ქვეყანა და საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების ნაწილი გასცდა TPD-ით დადგენილ მინიმალურ სტანდარტს და სრულად აკრძალა არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი ან კონკრეტული პროდუქტი ბაზარზე. საქართველოში თამბაქოს (და მ/შ თამბაქოს ახალი) ნაწარმის შემადგენლობის ამ კუთხით რეგულირებისთვის ჯერ ნაბიჯები არ გადადგმულა. ამასთან, თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ ახალგაზრდების აღქმების შესახებ გლობალურად მზარდი კვლევების მიუხედავად, საქართველოში მტკიცებულებები შეზღუდულია. წინამდებარე ნაშრომი ცდილობს სწორედ ამ ხარვეზის შევსებას და შემდგომი თავები ეთმობა ახალგაზრდების მიერ თამბაქოს ახალი ნაწარმის აღქმების შესწავლისთვის ჩატარებული რაოდენობრივი კვლევისა და თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის კუთხით საქართველოში არსებული პოლიტიკის ანალიზის პროცესის აღწერას.

თავი II: თეორიული ჩარჩო

წინამდებარე ნაშრომის პირველი ამოცანის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს დაგეგმილი ქცევის თეორია (The theory of planned behavior (TPB)), რომელიც არის სოციალური შემეცნების თეორია და ფართოდ გამოიყენება ჯანმრთელობის ქცევის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლისთვის (Ajzen/აიზენი, 1991). თეორიის კლასიკური ფორმულირება წარმოდგენილია 1991 წლის ნაშრომში, სადაც დასაბუთებულია, რომ ქცევის განზრახვა განისაზღვრება ინდივიდის დამოკიდებულებით ქცევის მიმართ, სუბიექტური ნორმებითა და აღქმული ქცევის კონტროლით (აიზენი, 1991). თეორიის თანამედროვე ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფუძნება ბოლო წლების მეტა-ანალიზებს, ადასტურებს დაგეგმილი ქცევის თეორიის მაღალ პროგნოზულ მნიშვნელობას ჯანმრთელობის ქცევის კვლევებში, განსაკუთრებით იმ მიმართულებით, სადაც ხდება სოციალური პირობების, ჩვევების და სხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება (Hagger & Hamilton/ჰეგერი და ჰემილტონი, 2025). აქედან გამომდინარე, არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ ახალგაზრდების აღქმების შეფასების ნაწილში, ნაშრომი ეყრდნობა როგორც დაგეგმილი ქცევის თეორიის კლასიკურ კონცეფციას, ასევე მის თანამედროვე თეორიულ განვითარებებს.

კერძოდ, შეფასება იმისა, თუ როგორ ფორმირდება ახალგაზრდების სურვილი სცადონ ან დაიწყონ არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარება (intention) ეყრდნობა დაგეგმილი ქცევის თეორიის შემდეგ ძირითად კომპონენტებს.

- 1) დამოკიდებულება (Attitude): წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის იგულისხმება ინდივიდის დადებითი ან უარყოფითი შეფასება მოხმარების მიმართ (მაგალითად, „არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი ნაკლებად საზიანოა ჩემი/გარშემომყოფთა ჯანმრთელობისთვის“)
- 2) სუბიექტური ნორმები (Subjective Norms): წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის იგულისხმება აღქმული სოციალური წნეხი (მაგალითად, „არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარება სოციალურად მისაღებია“).
- 3) აღქმული ქცევითი კონტროლი (Perceived Behavioral Control): წინამდებარე კვლევის მიზნებისთვის იგულისხმება რამდენად მარტივად ან რთულად მიაჩნია ინდივიდს მოხმარების დაწყება/თავის დანებება (მაგალითად, „არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი ნაკლებად მიმჯაჭველია და თუ მომინდება მარტივად დავანებებ თავს“) (ჰეგერი და ჰემილტონი, 2025).


საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შეფასების ნაწილში, თეორიულ ჩარჩო ეფუძნება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს, კერძოდ, ჯანმოს ჩარჩო კონვენციასა და ევროკავშირის TPD-ს. ამ დოკუმენტებით დადგენილია თამბაქოს ნაწარმის რეგულირების მინიმალური მოთხოვნები, როგორცაა არომატიზატორების რეგულირება, შეფუთვის სტანდარტები, მარკეტინგის და რეკლამის აკრძალვა, მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმები. საქართველოს კანონმდებლობისა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზი მიემართება იმის დადგენას, რამდენად შეესაბამება ეროვნული მიდგომა საერთაშორისო სტანდარტებს და სად არსებობს ხარვეზები (Gap Analysis).

ამგვარად, წინამდებარე კვლევა იყენებს ორმაგ თეორიულ ჩარჩოს, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს არა მხოლოდ ახალგაზრდების აღქმების ანალიზი, არამედ შესაძლებელი იქნას ამ აღქმების კონტექსტის დაკავშირება ეროვნული პოლიტიკის ხარვეზებთან/ეფექტურობასთან. კერძოდ, დაგეგმილი ქცევის თეორიის კომპონენტები, როგორცაა დამოკიდებულება, სუბიექტური ნორმები და აღქმული ქცევითი კონტროლი, პირდაპირ შეიძლება განისაზღვროს პოლიტიკის მექანიზმებით: თუ ეროვნული რეგულაციები მკაცრია, ხელმისაწვდომობა შეზღუდულია, არომატიზატორები კონტროლდება და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები დანერგილია, ეს ცვლის სუბიექტურ ნორმებს, აყალიბებს უარყოფით დამოკიდებულებას, ზრდის ახალგაზრდებში აღქმულ კონტროლს და შესაძლოა შეცვალოს მათი ქცევითი განზრახვა თამბაქოს ახალი ნაწარმის მოხმარების განზრახვის თაობაზე. იმავე გზით, პოლიტიკის არარსებობა ან ხარვეზები ხელს უწყობს საპირისპირო აღქმების განვითარებას, სადაც დადებითი დამოკიდებულება ან სოციალური მიმღებლობა უფრო ადვილად უბიძგებს ახალგაზრდებს სცადონ ან გამოიყენონ არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი.

თავი III: კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევა შერეული მეთოდით განხორციელდა და გამოყენებული იქნა განმარტებითი თანმიმდევრული დიზაინი (Explanatory Sequential Design) (Sharma et al. / შარმა და სხვ., 2023). აღნიშნული მიდგომა ილუსტრირებულია ნახაზში 1 და იგი გულისხმობს ორფაზიან პროცესს, რომლის დროსაც მკვლევარი პირველ ეტაპზე აგროვებს რაოდენობრივ მონაცემებს, აანალიზებს მათ, და შემდეგ იყენებს მიღებულ შედეგებს კვლევის მეორე ეტაპის დასაგეგმად (შარმა და სხვ., 2023).

ნახაზი 1: განმარტებითი თანმიმდევრული დიზაინის სქემა



უფრო კონკრეტულად, წინამდებარე კვლევის პირველი ეტაპი ფოკუსირებული იყო არონმატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმისადმი (ელექტრონული სიგარეტები და HTPs) ახალგაზრდების აღქმების, რწმენებისა და სოციალური ნორმების შესწავლაზე. აღნიშნული მიზნისთვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური ონლაინ გამოკითხვა, რომლის საშუალებით შეგროვდა ინფორმაცია თამბაქოს ახალი ნაწარმისადმი სამიზნე ჯგუფის ინტერესისა და ამ პროდუქტების გამოყენების სხვადასხვა განმსაზღვრელი ფაქტორის შესახებ. გამოკითხვიდან მიღებული მონაცემები დაეხმარა კვლევის მეორე ეტაპის დაგეგმვას და განისაზღვრა ის ასპექტები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ანალიზის ეტაპზე.

კვლევის მეორე ნაწილი დაეთმო საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ანალიზს, რაც განხორციელდა ჯანმრთელობის დაცვის კონვენციასთან და მისი განხორციელების სახელმძღვანელო მითითებებთან, ასევე ევროკავშირის TPD-ის პრინციპებსა და დებულებებთან შედარების საფუძველზე. ამ სამუშაოს ფარგლებში გამოყენებული იქნა დოკუმენტურ და ნორმატიულ წყაროებზე დაფუძნებული ხარისხობრივი ანალიზის მეთოდი, რამაც შესაძლებელი გახადა მარეგულირებელი

ჩარჩოების შეფასება, მათი შესაბამისობის განსაზღვრა საერთაშორისო სტანდარტებთან და არსებული ხარვეზებისა თუ ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება.

კვლევის ბოლო ეტაპზე მოხდა რაოდენობრივი კვლევის და პოლიტიკის ანალიზის მონაცემების ინტეგრაცია (გამიქსვა) და ინტერპრეტაცია საერთო დასკვნების გამოსატანად. ამ მიდგომით შესაძლებელი გახდა რაოდენობრივი კვლევის მიგნებები (ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორები/აღქმები) ახსნილიყო პოლიტიკური და ნორმატიული კონტექსტით და თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით შემუშავებულიყო კონკრეტული პოლიტიკის რეკომენდაციები.

3.1. კვლევის პირველი ნაწილი: რაოდენობრივი კვლევის მეთოდოლოგია

3.1.1. კვლევის დიზაინი და გარემო

კვლევა „არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენა 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე საქართველოში“ განხორციელდა რაოდენობრივი, ჯვარედინ-სექციური დიზაინით, ონლაინ გამოკითხვის საფუძველზე. კვლევის ძირითადი მიზანი იყო არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენის შესწავლა საქართველოში მცხოვრები 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე, მათ რწმენებსა და სოციალურ ნორმებზე. კვლევის ამოცანას წარმოადგენდა ამ ასაკობრივ ჯგუფში არომატიზირებული თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებული განმსაზღვრელი ფაქტორების (დეტერმინანტების) იდენტიფიცირება და შეფასება.

მონაცემები შეგროვდა SurveyMonkey-ის პლატფორმაზე განთავსებული, სტრუქტურირებული, თვითშევისებადი ონლაინ კითხვარის მეშვეობით, 2024 წლის აპრილიდან ივნისის ჩათვლით პერიოდში. კითხვარი გავრცელდა სოციალურ ქსელებში - Facebook-სა და Instagram-ზე განთავსებული ანონიმური რეკლამის საშუალებით, რომელიც მიმართული იყო საქართველოში მცხოვრებ 18-25 წლის ახალგაზრდებზე. მონაცემთა შეგროვებისთვის ონლაინ გამოკითხვის პლატფორმის გამოყენების გადაწყვეტილება მიღებული იქნა ორი მიზეზის გამო: ერთის მხრივ, სამიზნე ასაკობრივი ჯგუფი ინტენსიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, რაც კვლევის ფარგლებში რესპოდენტთა საკმარისი რაოდენობის შეგროვების პროცესს აადვილებდა. მეორეს მხრივ

კი, ონლაინ პლატფორმა ფართო გეოგრაფიული დაფარვის და რესურსების ოპტიმალური გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

სოციალურ ქსელებში გავრცელებული რეკლამა მოიცავდა ტექსტს: „თუ ხართ 18-25 წლის საქართველოში მცოვრები ახალგაზრდა, გთხოვთ დაუთმოთ მცირეოდენი დრო გამოკითხვაში მონაწილეობას, რომელიც იკვლევს არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენას 18-25 წლის ახალგაზრდების აღქმაზე საქართველოში“.

დაინტერესებული პირები ბმულზე გადასვლის შემდეგ ხვდებოდნენ კვლევის ვებგვერდზე (Survey monkey პლატფორმა), სადაც ეცნობოდნენ ინფორმაციას კვლევის მიზნის, სამიზნე ჯგუფის და კონფიდენციალურობის თაობაზე. აღნიშნული ასევე მოიცავდა მთავარი მკვლევარის საკონტაქტო მონაცემებს და სავალდებულოდ მოსანიშნ ველს კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობის თაობაზე (დიახ/არა).

კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმების შემთხვევაში იწყებოდა დასაშვებობის შემოწმება, რა დროსაც რესპოდენტები შესაბამისი ველების მონიშვნით ადასტურებდნენ, რომ:

1. მიეკუთვნებოდნენ 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიას;
2. ცხოვრობდნენ საქართველოში.

იმ შემთხვევაში, თუ რესპოდენტი უარს აცხადებდა მონაწილეობაზე ან არ აკმაყოფილებდა დასაშვებობის ერთ-ერთ, ან ორივე კრიტერიუმს, კითხვარი ავტომატურად სრულდებოდა. დასაშვებობის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში კი, მონაწილეები გადადიოდნენ კითხვარის მთავარ ნაწილზე.

3.1.2. კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილე რესპოდენტთა საჭირო, მინიმალური რაოდენობა განისაზღვრა კოხრენის ფორმულის (Cochran's formula) (Cochran/კოხრენი, 1977) გამოყენებით, 95%-იანი ნდობის ინტერვალითა და პროპორციის მაქსიმალური ცვალებადობის დაშვებით ($P=0.5$), რის შედეგადაც კვლევაში მონაწილე პირთა მინიმალურმა მიზნობრივმა რაოდენობამ შეადგინა 384 რესპოდენტი.

მონაცემთა შეგროვების პროცესში, ონლაინ კითხვარის ბმული სულ გახსნა 1186-მა პირმა, თუმცა კითხვარის შევსება დაიწყო 1102-მა, ხოლო დასაშვებობის შემოწმება წარმატებით გაიარა მხოლოდ 825-მა ადამიანმა. კითხვარის მოცულობიდან და სოციალური ქსელის

გამოყენების სპეციფიკიდან გამომდინარე, ძირითად კითხვარზე გადასვლის შემდეგ რესპოდენტთა უმრავლესობამ იგი ბოლომდე არ დაასრულა. საბოლოოდ, მონაცემთა შეგროვება შეწყდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჯამში 400-მა მონაწილემ სრულად შეავსო კითხვარი. მონაცემთა ხარისხის უზრუნველსაყოფად და ერთი და იმავე ადამიანის მიერ კითხვარის რამდენჯერმე შევსების თავიდან ასაცილებლად, ერთი IP მისამართიდან მხოლოდ ერთი პასუხის მიღება იყო შესაძლებელი. ამგვარად, 400 რესპოდენტისგან შეგროვებული მონაცემები იყო უნიკალური და სხვადასხვა.

3.1.3. კვლევის ინსტრუმენტი და ძირითადი ცვლადები

კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურირებული, ონლაინ კითხვარი, რომელიც შემუშავდა თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით ჩატარებული საერთაშორისო კვლევების გათვალისწინებით (დანართი 3). კითხვარი მოიცავდა კითხვებს თამბაქოს ნაწარმის მოხმარების, არომატიზირებული და არაარომატიზირებული თამბაქოს პროდუქტების აღქმის, მათზე ინფორმაციის მიღების, თამბაქოს ტრადიციული და ახალი ნაწარმის მომავალი გამოყენების განზრახვის, სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების და პოლიტიკის ღონიძიებებზე მოსაზრებების თაობაზე. კითხვარი აგებული იყო პირობითი ლოგიკით (Skip Logic) და ყოველი შემდეგი კითხვა ითვალისწინებდა რესპოდენტის მიერ წინა კითხვებზე გაცემულ პასუხებს. ამასთან, კითხვაზე პასუხის გამოტოვების შემთხვევაში, სისტემა არ იძლეოდა შემდეგ კითხვაზე გადასვლის საშუალებას.

ტერმინოლოგიური სიზუსტის უზრუნველსაყოფად, დასაშვებობის ეტაპის გავლის შემდეგ, ეკრანზე ჩნდებოდა ტრადიციული სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტისა და HTPs-ის მოკლე განმარტებები და შესაბამისი ფოტომასალა, აგრეთვე მითითება ქართულ ბაზარზე გავრცელებულ ბრენდებზე. ამის შემდეგ რესპოდენტი გადადიოდა კითხვარის ძირითად ნაწილზე, რომლის საშუალებით გროვდებოდა ქვემოთ მოცემული ინფორმაცია.

თამბაქოს ნაწარმის გამოყენება

კითხვარი მოიცავდა კითხვებს თამბაქოს სამი ტიპის ნაწარმის: ტრადიციული სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ის ოდესმე გამოყენებისა და ბოლო 30 დღის განმავლობაში გამოყენების თაობაზე. ბოლო 30 დღის განმავლობაში ნაწარმის

მომხმარებლებისთვის დამატებით იქნა მოთხოვნილი მოხმარების დღეების რაოდენობის მითითება.

არომატიზატორები

კვლევის ფოკუსის გათვალისწინებით, ბოლო 30 დღის მომხმარებლებისთვის მოდიოდა შეკითხვა, იყო თუ არა პროდუქტი, რომელსაც მოიხმარდნენ, თამბაქოს არომატის ან/და სხვა არომატის (მაგ., პიტნა, მენტოლი, ხილი) მქონე. ანალიტიკური მიზნებისთვის, მონაწილეები, რომლებმაც მიუთითეს თამბაქოს არომატი ან აირჩიეს პასუხი „არ ვიცი/არ მახსოვს“, კლასიფიცირდნენ როგორც არაარომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მომხმარებლები. ის მონაწილეები კი, რომლებმაც მიუთითეს სხვა არომატი, კლასიფიცირდნენ როგორც არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მომხმარებლები.

ცოდნა და აღქმა

კითხვარი მოიცავდა კითხვებს რესპონდენტთა აღქმების შესაფასებლად. მონაწილეები 7 ქულიან ლიკერტის სკალაზე (1=საერთოდ არა, 7=უკიდურესად) აფასებდნენ თითოეული პროდუქტის (ტრადიციული სიგარეტი, ელექტრონული სიგარეტი და HTPs) არომატიზირებული და არაარომატიზირებული ვერსიების აღქმას ოთხ განზომილებაში:

1. რამდენად საზიანოა საკუთარი ჯანმრთელობისთვის;
2. რამდენად საზიანოა მათთვის ვინც არის ამ პროდუქტის მოხმარების ზეგავლენის ქვეშ;
3. რამდენად იწვევს მიჯაჭვულობას;
4. რამდენად სოციალურად მისაღებია.

მონაცემთა ანალიზისთვის თითოეულ განზომილებაში (აღქმული ზიანი, მიჯაჭვულობა და სოციალურად მისაღებობა) გამოითვალა კომპოზიტური ქულა - საშუალო შეფასება სამივე პროდუქტის ტიპის მიხედვით. ამ საშუალო ქულების საფუძველზე, მონაწილეები შედარებითი აღქმის სამ კატეგორიად დაჯგუფდნენ: არომატიზირებული პროდუქტების აღქმა, როგორც „ნაკლებად საზიანო/მიჯაჭვულობის მქონე/სოციალურად მისაღები“, „თანაბარი“ ან „უფრო მეტად საზიანო/მიჯაჭვულობის მქონე/სოციალურად მისაღები“ არაარომატიზირებულ პროდუქტებთან შედარებით.

სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

კითხვარის საშუალებით გროვდებოდა სოციო-დემოგრაფიული ინფორმაციაც. ვინაიდან მონაწილეები შერჩეული იყვნენ წინასწარ განსაზღვრული ასაკობრივი კრიტერიუმით (18-25 წელი), ასაკი უწყვეტი ცვლადის სახით არ გაზომილა. კითხვები მოცემული იყო სქესის, დასაქმების სტატუსის, განათლების უმაღლესი დონის და წლიური შემოსავლის თაობაზე. ანალიტიკური მიზნებისთვის, ზოგიერთი ცვლადი დაჯგუფდა, რათა თითოეულ კატეგორიაში უზრუნველყოფილიყო სტატისტიკური სანდოობისთვის საკმარისი რაოდენობა მულტივარიაციული ანალიზისთვის. მაგალითად განათლების დონის ქვეშ თავდაპირველად მიღებული პასუხები ("საშუალო", "პროფესიული", "ბაკალავრიატი", "მაგისტრატურა/დოქტორანტურა") დაჯგუფდა ორ ძირითად კატეგორიად: „უმაღლესი განათლების არმქონე“ და „უმაღლესი განათლების მქონე“. პასუხი "მირჩევნია არ ვუპასუხო" გამოიყო როგორც ცალკე კატეგორია ან გამოირიცხა შესაბამისი რეგრესიული მოდელებიდან (რაც დაზუსტებულია შედეგების ნაწილში). დასაქმების სტატუსის შესახებ კითხვის პასუხები დაჯგუფდა შემდეგ კატეგორიებად: „დასაქმებული“, „სტუდენტი“ და „უმუშევარი“. ასევე გათვალისწინებულ იქნა პასუხი "მირჩევნია არ ვუპასუხო". მსგავსად, წლიური შემოსავლის კატეგორიები დაჯგუფდა ორ ვარიანტად, იმგვარად, რომ ასახული იქნა საშუალო შემოსავალზე დაბალი და საშუალო შემოსავლის ტოლი ან მასზე მაღალი შემოსავალი: < 15,000 ლარი და ≥15,000 ლარი.

მარკეტინგის გავლენა და ინფორმაციის მიღების წყაროები

კითხვარი ითვალისწინებდა კითხვებს ახალგაზრდების აღქმაზე თამბაქოს ნაწარმის მარკეტინგული გზავნილების გავლენის შეფასებისთვის. მოცემული იყო კითხვა, ბოლო 30 დღის განმავლობაში შეამჩნიეს თუ არა ტრადიციული ან თამბაქოს ახალი ნაწარმის რეკლამა ან პოპულარიზაციის ნიშნები სხვადასხვა მედია და სავაჭრო პლატფორმაზე (მაგ., მაღაზია, ინტერნეტი, სოციალური მედია). თუ რესპოდენტი უთითებდა დადებით პასუხს ზემოაღნიშნულ შეკითხვაზე, მას უწევდა ასევე ეპასუხა კითხვაზე, თუ რამდენად უსვამდა ხაზს მათ მიერ ნანახი რეკლამა ან/და საპოპულარიზაციო ნიშანი არომატოზატორებზე.

თამბაქოს ნაწარმის მოხმარების/არმოხმარების მიზეზები

რესპოდენტებს უწევდათ პასუხი გაეცათ თამბაქოს ნაწარმის მოხმარების/არმოხმარების მიზეზების თაობაზე კითხვებისთვისაც. პირობითი ლოგიკის გამოყენებით, მათ, ვინც მიუთითეს რომ არ მოიხმარდნენ თამბაქოს რომელიმე ნაწარმს (გათვალისწინებული იქნა სამივე პროდუქტი: ტრადიციული სიგარეტი, ელექტრონული სიგარეტი და HTPs) უნდა ეპასუხათ კითხვაზე, თუ რის გამო შეიძლება ეცადათ ან დაეწყოთ პროდუქტის მოხმარება. თამბაქოს რომელიმე ზემოაღნიშნული ნაწარმის ამჟამინდელი მომხმარებლებისთვის (მოხმარება ბოლო 30 დღეში) გაიზომა მოხმარების ძირითადი მოტივაცია (მაგ., არომატები, სხვების გავლენა). ამ მონაცემების შეგროვების მიზანი იყო დეტერმინანტების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების შემუშავება თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის კუთხით.

თამბაქოს ნაწარმის მომავალში გამოყენების განზრახვა

რესპოდენტთა მიერ თამბაქოს სამივე ტიპის ნაწარმის არომატიზირებული და არაარომატიზირებული ვერსიის მომდევნო 12 თვის განმავლობაში გამოყენების განზრახვის დასადგენად, რესპოდენტები მათ განზრახვას გამოხატავდნენ 7-ქულიანი ლიკერტის ტიპის შკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა „საერთოდ არა“ და 7 – „უკიდურესად“.

აღწერილობითი სტატისტიკისთვის მიღებული პასუხები კოდირებული იქნა სამ კატეგორიად: დაბალი განზრახვის ქვეშ გაერთიანდა პასუხები, რომელიც მომავალში გამოყენების განზრახვას აფასებდნენ 1 ან/და 2 ქულით, საშუალო განზრახვად კოდირებული იქნა პასუხები, რომელიც სამომავლო განზრახვისთვის ირჩევდა 3, 4 ან/და 5 ქულას, ხოლო მაღალი განზრახვის მქონედ ჩაითვალა ის პასუხები, რომელთა ქულები იყო 6 ან/და 7.

მოსაზრებები პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ

ვინაიდან დისერტაციის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ჩარჩოს ანალიზია, კვლევამ შეისწავლა მონაწილეთა დამოკიდებულება კონკრეტული პოლიტიკის ღონისძიებების მიმართ, რაც კვლევის მეორე (ხარისხობრივ) ეტაპზე პოლიტიკის ღონისძიებების თაობაზე რეკომენდაციების შემუშავების ხელშემწყობი გახდა. კერძოდ, კითხვარი მონაწილეებს სთხოვდა გამოეხატათ მათი მხარდაჭერა/წინააღმდეგობა 5 ქულიანი ლიკერტის სკალაზე (მტკიცედ მხარს ვუჭერ - კატეგორიულად ვეწინააღმდეგები) შემდეგი ინიციატივების მიმართ:

1. არომატიზატორების რეგულირება (აკრძალვის გარეშე) ტრადიციულ სიგარეტში, ელექტრონულ სიგარეტში და HTPs-ში (ცალ-ცალკე);
2. ნებისმიერი არომატიზატორის სრული აკრძალვა სამივე ტიპის ნაწარმში (ცალ-ცალკე);
3. ტრადიციული სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ს საქართველოს ბაზარზე განთავსების აკრძალვა (თითოეული პროდუქტისთვის ცალ-ცალკე).

3.1.4. მონაცემთა ანალიზი

მონაცემთა ანალიზი განხორციელდა IBM SPSS Statistics პროგრამის (ვერსია 23) გამოყენებით. ანალიზის პროცესი დაიგეგმა და ცვლადების შერჩევა მოხდა საერთაშორისო კვლევების მეთოდოლოგიის შესაბამისად, რათა შესაძლებელი ყოფილიყო შედარება. აღწერითი სტატისტიკური ანალიზი გამოყენებულ იქნა მონაწილეთა დემოგრაფიული მახასიათებლების, თამბაქოს მოხმარების ქცევების, არომატიზირებული და არარომატიზირებული თამბაქოს პროდუქტის მიმართ აღქმების, ასევე მომავალი მოხმარების განზრახვების შესაჯამებლად. კატეგორიული ცვლადებისთვის გამოთვლილი იქნა სიხშირეები და პროცენტული წილები, ხოლო უწყვეტი ცვლადებისთვის საშუალო მნიშვნელობები და სტანდარტული გადახრები. ბივარიაციული ანალიზის ფარგლებში შეფასდა მონაწილეთა აღქმები არომატიზირებული და არარომატიზირებული თამბაქოს პროდუქტების მიმართ ოთხი კუთხით (რამდენად საზიანოა საკუთარი ჯანმრთელობისთვის, რამდენად საზიანოა მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფებისთვის, რამდენად მიჯაჭვულობის მქონეა და რამდენად არის სოციალურად მისაღები) სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებთან (სქესი, განათლების დონე, დასაქმების სტატუსი, შემოსავალი) და თამბაქოს მოხმარების სტატუსთან (ბოლო 30 დღის განმავლობაში ტრადიციული სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ს გამოყენება) მიმართებით, χ^2 (ხი-კვადრატის) ტესტის გამოყენებით. დამატებით, ერთმხრივი დისპერსიული ანალიზი (ANOVA) გამოყენებულ იქნა არამომხმარებელ რესპოდენტთა შორის თამბაქოს მომავალში მოხმარების განზრახვის საშუალო ქულების შესადარებლად, თითოეული თამბაქოს ნაწარმისა ტიპისა და არომატიზატორების შემცველობის მიხედვით.

მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის მოდელებში ძირითადი დამოუკიდებელი ცვლადები იყო აღქმის ცვლადები, ხოლო ძირითადი დამოკიდებული

ცვლადები იყო: ბოლო 30 დღის განმავლობაში სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტის და HTPs-ს გამოყენება; არომატიზირებული პროდუქტის გამოყენება ამჟამინდელ მომხმარებლებში; და მომავალში მოხმარების მაღალი განზრახვა იმ რესპოდენტებს შორის, რომლებსაც ბოლო 30 დღეში არ გამოუყენებიათ პროდუქტი. დასაქმებისა და შემოსავლის ცვლადები მოდელში არ ჩაერთო, რადგან ისინი ძლიერად იყო დაკავშირებული განათლების დონესთან და შეიძლებოდა ანალიზის სიზუსტეზე ზეგავლენა მოეხდინა. ყველა მოდელისთვის წარმოდგენილი იქნა კორექტირებული შანსების კოეფიციენტები (aOR), 95%-იანი ნდობის ინტერვალები და p მნიშვნელობები. სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩაითვალა შედეგი $p < 0.05$ შემთხვევაში. ყველა ტესტი განხორციელდა ორმხრივი ჰიპოთეზის ფარგლებში.

3.1.5. კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები

კვლევის პროტოკოლი, კითხვარი და ინფორმირებული თანხმობის ფორმა განხილული და დამტკიცებული იქნა საქართველოს უნივერსიტეტის ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ბიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭოს მიერ, 2024 წლის 03 აპრილის N11-7188 გადაწყვეტილებით (კვლევის კოდი:UGREC-07-24). საბჭოს ოფიციალური დასკვნა თან ერთვის დისერტაციას დანართი 1-ის სახით.

კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ყველა ეტაპი სრულად შეესაბამებოდა ეთიკურ პრინციპებს. როგორც ზემოთ აღინიშნა, კითხვარის დაწყებამდე, ყველა მონაწილეს მოეთხოვებოდა ინფორმირებული თანხმობის განცხადების გაცნობა, რომელიც დეტალურად აღწერდა კვლევის მიზნებს, მონაწილეობის ნებაყოფლობითობას, რისკებსა და სარგებელს. მხოლოდ კვლევაში მონაწილეობაზე ნებაყოფლობითი თანხმობის ველის მონიშვნის შემდეგ ეძლეოდათ მათ კითხვარის შევსების უფლება.

კვლევის პროცესში არ შეგროვებულა რაიმე პერსონალური საიდენტიფიკაციო ინფორმაცია. მონაცემთა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, შენახული იქნა მხოლოდ IP მისამართი, რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული ერთი და იმავე ადამიანისგან კითხვარის ერთზე მეტჯერ შევსება. ყველა მონაცემზე წვდომა ჰქონდა მხოლოდ მთავარ მკვლევარს და იგი შენახული იქნა უსაფრთხოდ, ანონიმურად, მხოლოდ აკადემიური კვლევის მიზნებისთვის.

3.1.6. კვლევის შეზღუდვები

კვლევის ამ ნაწილში გამოყენებულ იქნა ჯვარედინ-სექციური დიზაინი, რის გამოც შესაძლებელია მხოლოდ ასოციაციების აღწერა ცვლადებს შორის და არ არის შესაძლებელი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა. გარდა ამისა, ვინაიდან კვლევაში მონაწილეობა მხოლოდ სოციალური ქსელების მომხმარებლებისთვის იყო შესაძლებელი, მისი შედეგების მთელ პოპულაციაზე განზოგადება შეუძლებელია.

3.2. კვლევის მეორე ნაწილი: პოლიტიკის ანალიზის მეთოდოლოგია

კვლევის მეორე, ძირითადი ამოცანის ფარგლებში ჩატარებული კვლევა მოიცავდა საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ჩარჩოს შესწავლას და შეფასებას არომატიზატორებზე ფოკუსირებით. კვლევა სამი ეტაპისგან შედგებოდა: ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოს იდენტიფიცირება; მისი შესაბამისობის დადგენა საერთაშორისო სტანდარტებთან; და არსებული ხარვეზების გამოვლენა თამბაქოს ახალი ნაწარმის და მასში არომატიზატორების რეგულირების კუთხით.

3.2.1. კვლევის დიზაინი

კვლევის დიზაინი ეფუძნებოდა დოკუმენტური ანალიზის მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს ტექსტური და ნორმატიული წყაროების სისტემურ შესწავლას. ანალიზის მიზანი იყო თამბაქოს კონტროლის შესახებ არსებული საკანონმდებლო აქტების შინაარსობრივი, სტრუქტურული და შედარებითი შეფასება. პოლიტიკის ჩარჩოს შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა შედარებით-ანალიტიკური, Gap Analysis მიდგომა (ჰითი და სხვ., 2018). ამ მეთოდის საფუძველზე, მოხდა საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის შედარება საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ, ანალიზი დაეყრდნო ჩარჩო კონვენციას, მისი განხორციელების სახელმძღვანელო დოკუმენტებს და TPD-ს. ამ დოკუმენტებით განსაზღვრულ მიდგომებთან საქართველოს რეგულაციების თანხვედრისა და შესაძლო შეუსაბამობების გამოვლენისთვის შეფასდა საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის შემდეგი საკვანძო მიმართულებები:

1. თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტება და კატეგორიზაცია;

2. შემადგენლობის კონტროლი და მათში არომატიზატორების გამოყენების რეგულირება;
3. შეფუთვის და მასზე სამედიცინო გაფრთხილებების დატანის მოთხოვნები;
4. მარკეტინგის, რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა;
5. კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები;
6. ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება.

ამ საკვანძო მიმართულებების შეფასებისას თამბაქოს ახალი ნაწარმი განხილული იქნა ფართო კონტექსტში და მოიცავდა როგორც HTPs-ის, ასევე ელექტრონულ სიგარეტს (ENDS). ეს მეთოდოლოგიური გადაწყვეტილება მიღებული იქნა იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობა ამ პროდუქტებს ხშირად სხვადასხვა რეგულირების რეჟიმის ქვეშ ათავსებს. ასეთი გაფართოებული მიდგომა კი შესაძლებელს ხდის სრულად იქას იდენტიფიცირებული ის მარეგულირებელი ხარვეზები, რაც საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის კუთხით.

3.2.2. მონაცემთა წყაროები და მათი კატეგორიზაცია

პოლიტიკის ანალიზის პროცესში გამოყენებული იქნა ოფიციალური და საჯაროდ ხელმისაწვდომი დოკუმენტური წყაროები, რომელიც დაიყო ორ ძირითად კატეგორიად: ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო და საერთაშორისო ნორმატიული სტანდარტები.

ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო დოკუმენტები მოიცავდა ზემოაღნიშნული საკვანძო მიმართულებების მარეგულირებელ, საქართველოში მოქმედ ყველა ძირითად საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს. რომელიც მოქმედი იყო 2025 წლის სექტემბრის მდგომარეობით. ასევე, ამ კატეგორიაში გაერთიანდა თამბაქოს კონტროლის კუთხით ქვეყანაში მოქმედი სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტები.

საერთაშორისო ნორმატიული სტანდარტების დამდგენი დოკუმენტების კატეგორიაში გაერთიანდა ჩარჩო კონვენცია, მისი განხორციელების სახელმძღვანელო მითითებები და TPD. გათვალისწინებული იქნა ევროასოციაციის შეთანხმების თამბაქოს კონტროლთან დაკავშირებული დებულებებიც.

ყველა დოკუმენტი მოპოვებული იქნა ოფიციალური სამთავრობო და საკანონმდებლო მონაცემთა ბაზებიდან (მაგ., matsne.gov.ge, parliament.ge, fctc.who.int, ec.europa.eu/health/tobacco).

3.2.3. ანალიზის პროცესი

საჭირო დოკუმენტების კატეგორიზაციის შემდეგ, მათი ანალიზი სამ ეტაპად განხორციელდა.

1. მონაცემების დახარისხება და კოდირება: პირველ ეტაპზე მოხდა ეროვნული და საერთაშორისო, მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობა და იმ ნაწილების იდენტიფიცირება და შემდეგ დაჯგუფება/კოდირება, რომელიც ფარავდა ზემოთ ხსენებულ, ექვს საკვანძო მიმართულებას (თამბაქოს ახალი ნაწარმის კატეგორიზაცია; შემადგენლობის კონტროლი; შეფუთვის სტანდარტები; რეკლამა/პოპულარიზაციის აკრძალვა; აღსრულება და მონიტორინგი; ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება). ამ პროცესის მიზანი იყო საკვლევ საკითხებზე ფოკუსირება და ანალიზისთვის აუცილებელი მასალის მომზადება.

2. შედარებითი ანალიზი და კატეგორიზაცია: ანალიზის შემდეგ ეტაპზე კოდირებული ეროვნული მარეგულირებელი დებულებები მისადაგებული და შედარებული იქნა იგივე საკითხის დამდგენ საერთაშორისო ინსტრუმენტების დებულებებთან. ამ შედარების მიზანი იყო ხარვეზების ანალიზის განხორციელება. თითოეული მარეგულირებელი სფეროსთვის იდენტიფიცირებული საქართველოს კანონის ზუსტი ფორმულირება შეფასდა მისი შესაბამისობის, ნაწილობრივი თანხვედრის ან სრული შეუსაბამობის დადგენის მიზნით საერთაშორისო მოთხოვნებთან. ეს შედარება სამ კომპონენტს მოიცავდა:

1. გლობალური საუკეთესო პრაქტიკა: ჩარჩო კონვენციის მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენს უმაღლეს ზოგად სტანდარტს.
2. ევროპული სტანდარტი: ევროკავშირის TPD-ის დებულებები, რადგან საქართველო ვალდებულია ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ეტაპობრივად დაუახლოვდეს ევროპულ კანონმდებლობას.

3. საქართველოს მიდგომა: მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები.

3. დასკვნების ინტერპრეტაცია: სისტემური შედარების საფუძველზე, ანალიზის საბოლოო ფაზა იყო პოლიტიკის ხარვეზების იდენტიფიცირება (Gap Identification). მიღებული შედეგები შეჯამდა თემატურ ცხრილში, რომელიც ასახავდა ძირითადი პოლიტიკის მიმართულებებს, საერთაშორისო მოთხოვნებსა და საქართველოს შესაბამის დებულებებს შორის არსებულ მსგავსებებსა და განსხვავებებს. შემდეგ ეტაპზე მოხდა ცხრილის თითოეული მწკრივის ინტერპრეტაციული ანალიზი, რომლის მიზანი იყო არა მხოლოდ ხარვეზების აღწერა, არამედ იმის განხილვა, თუ რატომ არის ეს ხარვეზები პრობლემური. შედეგების სიზუსტისა და არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან ასარიდებლად, განხორციელდა რამდენიმე კონსულტაცია ადგილობრივ და უცხოელ პოლიტიკის ექსპერტთან და საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფესიონალთან. აღნიშნული ემსახურებოდა კვლევის დასკვნების სწორად ჩამოყალიბებას და რეკომენდაციების შემუშავების პროცესში ქართული კონტექსტის გათვალისწინებას.

3.2.4. კვლევასთან დაკავშირებული ეთიკური ასპექტები

პოლიტიკის ანალიზის კომპონენტი ეფუძნებოდა საჯაროდ ხელმისაწვდომ, ოფიციალურ დოკუმენტებს და არ მოიცავდა ინდივიდუალური მონაწილეებისგან მიღებულ პირად ან საიდენტიფიკაციო მონაცემებს. შესაბამისად, ანალიზი არ საჭიროებდა დამატებით ეთიკურ ნებართვას კვლევის ეთიკის საბჭოსგან.

ექსპერტებთან კონსულტაციების დროს დაცული იყო ინფორმირებული თანხმობისა და კონფიდენციალობის პრინციპები. ექსპერტების მონაწილეობა იყო სრულად ნებაყოფლობითი, მათგან მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნა მხოლოდ კვლევის შინაარსობრივი სიზუსტისა და კონტექსტუალური შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

კვლევის ყველა ეტაპზე დაცული იყო სამეცნიერო ეთიკისა და გამჭვირვალობის პრინციპები, მათ შორის წყაროთა სწორად ციტირება, ავტორთა უფლებების პატივისცემა და მონაცემთა ინტერპრეტაციის ობიექტურობა.

3.2.5. კვლევის შეზღუდვები

პოლიტიკის ანალიზი შემოიფარგლა მხოლოდ ოფიციალურად გამოქვეყნებული სამართლებრივი და სტრატეგიული დოკუმენტებით, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომი იყო კვლევის განხორციელების პერიოდში. დოკუმენტების სამუშაო ვერსიები ან გამოუქვეყნებელი სტრატეგიული დოკუმენტები ან/და ანგარიშები რომლებიც შესაძლოა განიხილება სამთავრობო უწყებებში და გავლენა აქვს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკაზე ქვეყანაში, კვლევაში ვერ მოხვდა. აღნიშნულის გამო კვლევის ეს ნაწილი შესაძლოა არ ასახავდეს მარეგულირებელი პროცესის სრულ დინამიკას.

3.3. ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენების ფარგლები

სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობის პროცესში, სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის და კვლევის პროცესში ვრცელი, უცხოენოვანი დოკუმენტების დამუშავების მიზნით, გამოყენებულ იქნა ხელოვნური ინტელექტის (AI) დამხმარე ინსტრუმენტები. კერძოდ, ევროკომისიის ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული მრავალენოვანი AI სერვისები (AI-Based Multilingual Services, language-tools.ec.europa.eu/) გამოყენებულ იქნა ევროკავშირის ცალკეული ქვეყნების მარეგულირებელი დოკუმენტების ზუსტი თარგმანისა (eTranslation) და რთული სამართლებრივი დოკუმენტების ძირითადი დებულებების გაგების პროცესში (eBriefing). ChatGPT-ის ენობრივი მოდელის უფასო, GPT-5.1 ვერსია გამოყენებულ იქნა მხოლოდ ტექნიკური საკითხების დაზუსტებისთვის, რაც მოიცავდა SPSS-ში კონკრეტული სტატისტიკური ანალიზის შესასრულებლად საჭირო ფუნქციებისა და ბრძანებების მოძიებას. ასევე, ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ციტირების სტილის სტანდარტიზებაში დახმარებას, უნივერსიტეტის მოთხოვნებთან მაღალი სიზუსტით შესაბამისობის მიზნით.

AI არ მონაწილეობდა კვლევის ძირითადი ეტაპების განხორციელებაში, როგორცაა კვლევის დიზაინის შემუშავება, პროტოკოლის შექმნა, სტატისტიკური ანალიზის დაგეგმვა და შედეგების ინტერპრეტაცია. ეთიკური სტანდარტებისა და სამეცნიერო სიზუსტის უზრუნველსაყოფად, AI-ის მიერ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია ან ტექსტი შემოწმებული და რედაქტირებული იქნა ავტორის მიერ. ნაშრომის შინაარსზე სრული პასუხისმგებლობა აქვს დისერტაციის ავტორს.

თავი IV: შედეგები

4.1. რაოდენობრივი კვლევა: არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენა 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე საქართველოში

წინამდებარე თავი წარმოადგენს კვლევის რაოდენობრივი ნაწილის ძირითად შედეგებს (N=400), რომელიც ასახავს 18–25 წლის ახალგაზრდების აღქმებსა და მოხმარების ქცევებს არომატიზირებული თამბაქოს ტრადიციული და ახალი ნაწარმის მიმართ. შედეგების ნაწილში მოცემულია აღწერილობითი სტატისტიკა (ზოგადი ტენდენციები), ბივარიაციული ანალიზი (ცვლადებს შორის ურთიერთკავშირები) და მულტივარიაციული რეგრესიული მოდელები (დამოუკიდებელი განმსაზღვრელი ფაქტორების გამოვლენა).

4.1.1. აღწერილობითი სტატისტიკის შედეგები

4.1.1.1. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები

რესპონდენტთა დემოგრაფიული და სოციო-ეკონომიკური მახასიათებლების დეტალური განაწილება მოცემულია ცხრილში 1. გენდერული განაწილების თვალსაზრისით, კვლევაში ჭარბობდნენ ქალი რესპონდენტები (73.0%). განათლების დონის მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობას (53.8%) ჰქონდა უმაღლესი განათლება. რესპონდენტთა მხოლოდ 34% იყო დასაქმებული, ხოლო ნახევარზე მეტი იყო სტუდენტი (54.3%). სოციო-ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად გაზომილი წლიური შემოსავლის მიხედვით, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი უმრავლესობა (77.0%) მიეკუთვნებოდა საშუალოზე დაბალი შემოსავლის კატეგორიას (< 15,000 ლარი)

ცხრილი 1. რესპონდენტთა სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები (N=400)	
მახასიათებლები	N (%)
სქესი	
მამრობითი	108 (27.0%)

მდედრობითი	292 (73.0%)
განათლების დონე	
უმაღლესი განათლების არმქონე	179 (44.8%)
უმაღლესი განათლების მქონე	215 (53.8%)
მირჩევნია არ ვუპასუხო	6 (1.5%)
დასაქმების სტატუსი	
დასაქმებული	136 (34.0%)
სტუდენტი	217 (54.3%)
უმუშევარი	34 (8.5%)
მირჩევნია არ ვუპასუხო	13 (3.3%)
წლიური შემოსავალი	
< 15,000 ლარი	308 (77.0%)
≥ 15,000 ლარი	92 (23.0%)

4.1.1.2. თამბაქოს მოხმარების სტატუსი და არომატიზატორების როლი

რესპონდენტთა შორის თამბაქოს პროდუქტების ამჟამინდელი მოხმარების (ბოლო 30 დღეში ერთხელ მაინც) გავრცელების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 2, რომელიც აჩვენებს შედეგებს მთლიან გამოკითხულ რესპოდენტებში (N=400). შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49.8%, N=199) მოიხმარდა თამბაქოს რომელიმე (ტრადიციული სიგარეტი, ელექტრონილი სიგარეტი, HTPs) ნაწარმს. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ჰქონდა ტრადიციულ სიგარეტს, რომლის მოხმარება დაადასტურა რესპონდენტთა 41.5%-მა. ელექტრონილი სიგარეტის მოხმარებაზე მიუთითა 25.0%-მა, ხოლო HTPs-ს მოიხმარდა რესპოდენტთა 15.0%.

ჩაღრმავებულმა კითხვებმა არომატიზატორებთან დაკავშირებით აჩვენა, რომ არომატიზირებული პროდუქტებიდან ყველაზე ხშირად მოხმარებადი იყო არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტი (22.8%). იგივე მაჩვენებელი ტრადიციული სიგარეტისთვის იყო 9.5%, ხოლო HTPs-თვის 7.2%.

ცხრილი 2. თამბაქოს ნაწარმის ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღე) და არომატიზირებული ნაწარმის მოხმარების წილი (N=400)	
მოხმარების სტატუსი	N (%)
თამბაქოს ნაწარმის ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღე)	
ტრადიციული სიგარეტი	166 (41.5%)
ელექტრონული სიგარეტი	100 (25.0%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	60 (15.0%)
თამბაქოს რომელიმე ნაწარმი (ტრადიციული სიგარეტი/ელექტრონული სიგარეტი/HTPs)	199 (49.8%)
არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მოხმარება (ბოლო 30 დღე):	
არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	38 (9.5%)
არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	91 (22.8%)
არომატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	29 (7.2%)

4.1.1.3. რესპონდენტთა აღქმები არომატიზირებული და არაარომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის შესახებ

რესპონდენტთა შედარებითი აღქმები თამბაქოს ნაწარმის შესახებ, რომელიც ზომავს მიჯაჭვულობის, აღქმული ზიანის, სოციალური მისაღებობის და მომავალში გამოყენების განზრახვის განაწილებას არომატიზირებულ და არაარომატიზირებულ ვერსიებს შორის, წარმოდგენილია ცხრილში 3.

შედეგები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა არომატიზირებულ პროდუქტებს არაარომატიზირებულთან შედარებით „თანაბრად“ აღიქვამს ოთხივე ზემოაღნიშნულ განზომილებაში. კერძოდ, მონაწილეთა უმრავლესობა თვლის, რომ არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმი თანაბრად იწვევს მიჯაჭვულობას (71.0%), თანაბრად საზიანოა საკუთარი (67.8%) და სხვების (80.3%) ჯანმრთელობისთვის, და თანაბრად მისაღებია სოციალური თვალსაზრისით (73.3%). „თანაბარი“ აღქმა განსაკუთრებით ძლიერია სხვებისთვის მიყენებული ზიანის კუთხით, სადაც ყველა პროდუქტისთვის ეს მაჩვენებელი 86%-ს აღემატება.

მიუხედავად ამ ზოგადი ტენდენციისა, პროდუქტების ტიპების მიხედვით იკვეთება მნიშვნელოვანი განსხვავებები: ელექტრონული სიგარეტი ყველაზე ხშირად დასახელდა, როგორც „უფრო მეტად“ მიჯაჭვულობის მქონე (12.5%) და „უფრო მეტად“ სოციალურად მისაღები (13.0%) მის არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით. ეს მაჩვენებლები ორივე კრიტერიუმით აღემატებოდა იგივე მახასიათებლის მქონე ტრადიციული სიგარეტის (მიჯაჭვულობა 7.5%; სოციალური მისაღებობა 9.5%), და HTPs-ის (მიჯაჭვულობა 9.8%; სოციალური მისაღებობა 7%) აღქმებს.

მომავალში გამოყენების განზრახვის კატეგორიაში ტრადიციული სიგარეტისა და HTPs-ის შემთხვევაში რესპონდენტთა უმრავლესობა არომატიზირებულ ვერსიას „თანაბრად“ განიხილავდა, ხოლო არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის შემთხვევაში რესპონდენტთა მეოთხედზე მეტმა (25.8%) მიუთითა, რომ მის არომატიზირებულ ვერსიას მომავალში „უფრო მეტად“ გამოიყენებს, არაარომატიზირებულთან შედარებით.

ცხრილი 3. რესპონდენტთა შედარებითი აღქმები არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მახასიათებლებზე არაარომატიზირებულთან შედარებით: მიჯაჭვულობა, ზიანი (საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის), სოციალური მისაღებობა და მომავალი გამოყენების განზრახვა (N=400)

	ნაკლებია N (%)	თანაბარია N (%)	მეტია N (%)
მიჯაჭვეულობის მქონე	63 (15.8%)	284 (71.0%)	53 (13.3%)
ტრადიციული სიგარეტი	64 (16.0%)	306 (76.5%)	30 (7.5%)
ელექტრონული სიგარეტი	22 (5.5%)	328 (82.0%)	50 (12.5%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	17 (4.3%)	344 (86.0%)	39 (9.8%)
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობითვის	59 (14.8%)	271 (67.8%)	70 (17.5%)
ტრადიციული სიგარეტი	46 (11.5%)	296 (74%)	58 (14.5%)
ელექტრონული სიგარეტი	29 (7.2%)	341 (85.3%)	30 (7.5%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	14 (3.5%)	355 (88.8%)	31 (7.8%)
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის	54 (13.5%)	321 (80.3%)	25 (6.3%)
ტრადიციული სიგარეტი	43 (10.8%)	344 (86%)	13 (3.3%)
ელექტრონული სიგარეტი	16 (4%)	366 (91.5%)	18 (4.5%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	12 (3%)	373 (93.3%)	15 (3.8%)
სოციალური მისაღებობა	39 (9.8%)	293 (73.3%)	68 (17.0%)
ტრადიციული სიგარეტი	40 (10%)	322 (80.5%)	38 (9.5%)
ელექტრონული სიგარეტი	16 (4%)	332 (83%)	52 (13%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	20 (5%)	352 (88%)	28 (7%)
მომავალში გამოყენების განზრახვა	86 (21.5%)	223 (55.8%)	91 (22.8%)
ტრადიციული სიგარეტი	94 (23.5%)	273 (68.3%)	33 (8.3%)

ელექტრონული სიგარეტი	12 (3%)	285 (71.3%)	103 (25.8%)
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	20 (5%)	362 (90.5%)	18 (4.5%)
<p><i>შენიშვნა: ცხრილის მონაცემები ასახავს რესპონდენტთა აღქმებს არომატიზირებული პროდუქტების მახასიათებლებზე არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით. მაგალითად, „მეტა“ ნიშნავს, რომ რესპონდენტის აზრით არომატიზირებული თამბაქოს კონკრეტული ნაწარმი უფრო მეტად მიჯაჭვულობის მქონეა/საზიანოა/მისაღებია/, ვიდრე ამ ნაწარმის არაარომატიზირებული ვერსია.</i></p> <p><i>მიჯაჭვულობა, ზიანის აღქმა და სოციალური მისაღებობა წარმოადგენს კომპოზიტურ ცვლადებს, რომლებიც მიღებული იქნა თამბაქოს ნაწარმის შეფასებების სამუალო ქულებისგან.</i></p> <p><i>გამოყენების განზრახვა წარმოდგენილია როგორც ცალკეული, დამოუკიდებელი ცვლადი.</i></p>			

ელექტრონული სიგარეტისა და HTPs-ის მოხმარების მიზეზები ამჟამინდელ მომხმარებლებს შორის წარმოდგენილია ცხრილში 4. ორივე პროდუქტის მომხმარებელთათვის მთავარ მოტივატორს წარმოადგენს „მისი გამოყენების სიამოვნება“ (ელექტრონული სიგარეტი: 35%; HTPs: 31.7%) და მათი გამოყენების შესაძლებლობა „აკრძალულ დროს/ადგილებში“ (ორივე ჯგუფი: 30%). არომატებთან დაკავშირებით: ელექტრონული სიგარეტის მომხმარებელთა 33% (სიამოვნების მიზეზის შემდეგ ყველაზე დიდი მაჩვენებელი) იყენებს პროდუქტს არომატის გამო, ხოლო HTPs-ის მომხმარებლებში ეს მაჩვენებელი 11.7%-ს შეადგენს. რაც შეეხება ჯანმრთელობის აღქმას, „ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით“ მიზეზს ასახელებს ელექტრონული სიგარეტის 13% და HTP-ის 10%. პროდუქტის უკეთესი სუნი მოტივატორია ელექტრონული სიგარეტის მომხმარებელთა 14%-ისთვის და HTP-ის 8.3%-ისთვის.

ცხრილი 4. ელექტრონული სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს (HTPs) ამჟამინდელი მოხმარების მიზეზები ამ ნაწარმის ამჟამინდელ მომხმარებლებს შორის		
ამჟამინდელი მოხმარების მიზეზი	ელექტრონული სიგარეტის	გასახურებელი თამბაქოს (HTPs) ამჟამინდელი მომხმარებლები

	ამჟამინდელი მომხმარებლები N=100	N=60
მსიამოვნებს მისი გამოყენება	35 (35%)	19 (31.7%)
შეიცავს არომატებს, რომლებიც მომწონს	33 (33%)	7 (11.7%)
შემიძლია გამოვიყენო ისეთ დროს/ადგილებში, სადაც ტრადიციული სიგარეტი აკრძალულია	30 (30%)	18 (30%)
მეგობარი/ოჯახის წევრი იყენებს	16 (16%)	12 (20%)
სუნი უფრო მომწონს, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის	14 (14%)	5 (8.3%)
ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით	13 (13%)	6 (10%)
ნაკლებად საზიანოა გარშემო მყოფთათვის ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით	6 (6%)	0 (0%)
უფრო მარტივია გამოყენება, ვიდრე ტრადიციული სიგარეტი	6 (6%)	4 (6.7%)
ნაკლებად საზიანოა HTPs-თან შედარებით	2 (2%)	–
ნაკლებად საზიანოა ელექტრონულ სიგარეტთან შედარებით	–	4 (6.7%)

თამბაქოს ახალი ნაწარმის არამომხმარებლების მოტივაციას გასინჯონ ან გამოიყენონ მომავალში ეს ნაწარმი, აჩვენებს ცხრილი 5. ელექტრონული სიგარეტის არამომხმარებლებს შორის (N=300) მომავალში პროდუქტის მოხმარების ყველაზე ხშირად

მითითებული მიზეზი აღმოჩნდა არომატები (19.3%), სუნი (14%) და გემო (11.7%). რესპოდენტთა 7.3%-მა მოტივაციად მიუთითა, რომ ელექტრონული სიგარეტის მოხმარება ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით ნაკლებად საზიანოა მისთვის. HTPs-ის არამომხმარებლებისთვის (N=340) მომავალი მოხმარების მოტივაციაც ძირითადად შემოიფარგლებოდა არომატების მოწონებით (5.3%) და აკრძალულ ადგილებში მისი გამოყენების შესაძლებლობით (5.0%). რესპოდენტთა 4.1%-მა მიუთითა, რომ მიზეზი ამ პროდუქტის ნაკლები ზიანია საკუთარი ჯანმრთელობისთვის, ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით.

ცხრილი 5. ელექტრონული სიგარეტის და გასახურებელი თამბაქოს (HTPs) მომავალში გასინჯვის ან გამოყენების მიზეზები ამ ნაწარმის არამომხმარებლებს შორის		
მომავალში გასინჯვის ან მოხმარების დაწყების მიზეზი	ელექტრონული სიგარეტის არამომხმარებლები (N=300)	გასახურებელი თამბაქოს (HTPs) არამომხმარებლები (N=340)
მომწონს მისი არომატები	58 (19.3%)	18 (5.3%)
გემო მომწონს, ჩვეულებრივი სიგარეტის მოწვევის გემოსთან შედარებით	35 (11.7%)	4 (1.2%)
სუნი მომწონს, ტრადიციული სიგარეტის მოწვევის სუნთან შედარებით	24 (14%)	10 (2.9%)
მსიამოვნებს მისი მოხმარება	23 (7.7%)	5 (1.5%)
შემიძლია მოვიხმარო ნიკოტინის გარეშე	34 (11.3%)	–
მომწონს მისი ტექნოლოგია	11 (3.7)	11 (3.2%)
შემიძლია მოვიხმარო ისეთ ადგილებში, სადაც მოწვევა არ შეიძლება	31 (10.3%)	17 (5.0%)

ნაკლებად მავნებელია ჩემთვის, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა	22 (7.3%)	14 (4.1%)
ჩემ გარშემო მყოფთათვის ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა	19 (6.3%)	14 (4.1%)
მისი მოხმარება უფრო მიღებულია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა	13 (4.3%)	6 (1.8%)
მისი მოხმარება არის ნაბიჯი ნიკოტინის მოხმარებაზე უარის თქმისკენ	11 (3.7%)	8 (2.4%)
მეხმარება მადის ან/და წონის კონტროლში	3 (1%)	3 (0.9%)
შეიძლება დამეხმაროს ტრადიციული სიგარეტის მოწევაზე თავის დანებებაში	6 (2%)	5 (1.5%)
მეხმარება, რომ არ დავუბრუნდე ტრადიციული სიგარეტის მოწევას	4 (1.3%)	2 (0.6%)
მეხმარება შევამცირო ტრადიციული სიგარეტის რაოდენობა, რომელსაც ვეწევი	4 (1.3%)	9 (2.6%)

4.1.1.4. მარკეტინგული კომუნიკაციის არხები და რეკლამის აქცენტები

თამბაქოს ნაწარმის მარკეტინგული გავლენის შესაფასებლად, რესპონდენტებს დაესვათ შეკითხვა, თუ სად შეამჩნიეს ბოლო 30 დღის განმავლობაში, თამბაქოს ნაწარმის (სამივე

პროდუქტი) რეკლამა ან ნიშანი, რომელიც პოპულარიზაციას უწყევდა მას. შედეგებმა, რომელიც მოცემულია ცხრილში 6, აჩვენა, რომ ტრადიციული სიგარეტის რეკლამა ყველაზე ხშირად შენიშნეს მაღაზიაში ან სავაჭრო ცენტრში (32.0%). ასევე მაღალი იყო მისი ინტერნეტში/სოციალურ მედიაში შემჩნევის შესახებ პასუხებიც (27.5%). ელექტრონული სიგარეტის შემთხვევაში რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა, კერძოდ 51.7%-მა, ნახა რეკლამა ინტერნეტში ან სოციალურ მედიაში. მეორე ყველაზე გავრცელებული წყარო ამ ნაწარმის რეკლამირების კუთხით იყო მაღაზიები, სადაც რეკლამა ან პროდუქტის პოპულარიზაცია 37.8%-მა შეამჩნია. HTPs-ის რეკლამის ნახვის სიხშირეები თამბაქოს სხვა პროდუქტებთან შედარებით ყველა კატეგორიაში ყველაზე დაბალი იყო, თუმცა სხვა ადგილებთან შედარებით უფრო ხშირად ეკლამის შემჩნევის ადგილად დასახელდა მაღაზია ან სავაჭრო ცენტრი (25.8%) და ინტერნეტი (22.0%).

ცხრილი 6: რესპონდენტთა მიერ თამბაქოს ნაწარმის რეკლამის ან/და პოპულარიზაციის შემთხვევათა ნახვის პროცენტული წილი ბოლო 30 დღის განმავლობაში (N=400)

მარკეტინგული საშუალება	ტრადიციული სიგარეტი (%)	ელექტრონული სიგარეტი (%)	გასახურებელი თამბაქო (HTPs) (%)
მაღაზია ან სავაჭრო ცენტრი	32.0%	37.8%	25.8%
ტელევიზია, კინო, რადიო	16.0%	12.0%	5.8%
ბილბორდები, პლაკატები	10.8%	10.8%	4.8%
გაზეთები ან ჟურნალები	2.8%	2.0%	1.3%
ინტერნეტი, სოციალური მედია	27.5%	51.7%	22.0%
პირდაპირი გზავნილი ან მიწილი	2.0%	1.8%	1.0%

გამოკითხულ რესპონდენტებს, რომლებმაც ბოლო 30 დღის განმავლობაში შეამჩნიეს კონკრეტული პროდუქტის რეკლამა, დამატებით დაესვათ შეკითხვა, ხაზს უსვამდა თუ არა ეს რეკლამა არომატიზატორებს. ანალიზმა აჩვენა, რომ არომატიზატორებზე ხაზგასმა ყველაზე მაღალი იყო ელექტრონული სიგარეტის რეკლამებში: რეკლამის მნახველთა

58.0%-მა დაადასტურა რეკლამაში არომატიზატორებზე ხაზგასმა. ტრადიციული სიგარეტისა და HTPs-ების შემთხვევაში უმრავლესობამ უპასუხა „არა“ (სიგარეტისთვის - 80.8%, HTPs-სთვის - 77.8%). მხოლოდ 19.3%-მა დაადასტურა არომატიზატორებზე ხაზგასმა ტრადიციული სიგარეტის რეკლამაში, ხოლო 22.3%-მა HTPs რეკლამაში. დეტალური მონაცემები მოცემულია ცხრილში 7.

ცხრილი 7: თამბაქოს ნაწარმის რეკლამებში არომატიზატორებზე ხაზგასმის პროცენტული განაწილება პროდუქტების მიხედვით			
თამბაქოს ნაწარმი	რეკლამა ან ნიშანი არ უსვამდა ხაზს არომატიზატორებს (%)	რეკლამა ან ნიშანი უსვამდა ხაზს არომატიზატორებს (%)	ვალიდური N
ტრადიციული სიგარეტი	80.8%	19.3%	220
ელექტრონული სიგარეტი	42.0%	58.0%	295
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	77.8%	22.3%	172

შენიშვნა: ვალიდური N წარმოადგენს იმ რესპონდენტთა რაოდენობას, რომლებმაც ბოლო 30 დღის განმავლობაში ნახეს კონკრეტული პროდუქტის რეკლამა.

4.1.1.5. თამბაქოს ნაწარმის მომავალში მოხმარების განზრახვა

თამბაქოს ნაწარმის მომავალში მოხმარების განზრახვის აღწერილობითი ანალიზი ჩატარდა სამი კომპოზიტური, სამკატეგორიანი ცვლადის საშუალებით. შედეგები მოცემულია ცხრილში 8, რომელიც აჩვენებს, რომ ზოგადად რესპონდენტებს ჰქონდათ თამბაქოს ნაწარმის მომავალში მოხმარების დაბალი განზრახვა. რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავდა არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტის (79.3%) და HTPs-ების (87.3%) მომავალში გამოყენების დაბალ განზრახვას. ელექტრონული სიგარეტის შემთხვევაში, ეს მაჩვენებელი იყო 71.0%, თუმცა მისი გამოყენების საშუალო და მაღალი განზრახვა ერთად შეადგენდა 29.1%-ს (20.3% + 8.8%), რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო ზემოთ დასახელებულ თამბაქოს ნაწარმთან შედარებით.

ცხრილი 8. რესპოდენტთა განზრახვა მომდევნო 12 თვის განმავლობაში არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მოხმარების თაობაზე (N=400)			
თამბაქოს ნაწარმის სახეობა	დაბალი განზრახვა	საშუალო განზრახვა	მაღალი განზრახვა
არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	317 (79.3%)	54 (13.5%)	29 (7.2%)
არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	284 (71.0%)	81 (20.3%)	35 (8.8%)
არომატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	349 (87.3%)	32 (8.0%)	19 (4.8%)

შენიშვნა: განზრახვის კატეგორიები ეფუძნება 7-ქულიანი შკალის კოდირებას: 1 (დაბალი განზრახვა) მოიცავს 1-2 ქულას; 2 (საშუალო განზრახვა) მოიცავს 3-5 ქულას; 3 (მაღალი განზრახვა) მოიცავს 6-7 ქულას.

4.1.1.6 . მოსაზრებები პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ

კვლევის ფარგლებში შეფასდა რესპოდენტთა დამოკიდებულება არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მარეგულირებელი პოლიტიკის მიმართ. შედეგებმა, რომელიც მოცემულია ცხრილში 9, აჩვენა, რომ რესპოდენტთა უმრავლესობა მხარს უჭერს კანონს რომელიც დაარეგულირებს (მაგრამ არ აკრძალავს) არომატიზატორების გამოყენებას თამბაქოს ნაწარმში. სამივე პროდუქტისთვის მხარდამჭერთა ჯამური პროცენტი (კატეგორიები „მტკიცედ მხარს ვუჭერ“ და „მხარს ვუჭერ“) 51.2%-დან 51.5%-მდე მერყეობდა. წინააღმდეგობის დონე (კატეგორიები „წინააღმდეგი ვარ“ და „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“) კი დაბალი იყო (17.3%-დან 18.3%-მდე).

თამბაქოს ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტებში არომატიზატორების სრულ აკრძალვასთან დაკავშირებით რესპოდენტები უფრო ხშირად „ნეიტრალურ/არ ვიცი“ პასუხებს აფიქსირებდნენ (34.5%-დან 35%-მდე). მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა ჯამური პროცენტები კი სამივე პროდუქტისთვის მსგავსი იყო.

თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსების სრული აკრძალვის კუთხით, ტრადიციული სიგარეტის შემთხვევაში ყველაზე მეტმა - 22.3%-მა დააფიქსირა კატეგორიული წინააღმდეგობა. ხოლო ელექტრონული სიგარეტისა და HTPs-ის შემთხვევაში კი ნეიტრალური პოზიცია დომინირებდა (29.0%). თუმცა, საერთო ჯამში, მოწინააღმდეგეთა

(„წინააღმდეგი ვარ“ და „კატეგორიულად ვეწინააღმდეგები“ რაოდენობა ყველა პროდუქტისთვის (ჯამში 39.3%-დან 42.6%-მდე) მნიშვნელოვნად აღემატებოდა მხარდამჭერთა („მხარს ვუჭერ“ და „მტკიცედ მხარს ვუჭერ“) რაოდენობას (29.8%-დან 32.3%-მდე)

ცხრილი 9. რესპონდენტთა მოსაზრებები თამბაქოს ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ (N=400)

პოლიტიკის ღონისძიება	მტკიცედ მხარს ვუჭერ (%)	მხარს ვუჭერ (%)	ნეიტრალური ვარ/არ ვიცი (%)	წინააღმდეგი ვარ (%)	კატეგორიულად ვეწინააღმდეგები (%)	საშუალო (M)	სტანდ. გადახრა (SD)
არომატიზატორების რეგულირება (შეზღუდვა)							
ტრადიციული სიგარეტი	25.5%	26.0%	31.3%	8.8%	8.5%	2.49	1.204
ელექტრონული სიგარეტი	25.8%	25.5%	30.5%	9.3%	9.0%	2.50	1.222
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	26.8%	24.5%	31.0%	8.5%	9.3%	2.49	1.230
არომატიზატორების სრული აკრძალვა							
ტრადიციული სიგარეტი	19.5%	14.0%	34.5%	16.3%	15.8%	2.95	1.309
ელექტრონული სიგარეტი	18.8%	14.0%	35.0%	15.8%	16.5%	2.97	1.308
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	19.8%	14.2%	34.5%	15.3%	16.3%	2.94	1.317
ნაწარმის ბაზარზე განთავსების აკრძალვა							

ტრადიციული სიგარეტი	17.5%	12.3%	27.8%	20.3%	22.3%	3.18	1.374
ელექტრონული სიგარეტი	16.8%	15.0%	29.0%	18.5%	20.8%	3.12	1.351
გასახურებელი თამბაქო (HTPs)	19.0%	13.3%	29.0%	18.0%	20.8%	3.08	1.379
<i>შენიშვნა: პოლიტიკის ღონისძიება შეფასდა შკალაზე 1-დან (მტკიცედ მხარს ვუჭერ) 5-მდე (კატეგორიულად ვეწინააღმდეგები).</i>							

4.1.2. ბივარიაციული ანალიზი: აღქმების კავშირი სოციო-დემოგრაფიულ

მახასიათებლებთან და მოხმარების სტატუსთან

შედეგების ანალიზის მეორე ფაზაზე, ბივარიაციული სტატისტიკური ტესტირების, კერძოდ, ხი კვადრატის ტესტის მეშვეობით, შემოწმდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები რესპონდენტთა აღქმებს და ძირითად საკონტროლო ცვლადებს (სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები), ასევე თამბაქოს მოხმარების სტატუსს შორის.

დეტალური შედეგები წარმოდგენილია მე-4 დანართში, ცხრილებში 10 და 11.

ანალიზმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი აღქმულ ზიანსა და თამბაქოს მოხმარების სტატუსს შორის. კერძოდ, მონაწილეები, რომლებიც ბოლო 30 დღის განმავლობაში მოიხმარდნენ თამბაქოს რომელიმე ნაწარმს, მნიშვნელოვნად უფრო ხშირად აღიქვამდნენ არომატიზირებულ პროდუქტებს, როგორც „უფრო საზიანოს“ საკუთარი ($p < 0.001$) და სხვების ($p = 0.022$) ჯანმრთელობისთვის, ვიდრე არამომხმარებლები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოხატული იყო ტრადიციული სიგარეტის მოხმარებლებში ($p < 0.001$).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირები არ გამოვლენილა ერთის მხრივ აღქმულ მიჯაჭვულობასა და სოციალურ მისაღებობასა, და მეორე მხრივ, სოციო-დემოგრაფიულ ცვლადებსა თუ მოხმარების სტატუსს შორის.

ბივარიაციული ანალიზის ფარგლებში, ANOVA-სმეშვეობით ასევე შეფასდა, თუ როგორ უკავშირდება აღქმები თამბაქოს ნაწარმის მომავალში მოხმარების განზრახვას.

გამოვლინდა, რომ რესპოდენტებს, რომლებიც არომატიზირებულ პროდუქტებს სხვების ჯანმრთელობისთვის „უფრო საზიანოდ“ აღიქვამდნენ, სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი განზრახვა ჰქონდათ, მოეხმარებინათ არაარომატიზირებული პროდუქტები:

კერძოდ, არაარომატიზირებული სიგარეტი ($p=0.045$), ელექტრონული სიგარეტი ($p<0.001$) და HTPs ($p=0.004$).

4.1.3. მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის შედეგები

კვლევის მიზნების შესაბამისად, აგებულ იქნა მულტივარიაციული ლოგისტიკური რეგრესიის მოდელები. ამ მოდელების მიზანი იყო, დაედგინა აღქმების დამოუკიდებელი კავშირი თამბაქოს სამივე ნაწარმის (ტრადიციული სიგარეტი, ელექტრონული სიგარეტი, HTPs) ამჟამინდელ (ერთხელ მაინც ბოლო 30 დღეში) მოხმარებასთან. მოდელები კონტროლდებოდა სქესისა და განათლების დონის მიხედვით.

ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზის პირველი ეტაპის (ჯგუფი A) შედეგები, რომელიც მიზნად ისახავდა თამბაქოს ამჟამინდელი მოხმარების განმსაზღვრელი ფაქტორების (პრედიქტორების) შეფასებას, წარმოდგენილია ცხრილში 12.

ტრადიციული სიგარეტის ამჟამინდელ მოხმარებაზე აგებულმა მოდელმა აჩვენა, რომ შედარებითი ზიანის აღქმა მოხმარების სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი იყო. კერძოდ, იმ რესპონდენტებს, რომლებიც არომატიზირებულ პროდუქტებს არაარომატიზირებულთან შედარებით „უფრო საზიანოდ“ ($aOR=0.18$, 95% CI: 0.08–0.40) ან „ნაკლებად საზიანოდ“ ($aOR=0.30$, 95% CI: 0.16–0.54) აღიქვამდნენ (საცნობარო ჯგუფი იყო „თანაბრად საზიანო“), ამჟამინდელი მოხმარების სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დაბალი შანსი ჰქონდათ.

ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელ მოხმარებაზე აგებულ მოდელში აღქმული ზიანი კვლავ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო: იმ რესპონდენტებს, რომლებიც არომატიზირებულ პროდუქტებს „ნაკლებად საზიანოდ“ თვლიდნენ, მოხმარების უფრო დაბალი შანსი ჰქონდათ ($aOR=0.46$, 95% CI: 0.25–0.85). ამასთან, გამოვლინდა კავშირი მიჯაჭვულობის აღქმასთან: ის მონაწილეები, რომლებიც არომატიზირებულ პროდუქტებს „უფრო მეტად მიმჯაჭველად“ აღიქვამდნენ, 2.78-ჯერ მაღალი შანსი ჰქონდათ, ყოფილიყვნენ ელექტრონული სიგარეტის მიმდინარე მომხმარებლები ($aOR=2.78$, 95% CI: 1.06–7.28). HTPs-ის ამჟამინდელი მოხმარების მოდელში, აღქმის ცვლადებსა და პროდუქტის მოხმარებას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი არ გამოვლენილა. რაც შეეხება საკონტროლო ცვლადებს, ქალი რესპონდენტები მამაკაცებთან შედარებით უფრო მაღალი ალბათობით მოიხმარდნენ როგორც ტრადიციულ სიგარეტს ($aOR=2.10$, 95% CI: 1.31–3.36), ასევე ელექტრონულ სიგარეტს ($aOR=1.81$, 95% CI: 1.10–2.98).

მოდელის მიხედვით, აღქმულ ზიანს სხვებისთვის და სოციალურ მისაღებობას
თამბაქოს მოხმარების სტატუსთან მნიშვნელოვანი კავშირი არ ჰქონია.

ცხრილი 12: ლოგისტიკური რეგრესია: ბოლო 30 დღის მოხმარების განმსაზღვრელი ფაქტორები (ჯგუფი A)

განმსაზღვრელი ფაქტორი	ტრადიციული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარება				ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარება				გასახურებელი თამბაქოს (HTPs) ამჟამინდელი მოხმარება			
	aOR	95% CI		p-value	aOR	95% CI		p-value	aOR	95% CI		p-value
		Lower	Upper			Lower	Upper			Lower	Upper	
სქესი (ქალი vs. მამაკაცი)	2.099	1.312	3.361	0.002	1.813	1.101	2.984	0.019	1.754	0.975	3.154	0.061
განათლების დონე (საცნობარო კატეგორია: უმაღლესი განათლების არმქონე)	1.150	0.750	1.763	0.521	0.833	0.517	1.340	0.450	0.978	0.553	1.729	0.939
მიჯაჭვულობა: ნაკლებად vs. თანაბრად	1.167	0.608	2.240	0.642	2.209	0.961	5.077	0.062	0.980	0.415	2.311	0.963
მიჯაჭვულობა: მეტად vs. თანაბრად	1.174	0.529	2.604	0.693	2.784	1.064	7.284	0.037	1.506	0.551	4.115	0.425
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობისთვის: ნაკლებად vs. თანაბრად	0.296	0.163	0.539	<0.001	0.455	0.245	0.847	0.013	0.504	0.250	1.018	0.056
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობისთვის: მეტად vs. თანაბრად	0.177	0.078	0.399	<0.001	0.503	0.217	1.168	0.110	0.430	0.158	1.168	0.098
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის: ნაკლებად vs. თანაბრად	0.842	0.333	2.126	0.716	1.290	0.482	3.457	0.612	0.726	0.255	2.066	0.549
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის: მეტად vs. თანაბრად	0.993	0.337	2.927	0.990	0.937	0.289	3.040	0.914	0.805	0.228	2.836	0.735

სოციალურად მისაღები: ნაკლებად vs. თანაბრად	0.975	0.545	1.747	0.933	0.659	0.358	1.213	0.180	0.764	0.367	1.592	0.473
სოციალურად მისაღები: მეტად vs. თანაბრად	1.158	0.479	2.798	0.745	0.505	0.187	1.366	0.179	0.648	0.209	2.013	0.453

შენიშვნა: ლოგისტიკური რეგრესიის მოდელი მოიცავს 384 რესპონდენტს. ანალიზიდან გამოირიცხა სულ 16 შემთხვევა (4%) ცვლადებში გამოტოვებული მნიშვნელობების (Missing Values) გამო. გამოტოვების ძირითადი მიზეზები იყო რესპონდენტების მიერ განათლების დონის კითხვაზე „მირჩევნია პასუხი არ გავცე“ არჩევა, ან ტექნიკურად გამოტოვებული მნიშვნელობები იმ ინდივიდუალურ კომპონენტებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა სამკატეგორიანი აღქმის ცვლადების შესაქმნელად.

რეგრესიული მოდელების მეორე ნაკრები (ჯგუფი B) აფასებდა, თუ რომელი ფაქტორები განაპირობებდა კონკრეტულად არომატიზირებული პროდუქტების მოხმარებას იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც უკვე იყვნენ თამბაქოს ნაწარმის ამჟამინდელი მომხმარებლები (შედეგები იხილეთ ცხრილში 13). მულტივარიაციულმა ლოგისტიკურმა რეგრესიამ არ აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კავშირი რესპონდენტთა აღქმებსა და მათ მიერ არომატიზირებული სიგარეტის, ელექტრონული სიგარეტის ან HTPs-ის ამჟამინდელ (ბოლო 30 დღეში ერთხელ მაინც) მოხმარებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ შანსების ზოგიერთმა კოეფიციენტმა აჩვენა პოტენციური ტენდენციები, არც ერთ მათგანს არ მიუღწევია სტატისტიკური მნიშვნელოვნებისთვის. ამ მოდელში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორი (პრედიქტორი) იყო სქესი: ქალ რესპონდენტებს (მამაკაცებთან შედარებით) მნიშვნელოვნად დაბალი შანსი ჰქონდათ, ყოფილიყვნენ არომატიზირებულ ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მომხმარებლები (aOR=0.045, 95% CI: 0.003–0.612, p=0.020)

ცხრილი 13. ლოგისტიკური რეგრესია: არომატიზირებული პროდუქტების მოხმარების განმსაზღვრელი ფაქტორები ამჟამინდელ მომხმარებლებს შორის (ჯგუფი B)

განმსაზღვრელი ფაქტორები	არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარება		არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარება		არომატიზირებული გასახურებელი თამბაქოს (HTPs) ამჟამინდელი მოხმარება	
		95% CI		95% CI		95% CI

	aOR	Lower	Upper	p-value	aOR	Lower	Upper	p-value	aOR	Lower	Upper	p-value
სქესი (ქალი vs. მამაკაცი)	0.770	0.342	1.733	0.527	0.045	0.003	0.612	0.020	0.900	0.279	2.905	0.860
განათლების დონე (საცნობარო კატეგორია: უმაღლესი განათლების არმქონე)	0.581	0.261	1.292	0.183	2.777	0.422	18.283	0.288	0.634	0.198	2.023	0.441
მიჯაჭვულობა: ნაკლებად vs. თანაბრად	2.128	0.537	8.432	0.282	1.699	0.102	28.410	0.712	2.570	0.386	17.130	0.329
მიჯაჭვულობა: მეტად vs. თანაბრად	1.521	0.320	7.226	0.598	0.518	0.023	11.679	0.679	2.668	0.269	26.463	0.402
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობის სთვის: ნაკლებად vs. თანაბრად	1.264	0.512	3.121	0.612	0.878	0.124	6.196	0.896	1.438	0.383	5.408	0.591
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობის სთვის: მეტად vs. თანაბრად	0.428	0.074	2.486	0.344	*	*	*	*	3.280	0.471	22.857	0.230
საზიანო სხვების ჯანმრთელობის სთვის:	0.535	0.147	1.955	0.344	0.218	0.009	5.147	0.345	1.693	0.191	15.016	0.636

ნაკლებად vs. თანაბრად												
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის: მეტად vs. თანაბრად	1.130	0.210	6.091	0.887	*	*	*	*	3.825	0.331	44.187	0.283
სოციალურად მისაღები: ნაკლებად vs. თანაბრად	0.505	0.184	1.391	0.186	1.119	0.086	14.559	0.932	0.314	0.072	1.375	0.124
სოციალურად მისაღები: მეტად vs. თანაბრად	0.776	0.176	3.414	0.737	0.049	0.001	1.666	0.094	0.880	0.084	9.252	0.915

შენიშვნა: სიმბოლო „*“ აღნიშნავს არასტაბილურ შეფასებებს.

რეგრესიული ანალიზის მესამე ნაკრები (ჯგუფი C) შეისწავლიდა აღქმების კავშირს თამბაქოს პროდუქტების მომდევნო წლის განმავლობაში გამოყენების განზრახვასთან, კონკრეტულად იმ რესპონდენტებს შორის, რომლებიც ამჟამად არ მოიხმარდნენ თამბაქოს. აღნიშნულის შედეგები მოცემულია ცხრილში 14.

ამ მოდელის შედეგებმა აჩვენა, რომ მონაწილეები, რომლებიც არომატიზირებულ პროდუქტებს „მეტად საზიანოდ“ აღიქვამდნენ სხვების ჯანმრთელობისთვის, მნიშვნელოვნად დაბალი ალბათობით აფიქსირებდნენ არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტის გამოყენების მაღალ განზრახვას (aOR=0.040, 95% CI: 0.003–0.622, p=0.022). ანალოგიურად, მათ, ვინც არომატიზირებულ პროდუქტებს „ნაკლებად საზიანოდ“ აღიქვამდა სხვებისთვის, ჰქონდათ არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტის მომავალი გამოყენების განზრახვის დაბალი შანსი (aOR=0.079, 95% CI: 0.012–0.508, p=0.008).

ცხრილი 14. ლოგისტიკური რეგრესია: არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის მოხმარების მაღალი განზრახვის განმსაზღვრელი ფაქტორები არამომხმარებლებში (ჯგუფი C)

განმსაზღვრელი ფაქტორები	ტრადიციული სიგარეტის არამომხმარებლები				ელექტრონული სიგარეტის არამომხმარებლები				გასახურებელი თამბაქოს (HTPs) არამომხმარებლები			
	aOR	95% CI		p-value	aOR	95% CI		p-value	aOR	95% CI		p-value
		Lower	Upper			Lower	Upper			Lower	Upper	
სქესი (ქალი vs. მამაკაცი)	0.488	0.086	2.758	0.417	0.644	0.294	1.412	0.272	1.133	0.275	4.673	0.863
განათლების დონე (საცნობარო კატეგორია: უმაღლესი განათლების არმქონე)	0.657	0.192	2.245	0.503	1.017	0.542	1.908	0.959	0.458	0.113	1.863	0.275
მიჯაჭვულობა: ნაკლებად vs. თანაბრად	0.472	0.105	2.119	0.327	0.716	0.310	1.657	0.435	1.383	0.151	12.654	0.774
მიჯაჭვულობა: მეტად vs. თანაბრად	0.418	0.054	3.266	0.406	0.777	0.257	2.350	0.655	2.569	0.236	27.945	0.438
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობისთვის : ნაკლებად vs. თანაბრად	1.300	0.169	9.997	0.801	0.525	0.218	1.266	0.151	0.348	0.084	1.439	0.145
საზიანო საკუთარი ჯანმრთელობისთვის : მეტად vs. თანაბრად	1.800	0.190	17.035	0.608	0.580	0.177	1.901	0.368	0.185	0.016	2.171	0.179
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის : ნაკლებად vs. თანაბრად	0.079	0.012	0.508	0.008	2.245	0.446	11.290	0.327	1.180	0.115	12.126	0.889
საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის : მეტად vs. თანაბრად	0.040	0.003	0.622	0.022	1.279	0.198	8.268	0.796	2.074	0.134	32.111	0.602

სოციალურად მისაღები: ნაკლებად vs. თანაბრად	0.430	0.113	1.636	0.216	0.788	0.338	1.840	0.583	1.604	0.185	13.930	0.669
სოციალურად მისაღები: მეტად vs. თანაბრად	0.698	0.065	7.453	0.766	0.545	0.144	2.056	0.370	2.808	0.231	34.130	0.418

4.2: თამბაქოს ახალი პროდუქტების კონტროლის პოლიტიკის ანალიზი საქართველოში წინამდებარე ქვეთავი წარმოადგენს საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩოს დოკუმენტური ანალიზის შედეგებს. ანალიზი განხორციელდა ექვსი საკვანძო მიმართულებით და მოიცავდა ეროვნული კანონმდებლობის შედარებას ჯანმრთელობის ჩარჩო კონვენციის სტანდარტებთან და ევროკავშირის TPD დებულებებთან. კვლევის მიზანი იყო ეროვნული პოლიტიკის სტრუქტურული და შინაარსობრივი ხარვეზების იდენტიფიცირება HTPs-ის და ელექტრონული სიგარეტის (ამ ნაშრომის მიზნებისთვის როგორც „თამბაქოს ახალი ნაწარმი“) კონტროლის კუთხით.

4.2.1. ძირითადი მიგნებები

შედარებითი ანალიზის შედეგად, რომელიც სრულად მოცემულია მე-5 დანართში (ცხრილი 15) გამოვლინდა, რომ ეროვნული პოლიტიკა სრულ შესაბამისობაშია ჩარჩო კონვენციის სტანდარტებთან ისეთ სფეროებში, როგორცაა თამბაქოს ახალი ნაწარმის ყოვლისმომცველი რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის აკრძალვა. თუმცა, არსებითი რეგულირების ხარვეზები არსებობს ძირითადად სამ სფეროში: თამბაქოს ახალი ნაწარმის შემადგენლობის კონტროლი; ბაზრის ზედამხედველობა და აღსრულების მექანიზმები.

ქვემოთ მოცემული ქვეთავები დეტალურად განიხილავს ამ მიგნებებს, ეროვნული რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან შედარების საფუძველზე, ხარვეზის იდენტიფიცირებისა და ამ ხარვეზის გავლენის შეფასების გზით.

4.2.1.1. თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტება და კატეგორიზაცია

თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტებისა და კატეგორიზაციის ანალიზმა გამოავლინა არსებითი განსხვავებები საერთაშორისო სტანდარტებსა და ეროვნულ მიდგომას შორის.

საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩოები HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტს განსხვავებულად განიხილავენ. TPD „თამბაქოს ახალ ნაწარმს“ განსაზღვრავს ბაზარზე შესვლის თარიღის მიხედვით (2014 წლის 19 მაისის შემდეგ) (TPD, მუხ. 2(14)). TPD-ისა და ჩარჩო კონვენციის (COP8/მხარეთა კონფერენციის მერვე შეხვედრა, 2018) გაგებით, HTPs აღიარებულია თამბაქოს ახალ ნაწარმად. ელექტრონული სიგარეტი კი ჯანმოს (COP6/მხარეთა კონფერენციის მეექვსე შეხვედრა, 2014) და ევროკავშირის (TPD, მუხ. 20) მიერ განიხილება როგორც ნიკოტინის შემცველი არათამბაქოს ნაწარმი (ცალკე კატეგორია).

საქართველოს კანონმდებლობა (სკთკმ, მუხ. 3. „ა.ზ“) განსაზღვრავს „თამბაქოს ახალ ნაწარმს“ როგორც თამბაქოს შემცველ პროდუქტს, რომელიც არ მიეკუთვნება სხვა კატეგორიებს. კანონის გაგებით, HTPs (სკთკმ, მუხ. 3. „ა.ი“) და ელექტრონული სიგარეტის მასალა (სკთკმ, მუხ. 3. „ა.ვ“) ცალკე კატეგორიებად არის მოცემული და არ ითვლება თამბაქოს ახალ ნაწარმად. ეს მიდგომა, რომელიც ნაწარმის კატეგორიზაციასა და თამბაქოს შემცველობას ეფუძნება, ქმნის ნაწილობრივ შეუსაბამობას TPD-ის ინკლუზიურ მოდელთან, თუმცა პრაქტიკაში ქართული მიდგომა უზრუნველყოფს თამბაქოს ახალი ნაწარმის რეგულირების ფარგლებში მოქცევას, მსგავსად ჯანმოს და ევროკავშირის მიდგომისა, შესაბამისად, TPD-ის ჩანაწერთან ფორმალური შეუსაბამობის მიუხედავად, ახალი ნაწარმის განმარტების მიზანი სრულდება.

ელექტრონული სიგარეტის სტატუსი და მისი განმარტება:

ელექტრონული სიგარეტის მარეგულირებელი ჩარჩოს კუთხით იკვეთება ნაწილობრივი შესაბამისობა TPD-სთან. საქართველოს კანონი ნიკოტინის შემცველ ელექტრონული სიგარეტის მასალას/კარტრიჯს/კაფსულას მიიჩნევს თამბაქოს ნაწარმად (სკთკმ, მუხ. 3. „ა.ვ“) და ავრცელებს მასზე კონტროლის კანონმდებლობას, რაც ემთხვევა TPD-ის მიდგომას. TPD ელექტრონულ სიგარეტს განმარტავს, როგორც ნიკოტინის შემცველ, არათამბაქოს პროდუქტს (TPD, მუხ. 2(16)) და არეგულირებს ცალკე მუხლით (TPD, მუხ. 20). თუმცა, TPD-ისგან განსხვავებით, ჯანმოს გადაწყვეტილება (მხარეთა კონფერენციის მეექვსე შეხვედრა, 2014) მოუწოდებს ჩარჩო კონვენციის მხარეებს, გააკონტროლონ როგორც ENDS, ასევე ENNDS.

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტის განმარტებას და ის რჩება თამბაქოს კონტროლის მარეგულირებელი ჩარჩოს მიღმა. აღნიშნულის არარსებობა ქმნის ბაზრის უკონტროლო სეგმენტს.

გასახურებელი თამბაქოს (HTPs) სტატუსი და მისი განმარტება:

საქართველოს კანონმდებლობა HTPs-ს განმარტავს, როგორც თამბაქოს ნაწარმს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ გახურების გზით მოხმარებისთვის (სკთკშ, მუხ. 3.“ა.ი“).

განმარტების ნაწილში იგი სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს: TPD არ იყენებს ტერმინს „HTPs“, თუმცა დელეგირებული დირექტივა 2022/2100 HTPs-ს განმარტავს, როგორც თამბაქოს ახალ ნაწარმს, რომელიც გახურების შედეგად წარმოქმნის გამონახობლქვს (2022/2100, პრეამბ. 4). ანალოგიურად, HTPs ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციამ (COP8, 2018) ოფიციალურად აღიარა თამბაქოს ნაწარმად და დაადგინა, რომ მასზე ვრცელდება ჩარჩო კონვენციის ყველა დებულება. მიუხედავად სრული შესაბამისობისა, ტერმინის განმარტების ფორმულირებიდან გამომდინარე, არსებობს რისკი, რომ ბაზარზე გამოჩნდება უნიკოტინო ან სხვა იმგვარი ნაწარმი, რომელიც მისი არსით HTPs-ია, მაგრამ არ ერგება კანონში არსებულ „თამბაქოს შემცველი“ ნაწარმის განმარტებას და რჩება რეგულირების მიღმა.

4.2.1.2. თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის კონტროლი და მათში არომატიზატორების გამოყენების რეგულირება

დამახასიათებელი არომატების (Characteristic Flavours) აკრძალვა:

ამ მიმართულებით გამოვლინდა არსებითი შეუსაბამობა ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს შორის. TPD კრძალავს დამახასიათებელი არომატიზატორების (მაგ., ხილი, ვანილი) გამოყენებას თამბაქოს ნაწარმში (TPD, მუხ. 7(1)). ეს აკრძალვა დელეგირებული დირექტივა 2022/2100-ით გავრცელდა HTPs-ზეც (დირექტივა 2022/2100). ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელოებიც მოითხოვს ინგრედიენტების კონტროლს პროდუქტის მიმზიდველობის შესამცირებლად (ჯანმოს ჩარჩო კონვენციის მუხ. 9 და 10 განხორციელების სახელმძღვანელო, 2017).

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამახასიათებელი არომატების შეზღუდვას ან აკრძალვას არც ახალ, და არც ტრადიციულ თამბაქოს ნაწარმში. ეს რეგულირების არარსებობა პირდაპირ ეწინააღმდეგება TPD-ისა და დელეგირებული დირექტივის მოთხოვნებს. აღნიშნული არსებითი შეუსაბამობა ზრდის თამბაქოს ნაწარმის მიმზიდველობას, რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო კონვენციის მიზნებს. ევროასოციაციის პროცესში TPD-სთან სრული შესაბამისობის მიღწევისთვის ეს ხარვეზი საჭიროებს კანონმდებლობის გადახედვას.

დანამატების (Additives) კონტროლი:

დანამატების კონტროლის კუთხით გამოვლინდა არსებითი შეუსაბამობა TPD-ის სტანდარტებთან. TPD კრძალავს თამბაქოს ნაწარმსა და HTPs-სთვის დანამატებს, რომლებიც ქმნის ჯანმრთელობის სარგებლის ან ენერგიულობის შთაბეჭდილებას (TPD, მუხ. 7(6)). TPD ასევე კრძალავს დანამატებს ნაწარმის ტექნიკურ კომპონენტებში (ფილტრი, კაფსულა) (TPD, მუხ. 7(7)), ხოლო ელექტრონული სიგარეტის სითხე არ უნდა შეიცავდეს აკრძალულ დანამატებს (TPD, მუხ. 20(3)(c)). ჩარჩო კონვენციის განხორციელების სახელმძღვანელოებიც მოითხოვს დანამატების რეგულირებას, რომლებიც ზრდის მიმზიდველობას (ჯანმოს ჩარჩო კონვენციის მუხ. 9 და 10 განხორციელების სახელმძღვანელო, 2017).

საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ცალკე მუხლს ან დეტალურ ჩამონათვალს აკრძალული დანამატების შესახებ. ასევე არ არსებობს რეგულაცია, რომელიც კრძალავს დანამატების გამოყენებას თამბაქოს ნაწარმის ტექნიკურ კომპონენტებში (ფილტრი, კაფსულა). ამგვარი რეგულირების არარსებობა პირდაპირ ეწინააღმდეგება TPD-ის მოთხოვნებს და ქმნის რისკს, რომ ბაზარზე განთავსდება პროდუქტები, რომლებიც ქმნის არასწორ შთაბეჭდილებას ზიანთან დაკავშირებით.

შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები:

შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნების კუთხით გამოვლინდა ნაწილობრივი შესაბამისობა TPD-სთან. TPD ავალდებულებს მწარმოებლებს/იმპორტიორებს, წარადგინონ დეტალური ინფორმაცია HTPs-ისა და ელექტრონული სიგარეტის ინგრედიენტების და ტოქსიკური მონაცემების, შესახებ (TPD, მუხ. 5(1-3), 20(2)(b)). ეს მონაცემები წარდგენილი უნდა იყოს ერთიანი ელექტრონული პლატფორმის (EU-CEG) მეშვეობით (Commission Decision 2015/2186/კომისიის გადაწყვეტილება 2015/2186, 2015) და მათი ნაწილი საჯარო უნდა იყოს (TPD, მუხ. 5(4)). ჩარჩო კონვენცია (მუხ. 10) ასევე მოითხოვს ინგრედიენტების შესახებ ინფორმაციის სრულ გამჟღავნებას თამბაქოს ინდუსტრიისგან და მოუწოდებს მხარეებს ეს ინფორმაცია გახადონ საჯაროდ ხელმისაწვდომი.

საქართველოს კანონმდებლობა ავალდებულებს მწარმოებელს/იმპორტიორს წარუდგინოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის (მათ შორის HTPs-ს და ელექტრონული სიგარეტის) შემადგენლობის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროს (სკთკმ, მუხ. 4.3, 4.3¹). მიუხედავად იმისა, რომ ეს აკმაყოფილებს ჩარჩო კონვენციის საბაზისო მოთხოვნას, არსებობს არსებითი შეუსაბამობა TPD-ის მოთხოვნებთან: მონაცემთა წარდგენა ხდება ფიზიკური ფორმით (დისკი/მეხსიერების ბარათი), რაც არ შეესაბამება TPD-ის ერთიანი

ელექტრონული სისტემის (EU-CEG) მოთხოვნას და ართულებს სამინისტროსთვის მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცესს. ასევე, ინფორმაციის გასაჯაროება არ ხდება, რაც შეუსაბამოა TPD-ის და FCTC-ის პრინციპებთან და არღვევს მომხმარებლის უფლებას იცოდეს პროდუქტის შემადგენლობა. ამ ხარვეზების აღმოფხვრა სავალდებულოა ევროასოციაციის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ბაზრის ზედამხედველობის გასაუმჯობესებლად.

4.2.1.3. შეფუთვის და მასზე და სამედიცინო გაფრთხილებების დატანის მოთხოვნები *სამედიცინო გაფრთხილებების ზომა/შინაარსი:*

ამ მიმართულებით გამოვლინდა ნაწილობრივი შეუსაბამობა TPD-ის მოთხოვნებთან. დირექტივა 2022/2100-ის მიღების შემდეგ, HTPs-ზე ვრცელდება იგივე მოთხოვნა, რაც სიგარეტზე: სავალდებულოა კომბინირებული სამედიცინო გაფრთხილება (ტექსტი და პიქტოგრამა), რომელიც ფარავს შეფუთვის ზედაპირის 65%-ს (TPD, მუხ. 10; 2022/2100). ჩარჩო კონვენცია (მუხ. 11) ასევე მოითხოვს პიქტოგრამების გამოყენებას და ადგენს, რომ სამედიცინო გაფრთხილებები ფარავდეს შეფუთვის 50%-ს ან მეტს (COP რეკომენდაციით 65%-ზე მეტი).

საქართველოს კანონმდებლობით, HTPs-თვის სავალდებულოა მხოლოდ ორი ნიმუშიდან ერთ-ერთი ტექსტობრივი სამედიცინო გაფრთხილება (სკოკმ, მუხ. 6.3), პიქტოგრამის დატანის ვალდებულება კი კანონით არ არის დადგენილი (აღნიშნულის უფლებამოსილება აქვს საქართველოს მთავრობას, თუმცა იგი პრაქტიკაში გამოყენებული არ არის). ეს ქმნის არსებით შეუსაბამობას TPD-ის მოთხოვნებთან. ელექტრონული სიგარეტისთვის TPD მოითხოვს საინფორმაციო ფურცლის განთავსებას შეფუთვაში და ტექსტობრივ გაფრთხილებას გარე შეფუთვაზე (მუხ. 20(4)). საქართველოში სავალდებულოა მხოლოდ საინფორმაციო ფურცლის შეფუთვაში მოთავსება (სკოკმ, მუხ. 6.21), სხვა სახის გარე გაფრთხილებების (ტექსტი ან პიქტოგრამა) დატანის ვალდებულება კი არ არის დადგენილი.

თამბაქოს ახალი ნაწარმისთვის განსხვავებული შეფუთვის სტანდარტების არსებობა რისკის შემცველია, რადგან ეს ნაწარმს მომხმარებლისთვის წარმოაჩენს ნაკლებად საზიანოდ.

სტანდარტიზებული შეფუთვის (Plain Packaging) მოთხოვნა:

სტანდარტიზებული შეფუთვა რეკომენდებულია ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო მითითებებით (მუხ. 11 და 13) შეფუთვაზე რეკლამისა და მიმზიდველობის

აღმოსაფხვრელად. ჯანმოს პოზიციით, ეს მოთხოვნა უნდა გავრცელდეს HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც (Guidelines for implementation of Art. 11 & 13). TPD არ მოიცავს სავალდებულო სტანდარტიზებულ შეფუთვის მოთხოვნას, თუმცა უფლებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, დააწესონ მსგავსი ზომები, მათ შორის HTPs-ზეც (TPD, მუხ. 24.2). საქართველოში დადგენილია თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზაციის წესი, თუმცა ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ელექტრონულ სიგარეტზე და 2024 წლის ივნისის საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ, არც HTPs-ზე (სკოკმ, მუხ. 6.9; მთავრობის დადგენილება №256, 2022; საქართველოს 2024 წლის 27 ივნისის კანონი №4361, 11.07.2024). ეს ქმნის ნაწილობრივ შეუსაბამობას: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო აკმაყოფილებს FCTC-ის რეკომენდაციას ტრადიციულ ნაწარმზე, არსებითი შეუსაბამობა ვლინდება ახალ ნაწარმთან მიმართებით. მათზე სტანდარტიზებული შეფუთვის არ გავრცელება ეწინააღმდეგება ჯანმოს პოზიციას და წარმოადგენს TPD-ის მუხლი 24(2)-ით მინიჭებული უფლებამოსილების გამოყენებლობას. თამბაქოს ახალი ნაწარმისთვის სტანდარტიზებული შეფუთვის არარსებობა ზრდის ნაწარმის მიმართ მიმზიდველობას და შეცდომაში შემყვანია. ამ გზით თამბაქოს ინდუსტრიას რჩება შესაძლებლობა, შეფუთვის მრავალფეროვნებით გვერდი აუაროს რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვას.

შეცდომაში შემყვანი ელემენტების აკრძალვა შეფუთვაზე:

ამ მიმართულებით ანალიზმა გამოავლინა სრული შესაბამისობა TPD-ისა და ჩარჩო კონვენციის სტანდარტებთან. TPD (მუხ. 13.1) და ჩარჩო კონვენცია (მუხ. 11(1)) მკაცრად კრძალავს შეფუთვაზე შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის ან ტერმინების (მაგ., "მსუბუქი", "რბილი") გამოყენებას, რათა არ შეიქმნას „შემცირებული ზიანის“ შთაბეჭდილება. ეს აკრძალვები ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზე.

საქართველოს კანონმდებლობა აკრძალვას ავრცელებს თამბაქოს ყველა ნაწარმზე, მათ შორის HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზე, კრძალავს შეცდომაში შემყვან ინფორმაციასა და ტერმინების გამოყენებას შეფუთვაზე (სკოკმ, მუხ. 6.1). ეს მიდგომა სრულად ემთხვევა TPD-ის და FCTC-ის მოთხოვნებს. აკრძალვა არის გამართლებული სამართლებრივი მექანიზმი მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანის თავიდან ასაცილებლად.

4.2.1.4. მარკეტინგის, რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა;

ხილვადობის აკრძალვა სავაჭრო ობიექტში:

სავაჭრო ობიექტში ხილვადობის აკრძალვის კუთხით დადგინდა სრული შესაბამისობა ჩარჩო კონვენციის სტანდარტებთან. ჩარჩო კონვენცია (მუხ. 13) მოითხოვს თამბაქოს რეკლამის ყოვლისმომცველ აკრძალვას, მათ შორის სავაჭრო ობიექტებში ხილვადობის შეზღუდვას. ეს მოთხოვნა ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც (ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP8(22), 2018 და FCTC/COP7(13), 2016). TPD ამ საკითხის გადაწყვეტას წევრი ქვეყნების კომპეტენციაში ტოვებს (TPD, მუხ. 24(3)).

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სავაჭრო ობიექტში (შიდა/გარე) ხილვადობის სრული აკრძალვა თამბაქოს ყველა ნაწარმისთვის, მათ შორის HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტისთვის (სკთკშ, მუხ. 5.2. “მ“-“ნ“). ეს მკაცრი მიდგომა სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის პრინციპებს, ეფექტურად აფერხებს შემთხვევით/იმპულსურ შესყიდვებს და ზღუდავს ინდუსტრიას სარეკლამო სივრცის გამოყენებაში.

ყოვლისმომცველი სარეკლამო აკრძალვა (Bans on Advertising):

ამ მიმართულებით ანალიზმა გამოავლინა სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩარჩო კონვენცია (მუხ. 13) მოითხოვს რეკლამის ყოვლისმომცველ აკრძალვას ყველა საშუალებით (ინტერნეტის ჩათვლით), რაც ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც (ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP8(22), 2018 და FCTC/COP7(13), 2016). TPD აწესებს აკრძალვას მედიაში რეკლამირებაზე (მუხ. 15, 16, 20(5)), მაგრამ მისი ზომები ნაკლებად მკაცრია.

საქართველოში აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის (მ/შ HTPs და ელექტრონული სიგარეტის) ყველა სახის რეკლამა ინტერნეტის ჩათვლით (საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ, მუხ. 82.1), ასევე აკრძალულია თამბაქოს მოხმარების დემონსტრირებაც (სკთკშ, მუხ. 10.7). საქართველოს მიდგომა სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის სტანდარტს და TPD-ის ბაზისურ მოთხოვნებს.

სპონსორობის აკრძალვა:

ამ მიმართულებით ანალიზმა გამოავლინა სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩარჩო კონვენცია (მუხ. 13) მოითხოვს თამბაქოს სპონსორობის სრულ აკრძალვას (მათ შორის საზღვრებს გარეთ განხორციელებული სპონსორობა). ეს მოთხოვნა ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც ((ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP8(22), 2018 და FCTC/COP7(13), 2016). TPD ზღუდავს მხოლოდ ტრანსსასაზღვრო ეფექტის მქონე სპონსორობას (მუხ. 14, 15, 16, 20(5)), მაგრამ TPD-ის მუხლი 24(3) წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, დააწესონ უფრო მკაცრი ზომები.

საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს თამბაქოს მწარმოებლის, იმპორტიორისა და რეალიზატორის პირდაპირ ან/და არაპირდაპირ სპონსორობას (ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 171²). აკრძალვა ვრცელდება თამბაქოს ყველა სახის ნაწარმზე, მათ შორის HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც.

საქართველოს კანონმდებლობა სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის შესაბამისი მუხლების და სახელმძღვანელო მითითებების მოთხოვნებსა და TPD-ის ამ მხრივ არსებული რეგულაციების მაღალ სტანდარტებს.

4.2.1.5. კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები.

ბაზრის ზედამხედველობა (Market Surveillance):

ბაზრის ზედამხედველობის კუთხით გამოვლინდა არსებითი შეუსაბამობა TPD-ის მოთხოვნებთან. ჩარჩო კონვენცია (მუხ. 21, 22) და TPD მოითხოვს ბაზრის აქტიურ ზედამხედველობასა და სისტემურ მექანიზმებს, რაც ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზე. TPD კონკრეტულად მოითხოვს შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღებას ერთიანი ელექტრონული პორტალის - EU-CEG საშუალებით (მუხ. 5, 20(2)) და EU-მასშტაბის მიკვლევადობის სისტემის ქონას (Traceability) (მუხ. 15-16). საქართველოში თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია მიიღება (სკოტკმ, მუხ. 4.3, 4.3¹), მაგრამ არ არსებობს EU-CEG-ის ანალოგი ელექტრონული ბაზა. მიკვლევადობა შემოიფარგლება აქციზური მარკით, რაც TPD-ის მიზნებს ვერ უზრუნველყოფს. არ ხორციელდება ნაწარმის შემადგენლობის ანალიზი ან ბაზარზე არსებული პროდუქტის აქტიური მონიტორინგი.

TPD-ით მოთხოვნილი სისტემური მექანიზმების (ელექტრონული ბაზა, სრული მიკვლევადობა) არარსებობა ქმნის არსებით შეუსაბამობას და ზრდის რისკს, რომ ბაზარზე განთავსდება კანონმდებლობის შეუსაბამო პროდუქცია. ევროპული ვალდებულებების შესასრულებლად აუცილებელია EU-CEG-ის მსგავსი ელექტრონული სისტემის დანერგვა და მიკვლევადობის სისტემის სრულად ჰარმონიზაცია.

ბაზარზე არსებული ნაწარმის ტესტირება და ანალიზის მეთოდები:

ამ მიმართულებით ანალიზმა გამოავლინა არსებითი შეუსაბამობა TPD-ისა და ჩარჩო კონვენციის მოთხოვნებთან. TPD (მუხ. 4(1)) და ჩარჩო კონვენცია (მუხ. 9, 10) მოითხოვს პროდუქციის შემადგენლობისა და გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვას ჰარმონიზებული ISO სტანდარტებით ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი ლაბორატორიების მიერ. ეს მოთხოვნა სრულად ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც. საქართველოში ბაზარზე არსებული ნაწარმის ტესტირება არ ხდება და არ

არსებობს ეროვნულ დონეზე დადგენილი ანალიზის სტანდარტიზებული მეთოდები. ეს ხარვეზი ქმნის არსებით შეუსაბამობას, რადგან სახელმწიფო ვერ ამოწმებს HTPs-ისა და ელექტრონული სიგარეტის შემადგენლობის შესაბამისობას. TPD-თან ჰარმონიზაციისთვის საჭიროა სავალდებულო, სტანდარტიზებული ტესტირების დანერგვა და ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი ლაბორატორიების შექმნა, რათა მონაცემები იყოს სანდო.

აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყების მანდატი:

აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყების მანდატის კუთხით გამოვლინდა სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩარჩო კონვენცია (მუხ. 21, 22) და TPD (მუხ. 26) მოითხოვს, რომ მხარეებმა მკაფიოდ განსაზღვრონ კანონმდებლობის აღსრულებაზე პასუხისმგებელი უწყებები და მიანიჭონ მათ ადეკვატური სამართლებრივი მანდატი. ჩარჩო კონვენციის გადაწყვეტილებით (მაგ., FCTC/COP8(22)) ეს მანდატი უნდა მოიცავდეს HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის კონტროლის ყველა ასპექტს.

საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს აღმასრულებელ უწყებებს, რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი სამართლებრივი მანდატი (ადმ. სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე) თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ყველა ძირითადი აკრძალვის აღსრულებისთვის. ეს მოიცავს როგორც ტრადიციულ თამბაქოს, ასევე HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტების რეგულაციების ზედამხედველობასა და სანქცირებას. საქართველო სრულად შეესაბამება როგორც FCTC-ის, ისე TPD-ის მოთხოვნებს პასუხისმგებელი ორგანოების განსაზღვრისა და მათთვის ადეკვატური მანდატის მინიჭებაზე.

სანქციების შესაბამისობა დარღვევის სიმძიმესთან:

ამ მიმართულებით ანალიზმა გამოავლინა ნაწილობრივი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან. ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო მითითებები (მუხ. 13) და TPD (მუხ. 26) მოითხოვს, რომ სანქციები იყოს ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი. TPD-ის განმარტებით, სანქციის ზომა უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რომ ინდუსტრიას არ მიეცეს სტიმული, განიხილოს ჯარიმა, როგორც მარკეტინგის ხარჯი. ეს მოთხოვნა ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის რეგულაციების დარღვევაზეც (ჯანმო, გადაწყვეტილება FCTC/COP8(22), 2018, და FCTC/COP7(13), 2016).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ფულად ჯარიმებს თამბაქოს კონტროლის კანონის დარღვევისთვის (HTPs-ის ჩათვლით). თუმცა, სანქციები ფიქსირებულია (საშუალოდ 5000 ლარი) და ხშირად არ არის პროპორციული მსხვილი კომპანიების პოტენციურ მოგებასთან. ეს ქმნის ნაწილობრივ შეუსაბამობას. ფიქსირებული, შედარებით დაბალი ჯარიმები მსხვილი კომპანიებისთვის ქმნის სტიმულს, რეგულარულად დაარღვიონ კანონი. შესაბამისად, ჩარჩო კონვენციის მოთხოვნა (ჯარიმა უნდა აღემატებოდეს ეკონომიკურ სარგებელს) სრულად არ სრულდება.

4.2.1.6. ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება

ეროვნული პოლიტიკა ცნობიერების ამაღლებისა და კვლევების კუთხით ნაწილობრივ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც განისაზღვრება ჩარჩო კონვენციის მოთხოვნებით (მუხ.12 და მუხ. 20). თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა (2021-2025) ითვალისწინებს ორ მთავარ მიმართულებას - 1) საინფორმაციო კამპანიები: დაგეგმილია საინფორმაციო და საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება (აქტივობა 1.2.1) ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან (500,000 ლარი); 2) ეროვნული კვლევები: გათვალისწინებულია თამბაქოს მოხმარების შესახებ ეროვნული კვლევების ჩატარება ჯანმოს სტანდარტებით (აქტივობა 1.4.1). თუმცა, დაფინანსების მექანიზმები ცხადყოფს მდგრადობის რისკს კვლევის კომპონენტში. მიუხედავად იმისა, რომ კვლევის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 1,600,000 ლარს, მისი უდიდესი ნაწილი (1,500,000 ლარი) დამოკიდებულია დონორების დაფინანსებაზე, ხოლო სახელმწიფო თანამონაწილეობა მინიმალურია (100,000 ლარი) (თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის სამოქმედო გეგმა 2021-2025).

ამასთან, საქართველოს კანონმდებლობა არ აკმაყოფილებს TPD-ის მოთხოვნებს (მუხ. 20(8)), რადგან არ არსებობს ვალდებულება ელექტრონული სიგარეტის ბაზრის განვითარების (მოხმარების ტენდენციები, რისკის აღქმა) აქტიურ მონიტორინგზე, რაც აფერხებს მონაცემების დროულ შეგროვებასა და ანალიზს ევროასოციაციის კონტექსტში.

თავი V: დისკუსია და რეკომენდაციები

5.1. შესავალი - ძირითადი მიგნებები

წინამდებარე თავი მოიცავს კვლევის ორივე ძირითადი კომპონენტის – რაოდენობრივი კვლევის (N=400) და საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის შედარებითი ანალიზის შედეგების ინტეგრირებულ განხილვას ნაშრომის დასაწყისში მოცემული, თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით. ამ მიდგომის ამოცანაა განიხილოს, რამდენად პასუხობს ეროვნული მარეგულირებელი ჩარჩო (ჯანმოს ჩარჩო კონვენციისა და ევროკავშირის TPD-ის მოთხოვნების ფონზე) 18–25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმებს არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ არომატიზატორები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების ქცევის ჩამოყალიბებაში. გამოკითხულთა თითქმის ნახევარი (49.8%) ამჟამად მოიხმარს თამბაქოს რომელიმე პროდუქტს, ხოლო ელექტრონული სიგარეტის მოხმარების 25%-იანი მაჩვენებელი და მათ შორის, არომატიზირებული კატეგორიის დომინირება (22.8%) შესაძლოა მიუთითებდეს არომატიზატორებით განპირობებულ მოხმარების ქცევაზე. ეს ჰიპოთეზა დადასტურებულია შედეგებით, რომლის მიხედვითაც, ამჟამინდელი ელექტრონული სიგარეტის მოხმარებელთა უმთავრესი მიზეზი (33%) სწორედ არომატების მოწონებაა, ხოლო არამომხმარებლებში მომავალი მოხმარების სურვილის მთავარი მოტივატორიც (19.3%) ასევე არომატების არსებობაა. შედეგებმა აჩვენა, რომ ახალგაზრდებს თამბაქოს სხვა პროდუქტებთან შედარებით, არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის მიმართ უფრო მეტად პოზიტიური აღქმები აქვთ. მულტივარიაციული ანალიზის მიხედვით კი, ამ პოზიტიურმა აღქმამ ელექტრონული სიგარეტის მიმდინარე მოხმარების შანსი თითქმის გაასამმაგა (aOR=2.78). ამ რისკის ფონზე, პოლიტიკის ანალიზით გამოვლინდა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში არსებობს მნიშვნელოვანი ხარვეზები, განსაკუთრებით არომატიზატორების რეგულირების კუთხით.

ქვემოთ მოცემული ქვეთავები დეტალურად განიხილავს ამ და სხვა, ძირითადი მიგნებების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს და განსაზღვრავს კონკრეტულ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის ეროვნული პოლიტიკის გამლიერებისთვის.

5.2. არომატიზატორების გავლენა ახალგაზრდების აღქმებზე და რეგულირების სისუსტეები

წინამდებარე კვლევამ გამოავლინა, რომ 18-25 წლის ახალგაზრდების უმრავლესობისთვის არომატიზირებული პროდუქტი არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით თანაბრად მიჯაჭვულობის მქონედ, თანაბრად საზიანოდ და თანაბრად სოციალურად მისაღებად აღიქმება, თუმცა ამ ზოგადი ინერტულობის ფონზე, რესპოდენტები არომატიზირებულ ელექტრონულ სიგარეტს თამბაქოს სხვა ნაწარმთან შედარებით უფრო ხშირად აღიქვამდნენ, როგორც უფრო მეტად სოციალურად მისაღებად და ნაკლებად საზიანოდ საკუთარი ჯანმრთელობისთვის. ეს შედეგი ეხმიანება სხვადასხვა ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ არომატები მნიშვნელოვნად ზრდის პროდუქტის მიმზიდველობას ახალგაზრდებში (Wagoner/ვაგონერი et al./და სხვ., 2016; Kowitz/კოვიტი et al./და სხვ., 2017; Krüsemann/კრუსემანი et al./და სხვ., 2021; Cheney/ჩენი, Gowin/გოუინი, & Wann/ვანი, 2016) და ახალგაზრდები არომატიზებულ თამბაქოს ნაწარმს მის არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით მიიჩნევენ უფრო ნაკლებად საზიანოდ, უფრო მიმზიდველად და უკეთესი გემოს მქონედ (Huang/ჰუანგი et al./და სხვ., 2017; Kowitz/კოვიტი et al./და სხვ., 2017; სიმართლის ინიციატივა, 2021). ეს ტენდენცია აისახა ამ კვლევის შედეგებშიც, სადაც ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მოხმარებელთა 33% და არამომხმარებელთა 19.3% მთავარ მოტივატორად სწორედ არომატების მოწონებას ასახელებდა, რაც ხაზს უსვამს არომატების გადამწყვეტ როლს მოხმარების დაწყებასა და გაგრძელებაში.

ამ შედეგების ინტერპრეტაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თეორიული ჩარჩოს - დაგეგმილი ქცევის თეორიის ჭრილში. არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის მიმართ პოზიტიური შეფასებები („ნაკლებად საზიანო“, „მეტად სოციალურად მისაღები“) მიუთითებს იმაზე, რომ ახალგაზრდებში ფორმირდება სუბიექტური დამოკიდებულებები, რომლებიც ელექტრონული სიგარეტის მოხმარებისადმი უფრო კეთილსაიმედო განწყობას აყალიბებს. პარალელურად, კვლევაში გამოვლენილი მაღალი სოციალური მისაღებობის აღქმა ასახავს დეკლარირებულ ნორმებს, რაც კიდევ უფრო ამცირებს აღქმულ ბარიერებს ელექტრონული სიგარეტის მოხმარების ცდისა და დაწყებისთვის. თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით, შეიძლება თქმა, რომ ამ

შემთხვევაში, როცა პროდუქტი ერთდროულად აღიქმება როგორც მიმზიდველი, ნაკლებად საზიანო და სოციალურად მისაღები, იქმნება ის ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც დაგეგმილი ქცევის თეორიის მიხედვით აძლიერებს ამ პროდუქტის მოხმარების განზრახვას და ზრდის ამგვარი ქცევის რეალური განხორციელების ალბათობასაც.

ის, რომ რესპონდენტთა მეოთხედზე მეტი (25.8%) მიუთითებს არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის მომავალში „უფრო მეტი“ ვარაუდით გამოყენებაზე, მის არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით, ეხმიანება სხვა კვლევებით დადგენილ ტენდენციებს - არომატიზატორები არა მხოლოდ ნიღბავს ნიკოტინის მძაფრ გემოს, არამედ პროდუქტს მცირე რისკის მქონედ წარმოაჩენს (სიმართლის ინიციატივა, 2021). ლოგისტიკური რეგრესიის ანალიზმა კიდევ უფრო გამოკვეთა არომატიზებული ელექტრონული სიგარეტისადმი აღქმის რისკები. მონაწილეებს, რომლებიც არომატიზებულ პროდუქტებს „უფრო მეტად მიმჯაჭველად“ აღიქვამდნენ, 2.78-ჯერ მაღალი შანსი ჰქონდათ, ყოფილიყვნენ ელექტრონული სიგარეტის ამჟამინდელი მომხმარებლები. ეს ტენდენცია განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფონზე, რომ ევროპის სხვა ქვეყნების გამოცდილებით, არომატიზატორების შეზღუდვას პირდაპირი კავშირი აქვს მოხმარების მაჩვენებლების შემცირებასთან. მაგალითისთვის, ნიდერლანდებში, არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტების აკრძალვიდან 9 თვეში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ როგორც მოზარდების, ისე ზრდასრულების 39.5%-მა შეამცირა ელექტრონული სიგარეტის მოხმარება, ხოლო 22.4%-მა სრულად დაანება თავი მას (Hellmich et al./ჰელმიჩი და სხვ., 2024).

ამ ფონზე, საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ანალიზი ავლენს ნორმატიულ სიცარიელეს ეროვნულ კანონმდებლობაში. კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამახასიათებელი არომატების გამოყენების შეზღუდვას ან აკრძალვას თამბაქოს (მ/შ ახალ) ნაწარმში. ეს მიდგომა პირდაპირ უპირისპირდება TPD-ისა და 2022/2100 დელეგირებული დირექტივის მოთხოვნებს, ისევე როგორც ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო მითითებებს, რომელთა მთავარი მიზანი არომატიზატორების შეზღუდვით პროდუქტის მიმზიდველობის შემცირებაა (ჯანმოს ჩარჩო კონვენციის მუხ. 9 და 10 განხორციელების სახელმძღვანელო, 2017). გარდა ამისა, კანონმდებლობა არ მოიცავს აკრძალული დანამატების სიას თამბაქოს ნაწარმის ტექნიკური კომპონენტებისთვის (ფილტრი, კაფსულა და ა.შ.), რაც ერთობლიობაში ქმნის რისკს, რომ

ბაზარზე განთავსდება მრავალფეროვანი შემადგენლობის თამბაქოს ნაწარმი, რომლებსაც შეცდომაში შემყვანი, მიმზიდველი და ჯანმრთელობისთვის გაურკვეველი რისკის მქონეა. ამასთან, კანონმდებლობის სიცარიელე ხელს უშლის ევროასოციაციის პროცესში TPD-სთან სრული შესაბამისობის მიღწევას, რადგან ევროასოციაციის ხელშეკრულება საქართველოს ავალდებულებს მისი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს TPD-ის მოთხოვნებთან (ასოციაციის შესახებ შეთანხება, 2014, დანართი XXXI).

5.3. მომხმარებლის პროფილი და პოლიტიკის მიზნობრიობის დეფიციტი

მულტივარიაციულმა რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ გენდერი თამბაქოს მოხმარების მნიშვნელოვანი პრედიქტორია. ქალებს ჰქონდათ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად მაღალი შანსი ყოფილიყვნენ როგორც ტრადიციული (aOR=2.10), ისე ელექტრონული სიგარეტის (aOR=1.81) ამჟამინდელი მომხმარებლები. ეს მიგნება წინააღმდეგობაში მოდის გლობალურ ტენდენციებთან, რომლის მიხედვით თამბაქოს მოხმარების საერთო მაჩვენებელი კვლავ მაღალია მამაკაცებში (ჯანმო, 2024). ქალებში ელექტრონული სიგარეტის მოხმარების შედარებით მაღალი მაჩვენებელი შეიძლება გამომდინარეობდეს ლიტერატურაში ფართოდ აღწერილი ტენდენციიდან, რომ თამბაქოს ახალი ნაწარმის - განსაკუთრებით არომატიზირებული ვერსიების გავრცელებისთვის ქალები თამბაქოს ინდუსტრიის მარკეტინგის ერთ-ერთ მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს (ნიაცანცა და სხვ., 2025). ამ პროდუქტების დიზაინი, არომატები და „გლამურული“ მარკეტინგული სტრატეგიები მიზნად ისახავს სოციალურად მისაღებობის ამაღლებას იმ ჯგუფებში, სადაც ტრადიციული სიგარეტი ნაკლებად მისაღებად და მეტად საზიანოდ აღიქმება (იმსაარდი და სხვ., 2021; სიმართლის ინიციატივა, 2021). შესაბამისად, ქალებში მოხმარების მაღალი შანსი შესაძლოა მიუთითებდეს ამ მიზანმიმართული მარკეტინგის შედეგზე.

ამ შესაძლო კავშირის ფონზე, პოლიტიკის ანალიზიდან იკვეთება, რომ საქართველოს მარეგულირებელი ჩარჩო საკმარისად ვერ პასუხობს თამბაქოს ინდუსტრიის მარკეტინგულ საფრთხეებს. მართალია, კანონმდებლობა ითვალისწინებს რეკლამის, პოპულარიზაციის და მარკეტინგის ყოვლისმომცველ აკრძალვას, მაგრამ ამის პარალელურად, იგი თამბაქოს ახალი ნაწარმისთვის უშვებს რიგ გამონაკლისებს შეფუთვის სტანდარტებიდან და სამედიცინო გაფრთხილებების შეფუთვაზე დატანის

წესიდან (სტანდარტიზებული შეფუთვის არქონა, სამედიცინო გაფრთხილების არარსებობა ან პიქტოგრამის გარეშე არსებობა და სხვა). ამასთან, კანონმდებლობა თამბაქოს ნაწარმად არ მიიჩნევს პროდუქტს, რომელიც არ შეიცავს თამბაქოს ან მის ელემენტებს, მ/შ ნიკოტინს და ამ მიზეზით, უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტები ზემოთ ხსენებული აკრძალვიდანაც კი განთავისუფლებულია. კვლევები აჩვენებს, რომ პროდუქტის დიზაინის თავისუფლება, შეფუთვაზე არომატების ვიზუალური გამოკვეთა და გაფრთხილებების არქონა ქმნის მაღალი მიმზიდველობის სურათს (Simonavičius/სიმოვიჩიუსი et al./და სხვ., 2024; Taylor/ტეილორი et al./და სხვ., 2025; Kim et al., 2020), შესაბამისად, სავარაუდოა, რომ თამბაქოს ინდუსტრია ამ გამონაკლისებს კარგად იყენებს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ქალების და ახალგაზრდების (და ახალგაზრდა ქალების) მოსაზიდად.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ზემოთ აღწერილი ტენდენციის ფონზე, პარადოქსულად გამოიყურება მულტივარიაციული ანალიზის შედეგი, რომლის მიხედვითაც ქალებში არომატიზებული ელექტრონული სიგარეტის მოხმარების შანსი დაბალია (aOR=0.045). აღნიშნული საჭიროებს შემდგომ კვლევას, თუმცა შესაძლოა მიუთითებდეს ან სოციალურ ნორმებზე, სადაც არომატიზებული პროდუქტი აღიქმება როგორც არასერიოზული, ან ამ ჯგუფისთვის გამიზნული მარკეტინგული გზავნილების განსხვავებულ ინტერპრეტაციაზე.

ეს პარადოქსი და ზემოთ აღნიშნული ტენდენცია ხაზს უსვამს, რომ პოლიტიკის დაგეგმვა არ უნდა იყოს გენერალიზებული, არამედ უნდა ეფუძნებოდეს კონკრეტული ჯგუფების ქცევებისა და აღქმების სიღრმისეულ ანალიზს. საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ანალიზმა გამოავლინა, რომ ეროვნული მარეგულირებელი და პოლიტიკის ჩარჩო არ ითვალისწინებს მომხმარებელთა სპეციფიკურ პროფილებს. საქართველოს თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა ჰორიზონტალურია და ერთნაირად ეხება ყველა სემენტს, მიზნობრივი პრევენციული სტრატეგიების გარეშე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ თამბაქოს კონტროლის სტრატეგიულ დოკუმენტებში არ არის გათვალისწინებული სქესის ან ასაკის მიხედვით მიზანმიმართული საინფორმაციო კამპანიები ან მარკეტინგული შეზღუდვები, რაც ხელს უშლის ჩარჩო კონვენცის მე-11 და მე-12 მუხლების ეფექტურ აღსრულებას ეროვნულ დონეზე.

5.4. მარკეტინგის გავლენა და აღსრულების სუსტი მექანიზმები

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპონდენტთა ნახევარზე მეტმა (51.7%) ბოლო 30 დღის განმავლობაში ელექტრონული სიგარეტის რეკლამა შენიშნა ინტერნეტში ან სოციალურ მედიაში. ეს შედეგი ეხმიანება არაერთი კვლევით დადასტურებულ ფაქტს, რომ თამბაქოს ინდუსტრია წარმატებით იყენებს ციფრულ გარემოსა და რეგულირების ხარვეზებს სამიზნე ჯგუფებამდე მისაწვდომად და ახალგაზრდების დამოკიდებულება თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ მნიშვნელოვნად ფორმირდება ციფრული მარკეტინგის გავლენით, (Zhao/ჯაო et al./და სხვ., 2020). წინამდებარე კვლევის შედეგებიდან თვალშისაცემია იმ რესპონდენტთა მაღალი წილიც, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ელექტრონული სიგარეტის რეკლამებში ხაზგასმა კეთდებოდა არომატებზე (58.0%).

რაოდენობრივი კვლევიდან გამოვლენილი ამ ტენდენციის ფონზე, პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ფორმალური, საკანონმდებლო თვალსაზრისით, საქართველო შესაბამისობაშია როგორც ჩარჩო კონვენციის, ასევე TPD მოთხოვნებთან (ითვალისწინებს რეკლამის, პოპულარიზაციის და სპონსორობის ყოვლისმომცველ აკრძალვას, მათ შორის ონლაინ სივრცეში), თუმცა რაოდენობრივი კვლევის შედეგები აჩვენს ვარაუდს, რომ პრაქტიკაში ეს აკრძალვა ნაკლებად აღსრულდება. საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, რომ ციფრული მარკეტინგის ეფექტური კონტროლი და კანონმდებლობის აღსრულება შეუძლებელია ინტეგრირებული მიდგომის გარეშე, რომელიც მოითხოვს არა მხოლოდ მარეგულირებელი უწყებების, არამედ მედია-პლატფორმებისა და სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობას ტექნოლოგიური მონიტორინგის გამოყენებით (ჯანმო, 2024). საქართველოს შემთხვევაში, პოლიტიკის დოკუმენტების და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, ასეთი კოორდინირებული მიდგომის არსებობა ჩანს, თუმცა იგი არაა გაწერილი სტრატეგიულ მიმართულებად პოლიტიკის დოკუმენტებში. ამასთან, გამოვლინდა, რომ უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტები რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვის რეგულირების მიღმა რჩება, რაც შესაძლოა განაპირობებდეს კანონის აღსრულების პრობლემებს და შესაბამისად, ახალგაზრდების მოწყვლადობას თამბაქოს ინდუსტრიის მარკეტინგული სტრატეგიების მიმართ.

კვლევის ზემოაღნიშნული შედეგების კიდევ ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტების საერთოდ დაურეგულირებლობა, რის გამოც მათზე ასვე არ ვრცელდება რეკლამის აკრძალვა. ასევე, რაოდენობრივი კვლევის შედეგების

განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორი უნდა იყოს ისიც, რომ კანონმდებლობა რეკლამისა და პოპულარიზაციის პრევენციულ ზომებს იყენებს ძირითადად მხოლოდ ტრადიციული, სატელევიზიო მაუწყებლობისთვის (ვიდეო რგოლის სახის სამედიცინო გაფრთხილების გამოყენების მოთხოვნა მაუწყებლობაში თამბაქოს ან მისი მოხმარების ჩვენებამდე და მის მერე), ხოლო ინტერნეტ სივრცისთვის არსებობული რეგულირების აღსრულების პრობლემები დაკავშირებულია უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტებისა და მცენარეული მოსაწევი პროდუქტების დაურეგულირებლობასთან. საერთაშორისო გამოცდილება უკვე მოიცავს კონკრეტულ მექანიზმებს ციფრული მარკეტინგის სამართავად. მაგალითად, საფრანგეთში მოქმედებს კანონი რომელიც სოციალური მედიის ინფლუენსერებს უკრძალავს თამბაქოს ნაწარმის ან ნიკოტინის შემცველი პროდუქტების რეკლამირებას („კომერციული გავლენის ჩარჩო კანონი“, 2023). მსგავსი რეგულირება მოქმედებს დიდ ბრიტანეთშიც, სადაც მარეგულირებელი ორგანოები მკაცრად აკონტროლებენ სოციალური მედიის ინფლუენსერებს და უკრძალავენ მათ ისეთი პროდუქტების რეკლამირებას, რომლებიც უკვე აკრძალულია ტრადიციულ მედიაში (Advertising Standards Authority/სარეკლამო სტანდარტების ორგანო, 2021).

5.5. სამართლებრივი განსაზღვრებები და ნორმატიული სიცარიელე

თამბაქოს ინდუსტრიის სწრაფი ტექნოლოგიური ევოლუცია არსებით გამოწვევად იქცა არსებული მარეგულირებელი სისტემებისთვის გლობალურად (ჯანმო, 2021).

წინამდებარე კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოს კანონმდებლობაში თამბაქოს ახალი ნაწარმი, HTPs და ელექტრონული სიგარეტი ჩარჩო კონვენციისა და TPD-სგან გასხვავებულადაა კატეგორიზებული და განმარტებული (ახალი ნაწარმი არ მოიაზრებს HTPs და ელექტრონულ სიგარეტს; ასევე, მხოლოდ ნიკოტინის შემცველი ელექტრონული სიგარეტი მიიჩნევა თამბაქოს ნაწარმად). ამ მიდგომის პრობლემურობა მდგომარეობს არა იმდენად საერთაშორისო ინსტრუმენტებთან ტერმინთა და კატეგორიათა შეუსაბამობის გამო, არამედ უფრო მეტად მისით გამოწვეულ კანონმდებლობის ხარვეზში, რაც თამბაქოს ინდუსტრიას აძლევს საშუალებას თვითნებურად ნაწარმი მოარგონ სუსტ საკანონმდებლო ნორმებს.

საერთაშორისო დოკუმენტები მკაფიოდ ადგენს, რომ თამბაქოს კონტროლის ეროვნულმა კანონმდებლობამ უნდა გამოიყენოს ფართო და მოქნილი ტერმინთა განმარტებები, რათა უზრუნველყოს მარეგულირებელი ჩარჩოს ავტომატური გავრცელება ინდუსტრიის მიერ შექმნილ ახალ და სწრაფად განვითარებად პროდუქტებზე (ჯანმო, 2008). საქართველოს შემთხვევაში, ტერმინების ვიწრო განმარტებამ, განსაკუთრებით ელექტრონული

სიგარეტების შემთხვევაში, შექმნა ასიმეტრია, სადაც ნიკოტინის შემცველი ელექტრონული სიგარეტის მასალა/კარტრიჯი/კაფსულა რეგულირდება, ხოლო უნიკოტინო პროდუქტები პრაქტიკულად რჩება კანონმდებლობის მიღმა. ასეთი ნორმატიული ხარვეზი ინდუსტრიას აძლევს შესაძლებლობას განავითაროს პროდუქტები, რომლებიც ტექნიკურად არ შეესაბამებიან არსებულ კატეგორიებს, რითაც ეფექტურად ნეიტრალიზდება სახელმწიფო კონტროლის მექანიზმები (Economics of Tobacco Monograph/თამბაქოს ეკონომიკის მონოგრაფია, 2019). ეს არ არის მხოლოდ ტერმინოლოგიური ხარვეზი, არამედ პოლიტიკის სისტემური სისუსტე, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს შესაძლებლობას დროულად და პროპორციულად უპასუხოს თამბაქოს ნაწარმის ბაზრის დინამიკას.

წინამდებარე კვლევის შედეგებმა ასევე აჩვენა, რომ განსაკუთრებით პრობლემურია ელექტრონული სიგარეტებისა და HTPs სამართლებრივი სტატუსის შეუთანხმებლობა. კერძოდ, მაშინ, როცა HTPs-ზე ნაწილობრივ ვრცელდება შეფუთვაზე სამედიცინო გაფრთხილებების დატანის წესი (მხოლოდ ტექსტობრივი გაფრთხილება), ელექტრონული სიგარეტი ამ ვალდებულებებისგან სრულად თავისუფლდება (განსაზღვრულია მხოლოდ საინფორმაციო ფურცლის შეფუთვაში მოთავსების ვალდებულება), ხოლო უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტები, როგორც ზემოთ აღინიშნა, საერთოდ არ ექცევა რეგულაციის ფარგლებში. ამასთან, ელექტრონული სიგარეტისთვის დადგენილია ნიკოტინის შემცველობის ზღვრული ოდენობა, მაშინ როცა HTPs-ისთვის ასეთი სტანდარტი საერთოდ არ არსებობს. შედეგად, ახალგაზრდებს შესაძლოა დარჩეთ შთაბეჭდილება, რომ ელექტრონული სიგარეტი ნაკლებად საზიანოა (ამ ტენდენციას მხარს უჭერს კიდევ კვლევის რაოდენობრივი შედეგები (იხ. დისკუსიის 4.2 თავი და შედეგების 3.1.1.3 თავი)), მით უფრო, რომ შეფუთვაზე დატანილი არაა სამედიცინო გაფრთხილება და სახელმწიფო თითქოს აკონტროლებს ამ ნაწარმში ნიკოტინის შემცველობას. თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ რეალურად, ქვეყანაში არ არსებობს ლაბორატორიული შემოწმებისა და ბაზრის მონიტორინგის სისტემა, რომელიც დაადასტურებდა ნიკოტინის ოდენობის შესაბამისობას კანონით დადგენილ ზღვრულ ოდენობებთან. შედეგად, ნიკოტინის დონის კონტროლი საქართველოში რჩება ნორმატიულად განსაზღვრულ, მაგრამ პრაქტიკულად არააღსრულებად ვალდებულებად, რაც ზღუდავს რეგულაციის ეფექტიანობას და ქმნის ილუზიას მოსახლეობისთვის. განსაზღვრების ბუნდოვანება მკაფიოდ იჩინს თავს ასევე თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტების კუთხით. კანონმდებლობა ამ კატეგორიას განსაზღვრავს როგორც

პროდუქტს, რომელიც შეიცავს თამბაქოს, თუმცა არ მიეკუთვნება კანონით უკვე განსაზღვრულ თამბაქოს ნაწარმის კატეგორიებს (სკოტს, მუხ.3.“ა.ზ“). ეს მიდგომა ვერ პასუხობს ბაზრის ახალ რეალობას, რადგან გლობალურ ბაზარზე სულ უფრო იკიდევს ფეხს არათამბაქოს შემცველი ნიკოტინის პროდუქტები, ან სინთეზური ნიკოტინის შემცველი პროდუქტები, რომლებიც მისი არსით თამბაქოს ნაწარმია (National Committee Against Smoking/ეროვნული კომიტეტი თამბაქოს წინააღმდეგ, 2024), თუმცა ზემოაღნიშნული განმარტების პირობებში ისინი სამართლებრივად არ ჩაითვლებიან თამბაქოს ნაწარმად. გარდა ამისა, კანონის ძირითადი დებულებები (მაგ., შეფუთვის სტანდარტები, სამედიცინო გაფრთხილებების ფორმატი და განთავსება) მიზნულია კონკრეტულ პროდუქტის ტიპზე, რის გამოც ახალი ნაწარმი, თუნდაც ბაზარზე გაჩნდეს, ავტომატურად ვერ ექცევა ძირითადი დებულებების ფარგლებში. ეს ქმნის რეგულირების სიცარიელეს, რომლის გამოც სახელმწიფოს უწევს რეაგირება უკვე დამდგარ შემთხვევაზე, ნაცვლად მისი პრევენციისა.

5.6. ბაზრის ზედამხედველობა და აღსრულების მექანიზმები

ბაზრის ზედამხედველობა თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც მოიცავს მთელ ციკლს - დაწყებული თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის შეგროვებიდან, დამთავრებული ამ ინფორმაციის ანალიზითა და კანონთან შეუსაბამობების შემთხვევაში სანქციების შეფარდებით (ჩარჩო კონვენცია, მუხ. 9-10, 21-22; TPD, მუხ. 5, 15). ბაზრის ზედამხედველობის მიზანია სახელმწიფოებს მისცეს შესაძლებლობა დროულად შეაფასონ ბაზარზე არსებული თამბაქოს ნაწარმის რისკები და უზრუნველყონ მათი შესაბამისობა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან (TPD, პრეამბულა). წინამდებარე კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ საქართველოში ეს სისტემა გაუმართავია და თამბაქოს ახალი ნაწარმის ბაზრის ზედამხედველობის განხორციელება სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. უპირველესად, თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმი, რომელიც ეყრდნობა ინფორმაციის ფიზიკური მატარებლის საშუალებით შეგროვებას, რისკის მქონეა. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ეს მიდგომა გაართულებს მონაცემთა მართვას და ანალიზს, რის შედეგადაც სახელმწიფო ორგანოებს უგაუჭირდებათ დროულად უპასუხონ ბაზარზე არსებული ნაწარმის ტოქსიკოლოგიური შემადგენლობის საფრთხეებს. განსხვავებით ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან, სადაც EU-CEG ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მონაცემთა გამჭვირვალობას, ცენტრალიზებულ შენახვასა და საზოგადოებისათვის

ხელმისაწვდომობას, საქართველოში ტექნოლოგიური ჩამორჩენაა, რასაც სავარაუდოდ ზღუდავს ბაზრის ზედამხედველობის შესაძლებლობას.

გარდა ამისა, როგორც შედეგებმა აჩვენა, ქართული მიდგომით, მწარმოებლებმა და იმპორტიორებმა თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსებამდე სამი თვით ადრე უნდა წარადგინონ ამ ნაწარმის შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო უწყებაში, თუმცა პოლიტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ ეს მოთხოვნა პრაქტიკაში აღსრულებადად არ არის ჩამოყალიბებული. კერძოდ, ინფორმაციის წარმოდგენა ნაწარმის ბაზარზე დაშვების წინაპირობად არ განიხილება, ასევე, შეუძლებელია ზუსტად დადგინდეს პროდუქტის ბაზარზე განთავსების თარიღი და შეფასდეს, დაიცვა თუ არა ინდუსტრიამ კანონით დადგენილი ვადა. ბაზარზე განთავსებამდე ინფორმაციის კონკრეტული ვადით ადრე წარმოდგენის მოთხოვნა თანხვედრაშია ევროკავშირის მიდგომასთან, მაგრამ აქ, საქართველოსგან განსხვავებით ამ მოთხოვნის უკან დგას აღსრულების ძლიერი მექანიზმი. კერძოდ, მაგალითად, საფრანგეთში თამბაქო მხოლოდ სპეციალიზებულ მაღაზიებში იყიდება, რომლის სისტემა თავის მხრივ, მკაცრადაა რეგულირებული და საშუალებას იძლევა გაკონტროლდეს მიწოდების მთელი ჯაჭვი, მათ შორის ისიც, თუ როდის ხდება პროდუქტის ბაზარზე განთავსება და ხელმისაწვდომობა მომხმარებლისთვის (Code général des impôts/საფრანგეთის ზოგადი საგადასახადო კოდექსი). განსხვავებული, მაგრამ TPD-ის მიზნებთან შესაბამისი მიდგომა აქვს ბელგიას, სადაც თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე დასტური არის ერთ-ერთი წინაპირობა ამ ნაწარმის ბაზარზე დასაშვებად (Arrêté royal /სამეფო ბრძანებულება, 2016).

ბაზრის ზედამხედველობის ჭრილში მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დამოუკიდებელი ლაბორატორიული შემოწმების მექანიზმის არარსებობაც. საქართველოში პროდუქტის შემადგენლობის გადამოწმება სრულად ეფუძნება ინდუსტრიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტისა და მონაცემთა სანდოობის სერიოზულ რისკს. თანამედროვე ევროპული მიდგომები ემყარება დამოუკიდებელი შეფასებისა და სახელმწიფო ლაბორატორიული კონტროლის პრინციპს, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემთა ობიექტურობასა და საჯარო ნდობას. მაგალითისთვის, ნიდერლანდების სამეფომ, არომატიზატორების აკრძალვის პარალელურად, მნიშვნელოვნად გააძლიერა აღსრულების მექანიზმი. აქ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია ელექტრონული სიგარეტის სითხეების შემცველი ინგრედიენტების „პოზიტიური სია“ და მხოლოდ ის ინგრედიენტებია ბაზარზე დაშვებული, რომლებიც ამ

სიაშია მითითებული (Regeling Tabaks-en rookwaren/თამბაქოს რეგულაცია, 2022), რაც რადიკალურად ამცირებს ბაზარზე ახალი, არაპროგნოზირებადი ქიმიური ნივთიერებების მოხვედრის რისკს. გარდა ამისა, ნიდერლანდების სურსათისა და სამომხმარებლო პროდუქტების უსაფრთხოების სამსახური (NVWA) მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანმრთელობისა და გარემოს ეროვნულ ინსტიტუტთან (RIVM), რომელიც ახორციელებს თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობისა და გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ მონაცემების ანალიზს და ამოწმებს მწარმოებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტეს (Rijksinstituut voor Volksgezondheid en Milieu (RIVM)/ჯანმრთელობისა და გარემოს ეროვნული ინსტიტუტი, ნიდერლანდები).

საფრანგეთშიც ბაზრის ზედამხედველობის ერთ-ერთი საკვანძო მექანიზმია პროდუქტის შემადგენლობისა და ემისიების ლაბორატორიული გადამოწმება. სურსათის, გარემოს და შრომის უსაფრთხოების ეროვნული სააგენტო (ANSES) ახორციელებს თამბაქოსა და ელექტრონული სიგარეტების რეგულარულ ანალიტიკურ შემოწმებებს, რაც საშუალებას აძლევს სახელმწიფოს დამოუკიდებლად შეაფასოს ბაზარზე არსებული პროდუქტების ქიმიური შემადგენლობა და ჯანმრთელობისთვის პოტენციური რისკები (ANSES, 2020a & 2020b). ANSES აგროვებს და ამუშავებს მწარმოებლების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს, ამოწმებს მათ სიზუსტეს და საჭიროების შემთხვევაში ატარებს დამატებით ლაბორატორიულ ტესტირებებს. ასეთი მიდგომა აძლიერებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ რეგულირებას და უზრუნველყოფს სამეცნიერო გამჭვირვალობას სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებისას, მათ შორის ახალი პროდუქტის ბაზარზე დაშვების ან აკრძალვისას.

აღსრულების ეფექტიანობას ამცირებს სანქციების დისბალანსიც. მოქმედი ადმინისტრაციული ჯარიმები (5000 ლარი) შესაძლოა ვერ ქმნიდეს რეალურ შიშს ეფექტს იმ ეკონომიკურ სარგებელთან შედარებით, რასაც ინდუსტრია იღებს კანონის დარღვევით. საერთო ჯამში, აღსრულებისა და მონიტორინგის არსებული სისუსტე საქართველოში ზღუდავს ბაზრის გამჭვირვალობას, ამცირებს სახელმწიფო ზედამხედველობის ეფექტიანობას და აფერხებს ქვეყნის მზადყოფნას ევროკავშირისთან ასოცირების ჩარჩოში არსებული ვალდებულებების სრულად შესასრულებლად თამბაქოს კონტროლის სფეროში.

5.7. საზოგადოებრივი მხარდაჭერა და თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ლეგიტიმაცია

თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის მდგრადობა საბოლოოდ დამოკიდებულია არა მხოლოდ რეგულაციების სიმკაცრეზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად აღიქმება ეს პოლიტიკა სამართლიანად და მისაღებად საზოგადოების თვალში (Raptou et al. / რაპტუ და სხვ., 2012). წინამდებარე კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ რესპოდენტების დაახლოებით ნახევარი (51.2–51.5%) მხარს უჭერს არომატიზატორების რეგულირებას თამბაქოს ნაწარმში, მაშინ როცა მკვეთრი წინააღმდეგობა ფიქსირდება მხოლოდ მცირე ჯგუფში (17–18%). ეს ტენდენცია მიუთითებს, რომ საზოგადოებაში არსებობს საფუძვლიანი თანხმობა რეგულაციის გაძლიერებისთვის. თუმცა მხარდაჭერის მიუხედავად, გამოკითხული ახალგაზრდები მკაცრი აკრძალვების მიმართ ზომიერ სკეპტიციზმს ინარჩუნებს. როგორც მონაცემები აჩვენებს, არომატიზატორების სრულ აკრძალვასთან დაკავშირებით რესპოდენტთა მესამედი ნეიტრალურ პოზიციაზე რჩება (დაახლოებით 34–35%), ხოლო თამბაქოს ნაწარმის ბაზარზე განთავსების სრული აკრძალვისას წინააღმდეგობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მეტია (39–43%). ეს შედეგები აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება განსხვავდება მარეგულირებელი ზომის სიმკაცრის მიხედვით რაც პოლიტიკის დაგეგმვისას საჭიროებს თანმიმდევრულ მიდგომას მიზანმიმართულ საკომუნიკაციო გზავნილებთან ერთად.

საერთაშორისო გამოცდილება ცხადყოფს, რომ თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად იზრდება მაშინ, როდესაც მარეგულირებელი ზომები გამყარებულია აქტიური საინფორმაციო კამპანიებით, რომლის საშუალებით საზოგადოებას ეცნობება ამ ზომების მიზანის და მოსალოდნელი სარგებლის შესახებ (ჯანმო, 2021). თუ მკაცრ რეგულაციებთან ერთად არ მოხდება კომუნიკაცია სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების მხრიდან და სამეცნიერო მტკიცებულებების პოპულარიზაცია, სავარაუდოა, რომ საზოგადოება რეგულაციებს აღიქვამს მხოლოდ როგორც შეზღუდვას და არა ჯანდაცვის მიზნებისთვის მიმართულ ქმედებად, რაც საბოლოოდ შეასუსტებს პოლიტიკის ლეგიტიმაციას და საზოგადოებრივ მხარდაჭერას.

საქართველოს შემთხვევაში, თამბაქოს კონტროლის მიმართ საზოგადოებრივი მხარდაჭერის უკვე არსებული საფუძველი ქმნის შესაძლებლობას, რომ სახელმწიფომ პოლიტიკის გამკაცრება განახორციელოს თანმიმდევრულად და პროგრესულად, განსაკუთრებით TPD-სთან სრული ჰარმონიზაციის მიმართულებით. ამასთან, ჩარჩო

კონვენციის მე-20 მუხლის საფუძველზე, ქვეყნებს ევალებათ განახორციელონ პერიოდული, უწყვეტი, თანმიმდევრული და საერთაშორისო ინსტრუმენტებთან შესაბამისი კვლევები მოსახლეობაში თამბაქოს მოხმარების შესახებ. ასეთი კვლევები მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერებისთვის და პოლიტიკური ცვლილებებისთვის მტკიცებულებების შექმნისთვის. წინამდებარე კვლევის შედეგებმა კი აჩვენა, რომ საქართველოში მსგავსი კვლევები მეტწილად დონორულ დაფინანსებაზეა დამოკიდებული, რის გამოც თანმიმდევრულობისა და უწყვეტობის გარანტია არ არსებობს. საფრანგეთის გამოცდილება აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება სამეცნიერო კვლევებმა შექმნას პოლიტიკური ლეგიტიმაცია. მაგალითად, ერთჯერადი ელექტრონული სიგარეტების აკრძალვის ინიციატივა საფრანგეთში დაეფუძნა სახელმწიფოს მიერ დაკვეთილ კვლევებს და საჯარო კომუნიკაციას რომლითაც ხაზი გაესვა აკრძალვის საჭიროებას გარემოს და ახალგაზრდების დაცვის მიზეზით, რაც თავის მხრივ კვლევების შედეგებით მყარდებოდა (ეროვნული ასამბლეა, 2023). ამგვარი მტკიცებულებებზე დაფუძნებული მიდგომა ქმნის საზოგადოების მაღალი თანხმობის საფუძველს, რაც საქართველოსთვის საინტერესო მაგალითია, განსაკუთრებით თამბაქოს ახალი ნაწარმის რეგულირების შემდგომი გამკაცრებისთვის.

5.8. შეჯამება და რეკომენდაციების პაკეტი

წინამდებარე დისკუსიამ გამოავლინა, რომ საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის მარეგულირებელი ჩარჩო არასაკმარისად პასუხობს ახალგაზრდების აღქმებს ამ ნაწარმის მიმართ. რაოდენობრივი კვლევის მონაცემები, რომლებიც მიუთითებს არომატიზატორების და ელექტრონული სიგარეტისადმი მაღალ მიმზიდველობასა და ქალებში მოხმარების მაღალ ალბათობაზე, მკაფიო კონტრასტშია პოლიტიკის ანალიზით გამოვლენილ ნორმატიულ სიცარიელესთან (არომატების დაურეგულირებლობა, ტერმინთა ვიწრო განმარტებები) და აღსრულების სისუსტეებთან (ბაზრის ზედამხედველობის პრობლემები, კანონმდებლობის ხარვეზები და არაპროპორციული სანქციები). ამ სისტემური სისუსტეების გათვალისწინებით, ეროვნული პოლიტიკა საჭიროებს გაძლიერებას ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, ჯანმრთელობის ჩარჩო კონვენციასთან და ევროკავშირის TPD-სთან სრული ჰარმონიზაციისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით.

ცხრილში 16 მოცემულია წინამდებარე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციების პაკეტი, რომლის მიზანია თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის გაძლიერება ჩარჩო კონვენციის და TPD-ის მოთხოვნების საფუძველზე.

ცხრილი 16. თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის ეროვნული პოლიტიკის რეკომენდაციები		
პოლიტიკის მიმართულება	რეკომენდაცია	პასუხისმგებელი უწყება / განხორციელების დონე
1. თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტება და კატეგორიზაცია	1.1. ეროვნულ კანონმდებლობაში განისაზღვროს ფართო და მოქნილი განმარტებები თამბაქოს ნაწარმისა და ელექტრონული სიგარეტისთვის, რათა ავტომატურად მოხდეს კანონმდებლობის გავრცელება თამბაქოს ყველა ახალ ნაწარმზე (მ.შ. უნიკოტინო და სინთეზური ნიკოტინის, ასევე, ნიკოტინის ანალოგის შემცველ პროდუქტებზე);	საქართველოს პარლამენტი (საკანონმდებლო ცვლილებები)
	1.2. აღმოიფხვრას არსებული ასიმეტრია თამბაქოს ნაწარმს, მ/შ HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტებს შორის (მაგ., ნიკოტინის ან/და გამოფრქვეული ნივთიერებების ზღვრული ოდენობის დადგენა HTPs-ისთვის, მსგავსად ელექტრონული და ტრადიციული სიგარეტისა).	საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა (საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)
2. თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის კონტროლი და	2.1. დაინერგოს დამახასიათებელი არომატების აკრძალვა თამბაქოს ახალ ნაწარმში EU TPD 2022/2100 დელეგირებული	საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა

<p>მათში არონმატიზატორების გამოყენების რეგულირება</p>	<p>დირექტივის შესაბამისად, რათა შემცირდეს მათი მიმზიდველობა ახალგაზრდებში.</p>	<p>(საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)</p>
	<p>2.2. შემუშავდეს აკრძალული დანამატების სია ელექტრონული სიგარეტის სითხეებისთვის რათა გამოირიცხოს საზიანო ან მიმზიდველი ინგრედიენტების გამოყენება.</p>	<p>საქართველოს მთავრობა / ჯანდაცვის სამინისტრო (ნორმატიული აქტი)</p>
<p>3. შეფუთვის, მარკირებისა და სამედიცინო გაფრთხილებების დატანის მოთხოვნები</p>	<p>3.1. თამბაქოს ახალ ნაწარმზე გავრცელდეს სტანდარტიზებული შეფუთვის წესი</p>	<p>საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა (საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)</p>
	<p>3.2. თამბაქოს ახალ ნაწარმზე (და დამატებით, უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტის მასალაზე/კარტრიჯზე/კაფსულაზე), გამონაკლისის გარეშე გავრცელდეს სავალდებულო, ტექსტობრივი და პიქტოგრამის შემცველი სამედიცინო გაფრთხილებების დატანის წესი ჩარჩო კონვენციის და TPD-ის მოთხოვნების დაცვით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა (საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)</p>
<p>4. მარკეტინგის, რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა;</p>	<p>4.1. აღმოფხვრილი იქნას საკანონმდებლო ხარვეზი, რომელიც უნიკოტინო ელექტრონულ სიგარეტებს ათავისუფლებს რეკლამისა და პოპულარიზაციის</p>	<p>საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა</p>

	<p>აკრძალვისგან, რათა დაცულ იქნას რეკლამისა და პოპულარიზაციის ყოვლისმომცველი აკრძალვის პრინციპი.</p>	<p>(საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)</p>
	<p>4.2. დაინერგოს სპეციფიკური მექანიზმები ციფრული მარკეტინგის გასაკონტროლებლად (მ.შ. სოციალური მედია და ინფლუენსერები) ევროპის ქვეყნების (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) გამოცდილების გათვალისწინებით.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი (საკანონმდებლო ცვლილებები)</p>
<p>5. კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები</p>	<p>5.1. დაინერგოს EU-CEG-ის მსგავსი ელექტრონული სისტემა თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის ცენტრალიზებული შეგროვებისა და გამჟღავნებისთვის.</p>	<p>საქართველოს მთავრობა / ჯანდაცვის სამინისტრო (ტექნოლოგიური რესურსის შექმნა)</p>
	<p>5.2. დაინერგოს თამბაქოს ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი ლაბორატორიული ტესტირების მექანიზმი თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შემოწმების და გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვისთვის (შესაძლებელია თანამშრომლობის დამყარება სხვა ქვეყნის ლაბორატორიასთან ან რეგიონალური ლაბორატორიის დაფუძნება რესურსების მობილიზების მიზნით)</p>	<p>საქართველოს მთავრობა / ჯანდაცვის სამინისტრო</p>
	<p>5.3. შემოღებული იქნეს თამბაქოს სპეციალიზებული მაღაზიები (საცალო ვაჭრობის ლიცენზირება) მიწოდების ჯაჭვის უკეთესი კონტროლისა და ხელმისაწვდომობის შეზღუდვისთვის.</p>	<p>საქართველოს პარლამენტი და საქართველოს მთავრობა</p>

		(საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილებები)
	5.4. გამკაცრდეს ადმინისტრაციული ჯარიმები კანონის დარღვევისთვის (მაგალითად თამბაქოს ინდუსტრიის მოგების მაჩვენებლის გათვალისწინებით), რათა შეიქმნას რეალური შემაკავებელი ეფექტი.	საქართველოს პარლამენტი (საკანონმდებლო ცვლილება)
6. ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება	6.1. უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ბიუჯეტიდან თამბაქოს მოხმარებისა და აღქმების შესახებ კვლევების პერიოდული, უწყვეტი და თანმიმდევრული დაფინანსება	საქართველოს მთავრობა / ფინანსთა სამინისტრო (საბიუჯეტო პრიორიტეტი)
	6.2. შემუშავდეს და განხორციელდეს გენდერული და ასაკობრივი ნიშნით მიზანმიმართული საინფორმაციო-საკომუნიკაციო და საგანმანათლებლო კამპანიები, რომლებიც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო მტკიცებულებებზე, რათა გაიზარდოს პოლიტიკის ლეგიტიმაცია და საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს სწორი აღქმები.	საქართველოს მთავრობა / ჯანდაცვის სამინისტრო
შენიშვნა: ცხრილში ნახსენები ტერმინი „თამბაქოს ახალი ნაწარმი“ მოიაზრებს გასახურებელ თამბაქოს (HTPs) და ელექტრონულ სიგარეტს.		

დასკვნა

ძირითადი დასკვნები

წინამდებარე დისერტაციამ ერთიანი, ანალიტიკური ჩარჩოს ფარგლებში შეისწავლა ორი ურთიერთდაკავშირებული საკითხი: 1. როგორ აღიქვამენ 18–25 წლის ახალგაზრდები არომატიზირებულ და არარომატიზებულ თამბაქოს ახალ ნაწარმს საქართველოში; და 2. რამდენად შეესაბამება საქართველოში მოქმედი პოლიტიკის ჩარჩო ჯანმრთელობის კონვენციისა და ევროკავშირის TPD-ის მოთხოვნებს, იმ მიგნებების გათვალისწინებით, რაც ზემოაღნიშნულმა რაოდენობრივმა კვლევამ გამოავლინა.

კვლევის შედეგება აჩვენა, რომ არომატიზატორები გავლენას ახდენს ახალგაზრდების დამოკიდებულებაზე თამბაქოს ახალი ნაწარმის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა უმრავლესობა არომატიზირებულ ნაწარმს არარომატიზირებულ ვერსიებთან შედარებით თანაბრად საზიანოდ, მიმჯაჭველად და სოციალურად მისაღებად აღიქვამს, ელექტრონული სიგარეტის შემთხვევაში არომატიზატორები მნიშვნელოვან როლს თამაშობს როგორც ამ პროდუქტისგან გამოწვეული ზიანის აღქმაში, ასევე მის სოციალურ მისაღებობაში. ხაზგასასმელია კვლევის შედეგები, რომლის მიხედვით ეს აღქმა გადამწყვეტი ფაქტორია მოხმარების დაწყების ან გაგრძელების წახალისებისთვის, რაც ეხმიანება თეორიული ჩარჩოს - დაგეგმილი ქცევის თეორიას. არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის მიმართ პოზიტიური შეფასებები („ნაკლებად საზიანო“, „მეტად სოციალურად მისაღები“) აყალიბებს სუბიექტურ დამოკიდებულებებსა და აღქმულ სოციალურ ნორმებს რომლებიც მონაწილეობს ქცევითი განზრახვის ჩამოყალიბებაში. შედეგად, იქმნება ფსიქოლოგიური გარემო, რომელიც ამლიერებს პროდუქტის მოხმარების განზრახვას და ზრდის ამგვარი ქცევის რეალური განხორციელების ალბათობასაც. ეს მიგნება განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ფონზე, რომ საქართველოს მიერ მიღებული „ახალი თაობის“ კანონმდებლობის დანერგვიდან შვიდი წლის შემდეგ, ქვეყანაში თამბაქოს მოხმარების მაღალი მაჩვენებელი კვლავ რჩება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად.

თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, საქართველო ჯერ კიდევ სრულად ვერ პასუხობს თამბაქოს ახალი ნაწარმთან დაკავშირებულ გამოწვევებს. საქართველოს საკანონმდებლო და ნორმატიული ჩარჩო არ არეგულირებს თამბაქოს (მ/შ ახალ) ნაწარმში არომატიზატორების ან/და დანამატების შემცველობას, ასევე,

ნაწილობრივ, და პროდუქტის მიხედვით ცალკეული გამონაკლისებით, არეგულირებს თამბაქოს ახალი ნაწარმის შეფუთვის და მასზე სამედიცინო გაფრთხილებების დატანის საკითხებს. რაოდენობრივი კვლევისა და პოლიტიკის ანალიზის შედეგების სინთეზმა გააჩინა საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ხარვეზები არსებობს თამბაქოს (მ/შ ახალი) ნაწარმის მარკეტინგის ყოვლისმომცველი აკრძალვის აღსრულების მექანიზმში. აღსრულების მექანიზმის სისუსტე გამოკვეთა თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღების, კონტროლის და დამუშავების კუთხითაც, რაც საბოლოო ჯამში მნიშვნელოვნად აფერხებს ჩარჩო კონვენციით დადგენილ, ბაზრის ზედამხედველობის და მონიტორინგის ვალდებულებას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის.

ძირითადი რეკომენდაციები

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის კუთხით პრიორიტეტულია:

1. არომატიზატორების და დანამატების რეგულირება;
2. სტანდარტიზებული შეფუთვის და სამედიცინო გაფრთხილებების დანერგვა;
3. მარკეტინგის ყოვლისმომცველი აკრძალვის კონტროლის მექანიზმის გაძლიერება;
4. მიზნობრივი, თანმიმდევრული და უწყვეტი საგანმანათლებლო და პრევენციული პროგრამების, და კვლევების დანერგვა;
5. ბაზრის ზედამხედველობის და ნაწარმის ლაბორატორიული შემოწმების მექანიზმის დანერგვა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნებისთვის.

კვლევის შეზღუდვები და სამომავლო პერსპექტივები

დისერტაციაში წარმოდგენილ შედეგებს გააჩნია გარკვეული მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რომელთა გათვალისწინება მნიშვნელოვანია როგორც დასკვნების ინტერპრეტაციისთვის, ასევე სამომავლო კვლევების დაგეგმვისთვის: კვლევის ჯვარედინ-სექციური დიზაინი არ იძლევა მიზეზობრივი კავშირების დადგენის საშუალებას და ონლაინ შერჩევის გამო ნაწილობრივ შეზღუდულია კვლევის შედეგების სრულ პოპულაციაზე განზოგადების შესაძლებლობა. ამასთან, პოლიტიკის ანალიზის ნაწილი საჭიროებს დამატებითი ინსტრუმენტის ჩართვას - ჩაღრმავებულ ინტერვიუებს სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, რათა კიდევ უფრო ღრმად შეფასდეს პოლიტიკის განხორციელების და აღსრულების პრაქტიკული მექანიზმები.

ამ ფონზე, სამომავლო კვლევებისთვის პრიორიტეტული მიმართულებებია:

გრძელვადიანი დაკვირვება თამბაქოს ახალი ნაწარმის შესახებ ახალგაზრდების აღქმებსა

და თამბაქოს ნაწარმის მოხმარებაზე; თამბაქოს ინდუსტრიის მარკეტინგული სტრატეგიების სისტემური კვლევა; თვისებრივი კვლევები პოლიტიკის შემქნელების და მის განხორციელებაში ჩართული პირების მონაწილეობით.

პრაქტიკული შედეგები

კვლევის მიგნებების შეჯამება ერთ მკაფიო დასკვნამდე მიდის: თუ საქართველო დაუყოვნებლივ არ მიიღებს ზომებს არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის გაძლიერებისთვის, მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდებში თამბაქოს მოხმარების ახალი ტალღა ქვეყნისთვის რეალურ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მნიშვნელოვან რისკად გადაიქცევა. ახალგაზრდების აღქმებთან დაკავშირებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ტენდენციებისა და წინამდებარე კვლევის შედეგად გამოვლენილი შედეგების გათვალისწინებით, სახელმწიფოს უმოქმედობის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც გავლენას მოახდენს მომავალ თაობებზე, მოიცავს:

1. თამბაქოს მოხმარების ასაკის დაწევას და მისი მოხმარების ნორმალიზებას ახალგაზრდებში;
2. თამბაქოზე დამოკიდებულების მატებას ახალგაზრდებში;
3. ორმაგი მოხმარების (ტრადიციული სიგარეტი + ახალი ნაწარმი) ზრდას;
4. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ტვირთის მნიშვნელოვან ზრდას საშუალოვადიან პერსპექტივაში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს მტკიცებულებას იმისა, რომ საქართველოში არომატიზირებული თამბაქოს ახალი ნაწარმი აღარ არის მხოლოდ ინდივიდუალური არჩევანის საკითხი. ეს არის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გადაუდებელი გამოწვევა, რომელიც საჭიროებს მრავალსექტორულ, სტრუქტურირებულ და მიზანმიმართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ რეაგირებას.

დანართები

დანართი 1. ეთიკის საბჭოს თანხმობა


დანართი 2. ინფორმირებული თანხმობის ფორმა

დანართი 3. კითხვარი

დანართი 4. ბივარიაციული ანალიზის შედეგები (ცხრილი 10 და 11)

დანართი 5. თამბაქოს ახალი ნაწარმის პოლიტიკის ანალიზის შედეგები (ცხრილი 15)

დანართი 1: ეთიკის საბჭოს თანხმობა



ქ. თბილისი

№ 11-7188
"03" 04 2024 წ.



საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, ზიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭო

თამარ აბულაძეს

კვლევის სათაური: „არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენა 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე საქართველოში“

ეთიკის კომიტეტის სახელით, გაცნობებთ რომ თქვენს მიერ გამოსაყენებელი საკვლევი ინსტრუმენტი არ ეწინააღმდეგება კვლევის ეთიკურ პრინციპებს და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან წინაპირობებს, როგორცაა პიროვნების პატივისცემა და მისი უფლებების დაცვა და სოციალური სამართლიანობა, რის გამოც ეთიკის საბჭო მხარს უჭერს წარმოდგენილი კვლევის განხორციელებას.

დასკვნა ძალაშია ხელმოწერის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. თუ თქვენს კვლევაში რაიმე ცვლილებას შეიტანეთ, შესწორებისთვის უნდა წარუდგინოთ ცვლილებები ზიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭოს.

პროფესორი ოთარ თოიძე, ზიოსამედიცინო კვლევების ეთიკურ საკითხთა საბჭოს თავმჯდომარე, ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლა, საქართველოს უნივერსიტეტი

კვლევის კოდი: UGREC-07-24

დანართი 2: ინფორმირებული თანხმობის ფორმა

ინფორმირებული თანხმობის ფორმა

მოგესალმებით! მადლობას გიხდით, რომ დაინტერესდით ჩვენს კვლევაში მონაწილეობით.

კვლევის სახელია „არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების გავლენა 18-25 წლის ახალგაზრდების აღქმაზე საქართველოში“

მთავარი მკვლევარი: თამარ აბულაძე

კვლევის კოდი: UGREG-07-24

IRB #: N11-7188 თარიღი: 03.04.2024

ამ კვლევის მიზანია გამოიკვლიოს არომატიზირებული თამბაქოს ახალი პროდუქტების (როგორცაა ელექტრონული სიგარეტი და გასახურებელი თამბაქო) გავლენა 18-25 წლის ასაკობრივი ჯგუფის აღქმაზე, მათ რწმენებსა და სოციალურ ნორმებზე საქართველოში.

თქვენი მონაწილეობა კვლევაში გულისხმობს ონლაინ კითხვარის შევსებას. ამ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-25 წლის ადამიანებს, რომლებიც აკმაყოფილებენ კვლევაში მონაწილეობის კრიტერიუმებს.

კითხვარი მოიცავს კითხვებს თამბაქოს მოხმარების სტატუსის, ასევე, თქვენი შეხედულებების და მოსაზრებების შესახებ თამბაქოს ახალი პროდუქტების მიმართ. მის შევსებას დაახლოებით 10 წუთი დასჭირდება.

თქვენ შეგიძლიათ უარი თქვათ რომელიმე კითხვაზე პასუხის გაცემაზე, შეისვენოთ კითხვარის შევსებისას ან/და გამოეთიშოთ კვლევას ნებისმიერ დროს.

ჩვენ ვურჩევთ კვლევის მონაწილეებს, კითხვარის შევსებისას იყვნენ მათთვის კომფორტულ გარემოში კითხვარში მოცემული ცალკეული კითხვის მგრძნობიარე ხასიათის გათვალისწინებით.

ამ კვლევაში მონაწილეობა სრულიად ნებაყოფლობითია. შეგიძლიათ არ მიიღოთ მონაწილეობა, ან შეწყვიტოთ კითხვარის შევსება ნებისმიერ დროს.

რატომ უნდა მიიღოთ კვლევაში მონაწილეობა? თქვენი მონაწილეობა კვლევაში დაგვეხმარება გავიგოთ, თუ როგორ აღიქვამენ და იყენებენ ახალგაზრდები თამბაქოს სხვადასხვა ნაწარმს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ გპირდებით რაიმე მატერიალურ სარგებელს ამ კვლევაში მონაწილეობის სანაცვლოდ, კვლევის შედეგები, რომელშიც თქვენ მიიღებთ მონაწილეობას, დაეხმარება მეცნიერებსა და საზოგადოებას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების მხრივ.

რის გამო შეიძლება არ გსურდეთ კვლევაში მონაწილეობა? თქვენ შესაძლოა ყოყმანობდეთ კვლევაში მონაწილეობაზე კონფიდენციალურობის დარღვევის რისკის გამო, თუმცა გარწმუნებთ, რომ ეს რისკი მინიმალურია. ჩვენ გპირდებით, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია იქნება დაცული. თქვენი, როგორც გამოკითხვაში მონაწილის ვინაობა ან რაიმე მაიდენტიფიცირებელი მონაცემი არ იქნება გამჟღავნებული მთავარი მკვლევარის ან კვლევის ჯგუფის რომელიმე წევრის მიერ. თუ ამ კვლევის შედეგები

მოხსენიებული იქნება ჟურნალებში ან სამეცნიერო შეხვედრებზე, ადამიანები, რომლებიც მონაწილეობდნენ ამ კვლევაში არ იქნებიან იდენტიფიცირებულნი. ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას, დავიცვათ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა. გარდა ამისა, თქვენ შეიძლება არ გსურდეთ კვლევაში მონაწილეობა, რადგან ხართ ემოციური ან ფსიქოლოგიურად განიცდით თამბაქოს მოხმარებასთან და მის აღქმასთან დაკავშირებულ კითხვებს.

თუ თქვენ გაქვთ რაიმე შეკითხვა ან გჭირდებათ დამატებითი განმარტებები კვლევის შესახებ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ მთავარ მკვლევარს, თამარ აბულაძეს, მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე: tamari.abuladze@ug.edu.ge.

თუ თანახმა ხართ კვლევაში მონაწილეობაზე გთხოვთ მონიშნოთ „თანახმა ვარ“

- **თანახმა ვარ**

თანხმობის შემთხვევაში, გთხოვთ გააგრძელოთ პროცესი, რათა შეძლოთ კვლევაში მონაწილეობა.

გთხოვთ, შეინახოთ ამ დოკუმენტის ასლი, თუ გსურთ მისი ხელახლა წაკითხვა.

დანართი 3: კითხვარი

დასაშვებობის შემოწმება:

მადლობას გიხდით ჩვენს კვლევაში მონაწილეობისთვის. თქვენი შეხედულებები მნიშვნელოვანია ჩვენთვის, რომ გამოვიკვლიოთ თამბაქოსთან დაკავშირებული აღქმები, რწმენები, და სოციალური ნორმები საქართველოში. გთხოვთ, დაუთმოთ ერთი წუთით პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე, რათა გავიგოთ, აკმაყოფილებთ თუ არა კვლევაში მონაწილეობისთვის დადგენილ წინაპირობებს.

1. საქართველოში ცხოვრობთ?
 - არა
 - დიახ
2. რამდენი წლის ხართ?
 - ჯერ არ ვარ 18 წლის
 - 18-25 წლის
 - 25 წელზე მეტის

[კვლევაში მონაწილეობისთვის შეუსაბამოა, თუ ცხოვრობს საქართველოს გარეთ, ან არის 18 წლამდე პირი, ან 25 წელზე მეტი წლისა.]

სამწუხაროდ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ კვლევაში მონაწილეობის წინაპირობებს. მადლობას გიხდით ინტერესისთვის!

[თუ რესპოდენტი ცხოვრობს საქართველოში და არის 18-25 წლის ასაკის, იგი აგრძელებს კითხვარის შევსებას]

**ყურადღება: ეს გამოკითხვა მოიცავს კითხვებს თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტის შესახებ, ამიტომ, პირველ რიგში, ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ თქვენთვის ამ პროდუქტების სახელები ცნობილი და გასაგებია.*


გთხოვთ ყურადღებით წაიკითხოთ ქვემოთ მოცემული გამარტებები თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტის შესახებ და იხილოთ შესაბამისი ფოტოები თვალსაჩინოებისთვის.

1. ჩვეულებრივი, ტრადიციული სიგარეტები - გულისხმობს გრავნილს, ან მილისებრი აგებულების კონსტრუქციას, რომელიც შეიცავს თამბაქოს ან მის ელემენტებს და ჩვეულებრივ, გახვეულია ქაღალდში. სიგარეტი შეიძლება იყოს ქარხნულად დამზადებული ან ხელით გახვეული.
2. ელექტრონული სიგარეტი (ზოგჯერ მოხსენიებული როგორც ელ.სიგარეტები ან ვეიპები) - ელემენტზე მომუშავე ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც ხდება სითხის (როგორც წესი, ნიკოტინის შემცველი) გახურება და აეროზოლის წარმოქმნა, რომელსაც შეისუნთქავს მოხმარებელი. ზოგიერთი ნიკოტინის შემცველი სითხე შეიცავს არომატიზატორებს. გავრცელებული ბრენდებია კალბურნი/Caliburn,

ეგეინ/Again, ჯუულ/JUUL, ვაპორესო/Vaporesso, ნოვო/Novo და სმოკი/Smok.



3. გასახურებელი თამბაქო - ელემენტზე მომუშავე ხელსაწყო, რომლის მეშვეობითაც ხდება ღერების (სპეციალურად დამზადებული სიგარეტის), კაფსულების, ან თამბაქოს დაფქული ფოთლების გახურება და აეროზოლის წარმოქმნა თამბაქოს გახურების, ან მოწყობილობის ჩართვისას. ზოგიერთი გასახურებელი თამბაქო შეიცავს არომატიზატორებს. გავრცელებული ბრენდებია აიქოსი/IQOS, გლო/GLO, პლუმი/PLOOM



3. სანამ ამ კითხვარის შევსებას დაიწყებდით, გსმენიათ თუ არა ოდესმე

- არა
- დიახ

ა) ელ.სიგარეტების შესახებ?

ბ) გასახურებელი თამბაქოს (მაგ.: IQOS, GLO) შესახებ?

4. ოდესმე გიცდიათ გამოგეყენებინათ:

- არა
- დიახ

ა) ტრადიციული სიგარეტი

ბ) ელ.სიგარეტი

გ) გასახურებელი თამბაქო (მაგ.: IQOS, GLO)

[პროგრამირება: თუ პასუხია „დიახ“ კითხვა #4-ზე (ოდესმე გამოყენება)]

5. ბოლო 30 დღის განმავლობაში, რამდენი დღე იყენებდით

- [0-30]

ა) ტრადიციულ სიგარეტს

ბ) ელ.სიგარეტს

გ) გასახურებელ თამბაქოს (მაგ.: IQOS, GLO)

კითხვარი:

[კვლევაში მონაწილეობა დასაშვებია, თუ ცხოვრობს საქართველოში, არის 18-25 წლის და თამბაქოს მოხმარების სამიზნე ჯგუფში ჯერ არ შეგროვებულა საკმარისი ოდენობის

რესპოდენტი (კვლევაში მონაწილეობა უნდა მიიღოს 400-მა რესპოდენტმა, მათგან დაახლოებით 200 უნდა იყოს თამბაქოს რომელიმე პროდუქტის მოხმარებელი, ხოლო დაახლოებით 200 არ უნდა მოიხმარდეს თამბაქოს რომელიმე პროდუქტს.)

თქვენ აკმაყოფილებთ კვლევაში მონაწილეობის წინაპირობებს და შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ ჩვენს ონლაინ გამოკითხვაში. კითხვარის შევსება დაახლოებით 10 წუთს მოითხოვს.

1. დემოგრაფიული მონაცემები:

პირველ რიგში, ჩვენ გვინდა დაგისვათ რამდენიმე კითხვა თქვენს შესახებ

მიუთითეთ თქვენი სქესი დაბადების მომენტისთვის

- მამრობითი
- მდედრობითი

მიუთითეთ განათლების უმაღლესი დონე, რომელსაც ფლობთ

- არასრული საშუალო განათლება
- საშუალო განათლება (12 კლასი)
- კოლეჯის კურსდამთავრებული (არ მოიაზრებს 4 წლიან ბაკალავრიატს)
- ბაკალავრის ხარისხი
- მაგისტრის ან დოქტორის ხარისხი
- სხვა; გთხოვთ დააზუსტოთ:
- მირჩევნია არ ვუპასუხო

ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს თქვენს ძირითად სამუშაო სტატუსს ბოლო 12 თვის განმავლობაში?

- საჯარო მოხელე/სახელმწიფო მოსამსახურე
- კერძო/არასამთავრობო სექტორში დასაქმებული
- თვითდასაქმებული
- სტუდენტი
- დიასახლისი
- პენსიონერი
- უმუშევარი - შრომისუნარიანი
- უმუშევარი - შრომისუნარო
- სხვა; გთხოვთ დააზუსტოთ:
- მირჩევნია არ ვუპასუხო

რომელი აღწერს საუკეთესოდ თქვენი ურთიერთობის სტატუსს?

- მარტოხელა/არასდროს ვყოფილვარ ქორწინებაში
- დაქორწინებული
- პარტნიორთან მცხოვრები
- დაშორებული
- განქორწინებული, ან დაქვრივებული
- მირჩევნია არ ვუპასუხო

დაახლოებით რამდენია თქვენი შემოსავალი წლიურად?

- 15 000 ლარზე ნაკლები
- 15 000 – 30 000 ლარი
- 30 001 – 45 000 ლარი
- 45 000 ლარზე მეტი

2. ინფორმაციის მიღება/მარკეტინგი:

ახლა გვსურს გკითხოთ მეტი, იმის შესახებ, თუ როგორ გაიგეთ თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტის შესახებ.

ბოლო 30 დღის განმავლობაში, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ადგილას შეგიძინებდათ ტრადიციული სიგარეტის რეკლამა ან ნიშანი, რომელიც პოპულარიზაციას უწყევდა მას? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- მაღაზიაში ან სავაჭრო ცენტრში
- ტელევიზიაში, კინოში, რადიოში
- ბილბორდებზე, პლაკატებზე
- გაზეთებში ან ჟურნალებში
- ინტერნეტში, სოციალურ მედიაში
- პირდაპირ გზავნილში ან მეილში
- სხვაგან; გთხოვთ დააკონკრეტოთ: --
- [ამოთვლილთაგან არც ერთი

ბოლო 30 დღის განმავლობაში, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ადგილას შეგიძინებდათ ელექტრონული სიგარეტის რეკლამა, ან ნიშანი, რომელიც პოპულარიზაციას უწყევდა მას? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- მაღაზიაში ან სავაჭრო ცენტრში
- ტელევიზიაში, კინოში, რადიოში
- ბილბორდებზე, პლაკატებზე
- გაზეთებში ან ჟურნალებში
- ინტერნეტში, სოციალურ მედიაში
- პირდაპირ გზავნილში ან მეილში
- სხვაგან; გთხოვთ დააკონკრეტოთ: --
- [ამოთვლილთაგან არც ერთი

ბოლო 30 დღის განმავლობაში, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ ადგილას შეგიძინებდათ გასახურებელი თამბაქოს რეკლამა, ან ნიშანი, რომელიც პოპულარიზაციას უწყევდა მას? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- მაღაზიაში ან სავაჭრო ცენტრში
- ტელევიზიაში, კინოში, რადიოში
- ბილბორდებზე, პლაკატებზე
- გაზეთებში ან ჟურნალებში
- ინტერნეტში, სოციალურ მედიაში
- პირდაპირ გზავნილში ან მეილში
- სხვაგან; გთხოვთ დააკონკრეტოთ: --
- [ამოთვლილთაგან არც ერთი

[პროგრამირება: თუ შეუმჩნევია სადმე ტრადიციული სიგარეტის პოპულარიზაცია] გასული 30 დღის განმავლობაში თქვენ მიერ ნანახი ტრადიციული სიგარეტის რეკლამა ან ნიშანი ხაზს უსვამდა არომატიზირებულ სიგარეტის პროდუქტებს?

- არა
- დიახ

[პროგრამირება: თუ შეუმჩნევია სადმე ელ.სიგარეტის პოპულარიზაცია] გასული 30 დღის განმავლობაში თქვენ მიერ ნანახი ელექტრონული იგარეტის რეკლამა, ან ნიშანი ხაზს უსვამდა არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტის პროდუქტებს?

- არა
- დიახ

[პროგრამირება: თუ შეუმჩნევია სადმე ელ.სიგარეტის პოპულარიზაცია] გასული 30 დღის განმავლობაში თქვენ მიერ ნანახი გასახურებელი თამბაქოს რეკლამა, ან ნიშანი ხაზს უსვამდა არომატიზირებული გასახურებელი თამბაქოს პროდუქტებს?

- არა
- დიახ

3. ცოდნა და აღქმა:

კითხვარის ამ ნაწილში მოცემულია კითხვები თქვენი აღქმის შესახებ სხვადასხვა თამბაქოს პროდუქტის შესახებ.

იმის მიხედვით, რაც იცით ან გჯერათ, როგორ ფიქრობთ, იწვევს თუ არა ტრადიციული სიგარეტის მოწევა/ შემდეგს:

- არა
- დიახ
- არ ვიცი
- მირჩევნია არ ვუპასუხო

ინსულტი (ტვინში სისხლის შედედება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს დამბლა)?

ქულის შეტევა?

ფილტვის კიბო?

შაქრიანი დიაბეტი?

ემფიზემა (ფილტვების დაზიანება)?

როგორ ფიქრობთ, რამდენად საზიანოა თქვენი ჯანმრთელობისთვის შემდეგი პროდუქტები?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

როგორ ფიქრობთ, რამდენად საზიანოა შემდეგი პროდუქტები მათთვის, ვინც არის ამ პროდუქტის მოხმარების ზეგავლენის ქვეშ (მაგ., არის კვამლის/ ორთქლის გარემოში)?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

როგორ ფიქრობთ, რამდენად იწვევს მიჯაჭვულობას შემდეგი პროდუქტები?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

როგორ ფიქრობთ, რამდენად მიმზიდველია შემდეგი პროდუქტები?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3

- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

როგორ ფიქრობთ, სოციალურად რამდენად მისაღებია შემდეგი პროდუქტები?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

რამდენი თქვენი უახლოესი მეგობარი, ნათესავი და თანამშრომელი იყენებს შემდეგ პროდუქტებს?

- 1 = არც ერთი
- 2 = თითქმის არც ერთი
- 3 = ნახევარზე ცოტა
- 4 = დაახლოებით ნახევარი
- 5 = ნახევარზე მეტი
- 6 = თითქმის ყველა
- 7 = ყველა

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ. სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

4. თამბაქოს პროდუქტების გამოყენება:

კითხვარის ეს ნაწილი მოიცავს დამატებით კითხვებს თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტის გამოყენების, ან გამოყენების ინტერესის შესახებ.

[პროგრამირება: თუ უპასუხა „დიახ“ ტრადიციული სიგარეტის ოდესმე მოხმარების კითხვაზე #4ა]

მოიხმარიათ თუ არა მინიმუმ 100 ტრადიციული სიგარეტი თქვენს ცხოვრებაში?

- არა
- დიახ

[პროგრამირება: თუ უპასუხა „დიახ“ ტრადიციული სიგარეტის ოდესმე მოხმარების კითხვაზე #4ა]

ტრადიციული სიგარეტი, რომელიც პირველად მოიხმარეთ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არმატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არმატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[პროგრამირება: თუ უპასუხა „დიახ“ ელ.სიგარეტის ოდესმე მოხმარების კითხვაზე, #4ბ]

ელექტრონული სიგარეტი, რომელიც პირველად მოიხმარეთ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არმატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არმატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[პროგრამირება: თუ უპასუხა „დიახ“ გასახურებელი თამბაქოს ოდესმე მოხმარების კითხვაზე, #4გ]

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტი, რომელიც პირველად მოიხმარეთ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არმატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არმატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[პროგრამირება: თუ უპასუხა 1-30 ტრადიციული სიგარეტის ბოლო 30 დღიანი გამოყენების კითხვაზე #5ა]

ტრადიციული სიგარეტები, რომლებსაც იყენებდით ბოლო 30 დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არმატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არმატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[პროგრამირება: თუ უპასუხა 1-30 ელ.სიგარეტის ბოლო 30 დღიანი გამოყენების კითხვაზე #5ბ]

ელექტრონული სიგარეტები, რომლებსაც იყენებდით ბოლო 30 დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არმატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არომატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[პროგრამირება: თუ უპასუხა 1-30 გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების ბოლო 30 დღიანი გამოყენების კითხვაზე #5გ]

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები, რომლებსაც იყენებდით ბოლო 30 დღის განმავლობაში, ჩვეულებრივ თამბაქოს გემოთი იყო თუ შეიცავდა სხვაგვარ არომატებს, როგორცაა მაგალიად მენტოლი, პიტნა, ხილი და ა.შ?

- მხოლოდ თამბაქოს არომატით იყო
- შეიცავდა სხვა არომატებს (მაგ.: მენტოლი, პიტნა, ხილი, ა.შ)
- არ ვიცი; არ მახსოვს

[ყველა მონაწილეს]

რამდენად სავარაუდოა, რომ გამოიყენებთ - ან გააგრძელებთ შემდეგი პროდუქტების გამოყენებას მომავალ წელს?

- 1=საერთოდ არა
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7=უკიდურესად

ტრადიციული სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ტრადიციული სიგარეტი
ელ.სიგარეტი არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) ელ.სიგარეტი
გასახურებელი თამბაქო არომატების გარეშე
არომატიზირებული (პიტნის, ხილის და სხვა) გასახურებელი თამბაქო

[პროგრამირება: თუ უპასუხა "0" ელ.სიგარეტის ბოლო 30 დღიანი გამოყენების კითხვაზე #5ბ, და თუ უპასუხა „არა“ ოდესმე გამოყენებაზე #4ბ კითხვაში]

ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რის გამო შეიძლება სცადოთ ან დაიწყოთ ელექტრონული სიგარეტის მოხმარება? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- იგი ნაკლებად მავნებელია ტრადიციული სიგარეტის მოწვევასთან შედარებით
- მისი მოხმარება ნაკლებად საზიანოა ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის, განსხვავებით ტრადიციული თამბაქოს მოწვევისა
- ელ. სიგარეტის მოხმარება უფრო მისაღებია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- მე შემიძლია მოვიხმარო ელ. სიგარეტი, რომელიც არ შეიცავს ნიკოტინს

- მე მომწონს ელ. სიგარეტების ტექნოლოგია
- მსიამოვნებს ელ. სიგარეტის მოხმარება
- მომწონს ელ. სიგარეტის მოხმარების სუნი ტრადიციული სიგარეტის მოწევასთან შედარებით
- ელ. სიგარეტის მოხმარება შემოდის ისეთ ადგილებში, სადაც არ შემოდის ტრადიციული სიგარეტის მოწევა
- ელ. სიგარეტის მოხმარებით მე შევძლებ დავზოგო ფული განსხვავებით ტრადიციული სიგარეტისა
- ელ. სიგარეტის მოხმარება მეხმარება რომ ვაკონტროლო მადა ან/და წონა
- მე მომწონს ელექტრონული სიგარეტის არომატები
- მე მომწონს ელექტრონული სიგარეტის მოხმარების გემო ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- მე არ მიწევს თავი დავანებო ტრადიციული სიგარეტის მოწევას
- ელ. სიგარეტის მოხმარება მეხმარება შევამცირო ტრადიციული სიგარეტების რაოდენობა, რომელსაც ვეწევი
- ელ. სიგარეტის მოხმარება მეხმარება თავი დავანებო ტრადიციულ სიგარეტს
- მათი გამოყენება მეხმარება შევინარჩუნო ტრადიციული სიგარეტის მოწევაზე უარის თქმა
- ელ. სიგარეტის მოხმარება არის ნაბიჯი ნიკოტინის მოხმარებაზე უარის თქმისკენ
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ: --
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

[პროგრამირება: თუ უპასუხა "0" გასახურებელი თამბაქოს ბოლო 30 დღიანი გამოყენების კითხვაზე #5ბ, და თუ უპასუხა „არა“ ოდესმე გამოყენებაზე #4გ კითხვაში]

ქვემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან რის გამო შეიძლება სცადოთ ან დაიწყოთ გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება? (შეგიძლიათ აირჩიოთ რამდენიმე პასუხი)

- მათი გამოყენება ნაკლებად მავნებელია ჩემთვის, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა
- მათი გამოყენება მეხმარება შევამცირო ტრადიციული სიგარეტის რაოდენობა, რომელსაც ვეწევი
- მათი გამოყენება ჩემ გარშემო მყოფათვის ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა
- მათი გამოყენება უფრო მიღებულია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწევა
- მე მომწონს გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების ტექნოლოგია
- მე მსიამოვნებს გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება
- გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარების სუნი უფრო მომწონს, ტრადიციული სიგარეტის მოწევის სუნთან შედარებით
- შემოდის მოვიხმარო ისეთ ადგილებში, სადაც მოწევა არ შეიძლება
- მათი გამოყენებით შემოდის დავზოგო ფული, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტის მოწევისა
- მათი მოხმარება მეხმარება მადისა ან/და წონის კონტროლში
- მე მომწონს არომატები
- გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების გამოყენების გემო უფრო მომწონს, ჩვეულებრივი სიგარეტის მოწევის გემოსთან შედარებით

- არ მომიწევს ტრადიციულ სიგარეტზე თავის დანებება
- მათი გამოყენება შეიძლება დამეხმაროს ტრადიციული სიგარეტის მოწვევაზე თავის დანებებაში
- მათი გამოყენება მეხმარება შევინარჩუნო ტრადიციული სიგარეტის მოწვევაზე უარის თქმა
- გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება არის ნაბიჯი ნიკოტინის მოხმარებაზე უარის თქმისკენ
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ:
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

5. გამოყენების მიზეზები:

[პროგრამირება: ვისაც ოდესმე მოუხმარია ელ.სიგარეტები #4ბ]

რამ გიბიძგათ პირველად ელექტრონული სიგარეტის მოხმარებისკენ? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე

- მაინტერესებდა
- შემეძლო იგი იმ დროს და იმ ადგილებში მომეხმარა, სადაც ტრადიციული სიგარეტის მოწვევა აკრძალულია
- იგი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- იგი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების მოხმარება
- ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის მისი მოხმარება ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- შემიძლია მოვიხმარო ნიკოტინის გარეშე
- მაინტერესებდა მისი არომატები
- ელექტრონული სიგარეტის სუნი უფრო მომწონს, ტრადიციული სიგარეტის მოწვევის სუნთან შედარებით
- მეგობარი, ან ოჯახის წევრი იყენებს ელექტრო სიგარეტს
- ელ. სიგარეტით შემეძლო დამეზოგა ფული, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტისა
- მისი გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- მისი ყიდვა უდრო მარტივია ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- ტრადიციულ სიგარეტის მოწვევას რომ თავი დავანებო
- თავიდან რომ ავირიდო ტრადიციული სიგარეტის მოწვევისთვის დაბრუნება
- რათა შევამცირო ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ:
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

[პროგრამირება: ელ.სიგარეტის ბოლო 30 დღიანი გამოყენება, #5ბ]

რატომ მოიხმართ ამჟამად (ბოლო 30 დღის განმავლობაში) ელექტრონულ სიგარეტს? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე

- იმიტომ, რომ მე მსიამოვნებს მათი გამოყენება
- იმიტომ, რომ მათზე ვარ დამოკიდებული
- შემიძლია გამოვიყენო ისეთ დროს, როცა ან იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივი სიგარეტის მოწვევა აკრძალულია
- იგი ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით

- იგი ნაკლებად საზიანოა გასახურებელ თამბაქოსთან შედარებით
- ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის იგი ნაკლებად საზიანოა ტრადიციული სიგარეტის მოწვევასთან შედარებით
- მე მოვიხმარ ელ. სიგარეტს, რომელიც არ შეიცავს ნიკოტინს
- შეიცავს არომატებს, რომელიც მომწონს
- ელ. სიგარეტის სუნი უფრო მომწონს ტრადიციული სიგარეტის მოწვევის სუნთან შედარებით
- მეგობარი ან ოჯახის წევრი იყენებს ელ. სიგარეტს
- მე შემძლია ფულის დაზოგვა ელ. სიგარეტის მოხმარებით, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტის მოწვევისა
- მისი გამოყენება უფრო მარტივია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტისა
- მისი ყიდვა უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის
- ტრადიციულ სიგარეტის მოწვევას რომ თავი დავანებო
- თავიდან რომ ავირიდო ტრადიციული სიგარეტის მოწვევისთვის დაბრუნება
- რათა შევამცირო ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ:
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

[პროგრამირება: ვისაც ოდესმე მოუხმარია გასახურებელი თამბაქო #4გ]

რამ გიბიძგათ პირველად გასახურებელი თამბაქოს მოხმარებისკენ? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე

- მაინტერესებდა
- შემეძლო იგი იმ დროს და იმ ადგილებში მომეხმარა, სადაც ტრადიციული სიგარეტის მოწვევა აკრძალულია
- იგი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- იგი ნაკლებად საზიანოა, ვიდრე ელ. სიგარეტის პროდუქტების მოხმარება
- ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის მისი მოხმარება ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- მაინტერესებდა მისი არომატები
- გასახურებელი თამბაქოს სუნი უფრო მომწონს, ტრადიციული სიგარეტის მოწვევის სუნთან შედარებით
- მეგობარი, ან ოჯახის წევრი იყენებს გასახურებელ თამბაქოს
- ვიფიქრე, გასახურებელი თამბაქოს მოხმარებით შემეძლო დამეზოგა ფული, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტისა
- გასახურებელი თამბაქოს მოხმარებით შემეძლო დამეზოგა ფული, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტისა
- მისი გამოყენება უფრო ადვილია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- მისი ყიდვა უფრო მარტივია ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- ტრადიციულ სიგარეტის მოწვევას რომ თავი დავანებო
- თავიდან რომ ავირიდო ტრადიციული სიგარეტის მოწვევისთვის დაბრუნება
- რათა შევამცირო ტრადიციული სიგარეტის მოწვევა
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ:
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

[პროგრამირება: გასახურებელი თამბაქოს ბოლო 30 დღიანი გამოყენება, #5გ]

რატომ მოიხმართ ამჟამად (ბოლო 30 დღის განმავლობაში) გასახურებელ თამბაქოს? შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე

- იმიტომ, რომ მე მსიამოვნებს მათი გამოყენება
- იმიტომ, რომ მათზე ვარ დამოკიდებული
- შემძლია გამოვიყენო ისეთ დროს, ან იმ ადგილებში, სადაც ჩვეულებრივი სიგარეტის მოწევა აკრძალულია
- იგი ნაკლებად საზიანოა ტრადიციულ სიგარეტთან შედარებით
- იგი ნაკლებად საზიანოა ელ. სიგარეტთან შედარებით
- ჩემს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის იგი ნაკლებად საზიანოა ტრადიციული სიგარეტის მოწევასთან შედარებით
- შეიცავს არომატებს, რომელიც მომწონს
- გასახურებელი თამბაქოს პროდუქტების სუნი უფრო მომწონს ტრადიციული სიგარეტის მოწევის სუნთან შედარებით
- მეგობარი ან ოჯახის წევრი იყენებს გასახურებელ თამბაქოს
- მე შემძლია ფულის დაზოგვა გასახურებელი თამბაქოს მოხმარებით, განსხვავებით ტრადიციული სიგარეტის მოწევისა
- მისი გამოყენება უფრო მარტივია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტისა
- მისი ყიდვა უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე ტრადიციული სიგარეტის
- ტრადიციულ სიგარეტის მოწევას რომ თავი დავანებო
- თავიდან რომ ავირიდო ტრადიციული სიგარეტის მოწევისთვის დაბრუნება
- რათა შევამცირო ტრადიციული სიგარეტის მოწევა
- სხვა; გთხოვთ დააკონკრეტოთ:
- არ ვიცი/მირჩევნია არ ვუპასუხო

6. მოსაზრებები პოლიტიკის ღონისძიებების შესახებ

კითხვარის ეს ნაწილი მოიცავს დამატებით კითხვებს, რათა გავიგოთ თქვენი აზრი თამბაქოს სხვადასხვა პროდუქტის კონტროლის პოლიტიკის ღონისძიებებთან დაკავშირებით

დაუჭერდით თუ არა მხარს კანონს, რომელიც არეგულირებს, მაგრამ არ კრძალავს არომატიზატორების გამოყენებას თამბაქოს შემდეგ პროდუქტებში?

- მტკიცედ მხარს ვუჭერ
- მხარს ვუჭერ
- ნეიტრალური ვარ/არ ვიცი
- წინააღმდეგი ვარ
- კატეგორიულად ვეწინააღმდეგები

ტრადიციული სიგარეტი

ელ. სიგარეტი

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები

დაუჭერდით თუ არა მხარს კანონს, რომელიც კრძალავს ნებისმიერი არომატიზატორის გამოყენებას თამბაქოს შემდეგ პროდუქტებში?

- მტკიცედ მხარს ვუჭერ
- მხარს ვუჭერ
- ნეიტრალური ვარ/არ ვიცი

- წინააღმდეგი ვარ
- კატეგორიულად ვეწინააღმდეგები

ტრადიციული სიგარეტი

ელ. სიგარეტი

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები

დაუჭერდით თუ არა მხარს კანონს, რომელიც კრძალავს თამბაქოს შემდეგი პროდუქტის განთავსებას საქართველოს ბაზარზე?

- მტკიცედ მხარს ვუჭერ
- მხარს ვუჭერ
- ნეიტრალური ვარ/არ ვიცი
- წინააღმდეგი ვარ
- კატეგორიულად ვეწინააღმდეგები

ტრადიციული სიგარეტი

ელ. სიგარეტი

გასახურებელი თამბაქოს პროდუქტები

თქვენი პასუხები ხელს შეუწყობს თამბაქოს პროდუქტებისადმი არსებული ახალი ტენდენციების უკეთ გააზრებას სხვადასხვა ასაკის ადამიანებში. გმადლობთ თქვენი დროისა და მონაწილეობისთვის!

დანართი 4: ბივარიაციული ანალიზის შედეგები (ცხრილი 10 და 11)

ცხრილი 10. ბივარიაციული კავშირი რესპონდენტთა მახასიათებლებსა და არომატიზირებული პროდუქტების არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით აღქმებს შორის (მიჯაჭვულობა და ზიანი საკუთარი ჯანმრთელობისთვის) (N=400)									
არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის აღქმა, როგორც უფრო ...									
	მთლიანი შერჩევა	მიჯაჭვულობის გამომწვევი				საზიანო საკუთარი ჯანმრთელობისთვის			
	N=400 (100%)	ნაკლებად N=63 (15.8%)	თანაბრად N=284 (71.0%)	მეტად N=53 (13.3%)		ნაკლებად N=59 (14.8%)	თანაბრად N=271 (67.8%)	მეტად N=70 (17.5%)	
ცვლადები	N (%)	N (%)	N (%)	N (%)	p-value	N (%)	N (%)	N (%)	p-value
სოციოდემოგრაფიული მონაცემები									
სქესი N (%)					0.828				0.330
მამაკაცი	108 (27.0%)	19 (30.2%)	75 (26.4%)	14 (26.4%)		19 (32.2%)	67 (24.7%)	22 (31.4%)	
ქალი	292 (73.0%)	44 (69.8%)	209 (73.6%)	39 (73.6%)		40 (67.8%)	204 (75.3%)	48 (68.6%)	
განათლების დონე, N (%)	(Valid N=394)				0.113				0.944
უმაღლესი განათლების არმქონე	179 (45.4%)	26 (41.3%)	122 (43.9%)	31 (58.5%)		28 (47.5%)	120 (45.1%)	31 (44.9%)	
უმაღლესი განათლების მქონე	215 (54.6%)	37 (58.7%)	156 (56.1%)	22 (41.5%)		31 (52.5%)	146 (54.9%)	38 (55.1%)	
დასაქმების სტატუსი N (%)	(Valid N=387)				0.155				0.235

დასაქმებულო	136 (35.1%)	29 (46.0%)	94 (34.6%)	13 (25.0%)		15 (26.8%)	99 (37.4%)	22 (33.3%)	
სტუდენტი	217 (56.1%)	29 (46.0%)	156 (57.4%)	32 (61.5%)		33 (58.9%)	143 (54.0%)	41 (62.1%)	
უმუშევარი	34 (8.8%)	5 (7.9%)	22 (8.1%)	7 (13.5%)		8 (14.3%)	23 (8.7%)	3(4.5%)	
წლიური შემოსავალი, N (%)					0.511				0.622
<15000 GEL	308 (77.0%)	47 (74.6%)	217 (76.4%)	44 (83.0%)		47 (79.7%)	210 (77.5%)	51 (72.9%)	
>15 000 Gel	92 (23.0%)	16 (25.4%)	67 (23.6%)	9 (17.0%)		12 (20.3%)	61 (22.5%)	19 (27.1%)	
ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღე), N (%)									
ტრადიციული სიგარეტი									
არა	234 (58.5%)	36 (57.1%)	167 (58.8%)	31 (58.5%)	0.971	42 (71.2%)	170 (62.7%)	22 (31.4%)	<0.001
დიახ	166 (41.5%)	27 (42.9%)	117 (41.2%)	22 (41.5%)		17 (28.8%)	101 (37.3%)	48 (68.6%)	
არაარომატიზირებული	128 (32.0%)	21 (33.3%)	88 (31%)	19 (35.8%)	0.849	15 (25.4%)	76 (28.0%)	37 (52.9%)	<0.001
არომატიზირებული	38 (9.5%)	6 (9.5%)	29 (10.2%)	3 (5.7%)		2 (3.4%)	25 (9.2%)	11 (15.7%)	
ელექტრონული სიგარეტი									
არა	300 (75.0%)	44 (69.8%)	211 (74.3%)	45 (84.9%)	0.154	45 (76.3%)	210 (77.5%)	45 (64.3%)	0.073
დიახ	100 (25.0%)	19 (30.2%)	73 (25.7%)	8 (15.1%)		14 (23.7%)	61 (22.5%)	25 (35.7%)	

არაარომატიზირებული	8 (2.0%)	2 (3.2%)	5 (1.8%)	1 (1.9%)	0.387	0 (0%)	5 (1.8%)	3 (4.3%)	0.182
არომატიზირებული	91 (22.8)	17 (27.0%)	67 (23.6%)	7 (13.2%)		14 (23.7%)	56 (20.7%)	21 (30.0%)	
გასახურებელი თამბაქო (HTPs)									
არა	340 (85%)	50 (79.4%)	245 (86.3%)	45 (84.9%)	0.382	51 (86.4%)	236 (87.1%)	53 (75.7%)	0.056
დიახ	60 (15%)	13 (20.6%)	39 (13.7%)	8 (15.1%)		8 (13.6%)	35 (12.9%)	17 (24.3%)	
არაარომატიზირებული	32 (8.0%)	6 (9.5%)	20 (7.0%)	6 (11.3%)	0.449	3 (5.1%)	19 (7%)	10 (14.3%)	0.092
არომატიზირებული	29 (7.2%)	7 (11.1%)	20 (7.0%)	2 (3.8%)		5 (8.5%)	16 (5.9%)	8 (11.4%)	
თამბაქოს რომელიმე პროდუქტი									
არა	201(50.2%)	26 (41.3%)	146 (51.4%)	29 (54.7%)	0.271	35 (59.3%)	149 (55.0%)	17 (24.3%)	<0.001
დიახ	199 (49.8%)	37 (58.7%)	138 (48.6%)	24 (45.3%)		24 (40.7%)	122 (45.0%)	53 (75.7%)	
გამოყენების განზრახვა	M (SD)	M (SD)	M (SD)	M (SD)	p-value	M (SD)	M (SD)	M (SD)	p-value
არაარომატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	2.60 (2.18)	3.02 (2.35)	2.49 (2.10)	2.72 (2.35)	0.205	2.47 (2.19)	2.42 (2.10)	3.41 (2.31)	0.003
არომატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	1.93 (1.69)	2.03 (1.86)	1.93 (1.66)	1.81 (1.63)	0.783	2.20 (1.90)	1.85 (1.65)	2.00 (1.62)	0.326

არაარომატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	1.54 (1.37)	1.76 (1.64)	1.50 (1.31)	1.43 (1.28)	0.337	1.59 (1.48)	1.56 (1.42)	1.40 (1.00)	0.650
არომატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	2.16 (1.75)	2.33 (1.78)	2.07 (1.72)	2.40 (1.89)	0.323	2.44 (1.98)	2.14 (1.79)	2.00 (1.38)	0.343
არაარომატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	1.61 (1.49)	1.73 (1.58)	1.60 (1.50)	1.51 (1.33)	0.717	1.64 (1.49)	1.58 (1.51)	1.67 (1.43)	0.888
არომატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	1.57 (1.42)	1.70 (1.57)	1.57 (1.43)	1.43 (1.14)	0.605	1.78 (1.61)	1.56 (1.45)	1.44 (1.09)	0.392
შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები ასახავს სვეტოვან პროცენტებს, რაც გვიჩვენებს სოციო-დემოგრაფიული ჯგუფებისა და მოხმარების სტატუსის განაწილებას თითოეულ აღქმის კატეგორიაში (მაგ., „უფრო მეტად მავნე“ და ა.შ).									

ცხრილი 11. ბივარიაციული კავშირი რესპონდენტთა მახასიათებლებსა და არომატიზირებული პროდუქტების არაარომატიზირებულ ვერსიასთან შედარებით აღქმებს შორის (ზიანი სხვების ჯანმრთელობისთვის და სოციალური მისაღებობა) (N=400)									
		არომატიზირებული თამბაქოს ნაწარმის აღქმა, როგორც უფრო ...							
		საზიანო სხვების ჯანმრთელობისთვის			სოციალურად მისაღები				
მთლიანი შერჩევა		ნაკლებად	თანაბრად	მეტად		ნაკლებად	თანაბრად	მეტად	
N=400 (100%)		N=54 (13.5%)	N=321 (80.3%)	N=25 (6.25%)		N=39 (9.8%)	N=293 (73.3%)	N=68 (17.0%)	
ცვლადები	N (%)	N (%)	N (%)	N (%)	p-value	N (%)	N (%)	N (%)	p-value
<i>სოციოდემოგრაფიული მონაცემები</i>									
სქესი N (%)					0.319				0.777
მამაკაცი	108 (27.0%)	14 (25.9%)	84 (26.2%)	10 (40.0%)		9 (23.1%)	79 (27.0%)	20 (29.4%)	
ქალი	292 (73.0%)	40 (74.1%)	237 (73.8%)	15 (60.0%)		30 (76.9%)	214 (73.0%)	48 (70.6%)	
განათლების დონე, N (%)	(Valid N=394)				0.247				0.299
უმადლესი განათლების არმქონე	179 (45.4%)	26 (48.1%)	146 (46.2%)	7 (29.2%)		20 (52.6%)	125 (43.1%)	34 (51.5%)	
უმადლესი განათლების მქონე	215 (54.6%)	28 (51.9%)	170 (53.8%)	17 (70.8%)		18 (47.4%)	165 (56.9%)	32 (48.5%)	
დასაქმების სტატუსი N (%)	(Valid N=387)				0.564				0.084
დასაქმებული	136 (35.1%)	17 (32.1%)	110 (35.4%)	9 (39.1%)		9 (23.7%)	105 (36.7%)	22 (34.9%)	
სტუდენტი	217 (56.1%)	32 (60.4%)	171 (55.0%)	14 (60.9%)		27 (71.1%)	159 (55.6%)	31 (49.2%)	
უმუშევარი	34 (8.8%)	4 (7.5%)	30 (9.6%)	0 (0%)		2 (5.3%)	22 (7.7%)	10 (15.9%)	
<i>წლიური შემოსავალი, N (%)</i>					0.493				0.812
<15000 GEL	308 (77%)	45 (83.3%)	244 (76.0%)	19 (76%)		29 (74.4%)	228 (77.8%)	51 (75%)	
>15 000 Gel	92 (23%)	9 (16.7%)	77 (24.0%)	6 (24%)		10 (25.6%)	65 (22.2%)	17 (25%)	

ამჟამინდელი მოხმარება (ბოლო 30 დღე), N (%)									
ტრადიციული სიგარეტი									
არა	234 (58.5%)	32 (59.3%)	192 (59.8%)	10 (40%)	0.152	20 (51.3%)	174 (59.4%)	40 (58.8%)	0.627
დიახ	166 (41.5%)	22 (40.7%)	129 (40.2%)	15 (60%)		19 (48.7%)	119 (40.6%)	28 (41.2%)	
არაარომატიზირებული	128 (32%)	16 (29.6%)	102 (31.8%)	10 (40%)	0.230	14 (35.9%)	94 (32.1%)	20 (29.4%)	0.768
არომატიზირებული	38 (9.5%)	6 (11.1%)	27 (8.4%)	5 (20.0%)		5 (12.8%)	25 (8.5%)	8 (11.8%)	
ელექტრონული სიგარეტი									
არა	300 (75%)	42 (77.8%)	240 (74.8%)	18 (72.0%)	0.839	31 (79.5%)	222 (75.8%)	47 (69.1%)	0.414
დიახ	100 (25%)	12 (22.2%)	81 (25.2%)	7 (28.0%)		8 (20.5%)	71 (24.2%)	21 (30.9%)	
არაარომატიზირებული	8 (2%)	0 (0%)	7 (2.2%)	1 (4%)	0.774	2 (5.1%)	5 (1.7%)	1 (1.5%)	0.299
არომატიზირებული	91 (22.8)	12 (22.2%)	74 (23.1%)	5 (20.0%)		6 (15.4%)	65 (22.2%)	20 (29.4%)	
გასახურებელი თამბაქო (HTPs)									
არა	340 (85%)	45 (83.3%)	276 (86.0%)	19 (76.0%)	0.378	33 (84.6%)	251 (85.7%)	56 (82.4%)	0.787
დიახ	60 (15%)	9 (16.7%)	45 (14.0%)	6 (24.0%)		6 (15.4%)	42 (14.3%)	12 (17.6%)	
არაარომატიზირებული	32 (8%)	3 (5.6%)	25 (7.8%)	4 (16%)	0.256	3 (7.7%)	25 (8.5%)	4 (5.9%)	0.428
არომატიზირებული	29 (7.2)	6 (11.1%)	20 (6.2%)	3 (12.0%)		4 (10.3%)	17 (5.8%)	8 (11.8%)	
თამბაქოს რომელიმე პროდუქტი									
არა	201(50.2%)	30 (55.6%)	165 (51.4%)	6 (24.0%)	0.022	20 (51.3%)	150 (51.2%)	31 (45.6%)	0.700
დიახ	199 (49.8%)	24 (44.4%)	156 (48.6%)	19 (76.0%)		19 (48.7%)	143 (48.8%)	37 (54.4%)	
გამოყენების განზრახვა	M (SD)	M (SD)	M (SD)	M (SD)	p-value	M (SD)	M (SD)	M (SD)	p-value

არაარმატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	2.60 (2.18)	2.26 (1.92)	2.59 (2.21)	3.56 (2.16)	0.045	3.18 (2.41)	2.58 (2.15)	2.37 (2.15)	0.169
არმატიზირებული ტრადიციული სიგარეტი	1.93 (1.69)	1.72 (1.39)	1.92 (1.69)	2.52 (2.14)	0.143	1.92 (1.77)	1.98 (1.75)	1.74 (1.36)	0.570
არაარმატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	1.54 (1.37)	1.39 (1.14)	1.47 (1.27)	2.72 (2.23)	<0.001	1.82 (1.64)	1.54 (1.37)	1.37 (1.17)	0.256
არმატიზირებული ელექტრონული სიგარეტი	2.16 (1.75)	2.04 (1.77)	2.13 (1.72)	2.72 (2.05)	0.236	2.33 (1.83)	2.14 (1.74)	2.13 (1.80)	0.805
არაარმატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	1.61 (1.49)	1.48 (1.16)	1.55 (1.44)	2.56 (2.24)	0.004	1.64 (1.41)	1.66 (1.57)	1.35 (1.12)	0.301
არმატიზირებული გასახურებელი თამბაქო (HTPs)	1.57 (1.42)	1.50 (1.16)	1.52 (1.37)	2.36 (2.20)	0.015	1.59 (1.53)	1.58 (1.41)	1.51 (1.40)	0.939

შენიშვნა: ფრჩხილებში მოცემული პროცენტული მაჩვენებლები ასახავს სვეტოვან პროცენტებს, რაც გვიჩვენებს სოციო-დემოგრაფიული ჯგუფებისა და მოხმარების სტატუსის განაწილებას თითოეულ აღქმის კატეგორიაში (მაგ., „უფრო მეტად მავნე“ და ა.შ).

დანართი 5. თამბაქოს ახალი ნაწარმის პოლიტიკის ანალიზის შედეგები (ცხრილი 15)

ცხრილი 15: საქართველოს თამბაქოს ახალი ნაწარმის კონტროლის პოლიტიკის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან (Gap Analysis)						
პოლიტიკის მიმართულება	შედარების საგანი	გლობალური სტანდარტი (ჩარჩო კონვენცია)	ევროპული სტანდარტი (TPD)	საქართველოს მიდგომა	შესაბამისობის შეფასება	სამართლებრივი და პრაქტიკული გავლენა
1. თამბაქოს ახალი ნაწარმის განმარტება და კატეგორიზაცია	1.1.თამბაქოს ახალი ნაწარმის (Novel Tobacco Products) სამართლებრივი განმარტება	ჩარჩო კონვენცია მუხ. 1 არ განსაზღვრავს ტერმინს, თუმცა COP/6/14 (2014) ადგენს ახალ ნაწარმად ჩათვლის კრიტერიუმებს. HTPs COP/8 (2018) გადაწყვეტილებით აღიარებულია ახალ თამბაქოს ნაწარმად და ექვემდებარება ჩარჩო კონვენციის მოთხოვნებს. ელექტრონული სიგარეტი არ ითვლება თამბაქოს ახალ ნაწარმად,	"თამბაქოს ახალი ნაწარმი" - თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც არ მიეკუთვნება ტრადიციულ კატეგორიებს და ბაზარზე განთავსებულია 2014 წლის 19 მაისის შემდეგ (TPD, მუხ. 2(14)). ამ კატეგორიაშია HTPs. მათზე ვრცელდება დირექტივის ზოგადი მოთხოვნები	თამბაქოს ახალი ნაწარმი - თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც არ მიეკუთვნება კანონში ჩამოთვლილ კატეგორიებს (სკთკშ, მუხლი 3.“ა.ზ“). HTPs (სკთკშ, მუხლი 3.“ა.ი“) და ელექტრონული სიგარეტის ნიკოტინის შემცველი მასალა (სკთკშ, მუხლი	ნაწილობრივი შესაბამისობა: კანონმდებლობა ცნობს „თამბაქოს ახალ ნაწარმს“, მაგრამ HTPs და ელექტრონული სიგარეტი არ არის მოაზრებული ამ კატეგორიაში. განსხვავება TPD-სთან: TPD ინკლუზიურია (ბაზარზე განთავსების	ქართული მიდგომა უზრუნველყოფს თამბაქოს ახალი ნაწარმის რეგულირების ფარგლებში მოქცევას, მსგავსად ჯანმოს და ევროკავშირის მიდგომისა. TPD-ის ჩანაწერთან ფორმალური შეუსაბამობის მიუხედავად, ახალი ნაწარმის განმარტების

		მაგრამ COP6(9) (2014) მოუწოდებს მხარეებს, დაადგინონ მათთვის თამბაქოს მსგავსი რეგულაციები.	(პრეამბ. 35). ელექტრონული სიგარეტი რეგულირდება ცალკე დებულებით (მუხ. 20), როგორც ნიკოტინის შემცველი, არათამბაქოს პროდუქტი.	3.“ა.ვ“) ცალკე კატეგორიებადაა მოცემული კანონში, შესაბამისად, კანონის გაგებით ისინი არ მიიჩნევა თამბაქოს ახალ ნაწარმად.	თარიღით განსაზღვრა), ხოლო საქართველოს მოდელი კატეგორიებზეა დაფუძნებული.	მიზანი სრულდება.
	1.2.ელექტრონული სიგარეტის სტატუსი და მისი განმარტება	ჩარჩო კონვენციის მიხედვით, ელექტრონული სიგარეტი არ ითვლება თამბაქოს ნაწარმად (მუხ. 1(f)). თუმცა, COP6 (2014) გადაწყვეტილებით აღიარებულია, რომ ENDS და ENNDS უნდა ექვემდებარებოდნენ კონტროლს ჩარჩო კონვენციის მიზნების შესაბამისად (COP/6/10 Rev.1,	TPD „ელექტრონულ სიგარეტს“ განმარტავს, როგორც პროდუქტის ტიპს, რომელიც გამოიყენება ორთქლის შესასუნთქად და შეიცავს ნიკოტინს და შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალჯერადი გამოყენების. (მუხ 2(16), TPD) ის არ განიხილება „თამბაქოს	ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალა/კარტრიჯი/კ აფსულა თამბაქოს ნაწარმად მიიჩნევა და სრულად ექვემდებარება თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობას (სკთკშ-ის მუხლი 3.“ა.ვ“).	ნაწილობრივი შესაბამისობა: ნიკოტინის შემცველი ელექტრონული სიგარეტის განმარტება და მისი სტატუსი კანონმდებლობაში ემთხვევა TPD-ის მიდგომას. უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტი რჩება სკთკშ-ის მიღმა	უნიკოტინო ელექტრონული სიგარეტის მარეგულირებელი ჩარჩოს არარსებობა ქმნის ბაზრის უკონტროლო სეგმენტს, რადგან ეს პროდუქტები არ ექვემდებარება თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობას.

		2014; COP6(9), 2014). ჯანმო (ჯანმო, 2017) მათ განმარტავს როგორც ბატარეაზე მომუშავე მოწყობილობას, რომელიც ნიკოტინის შემცველ ან უნიკოტინო სითხეს აეროზოლის შესაქმნელად ათბობს.	ნაწარმად“ (მუხ. 2(4)) და რეგულირდება ცალკე მუხლით (მუხ. 20). TPD ფარავს მხოლოდ ნიკოტინის შემცველ ENDS-ს. უნიკოტინო ENDS შეუძლიათ დაარეგულირონ წევრმა სახელმწიფოებმა (პრეამბ. 47).	ელექტრონული სიგარეტი როგორც მოწყობილობა განმარტებულია ცალკე: მოიცავს ნიკოტინის შემცველი აეროზოლის მოხმარებისთვის განკუთვნილ ერთჯერად და მრავალჯერადი გამოყენების მოწყობილობებს (სკოტკმ-ის მუხლი 3.“დ“).	(არ განიმარტება და ბუნდოვანია რა რეგულირების ქვეშ უნდა მოექცეს) რის გამოც შეუსაბამოა ჩარჩო კონვენციის და TPD-ის მიდგომებთან.	
1.3.გასახურებ ელი თამბაქოს (HTPs) სტატუსი და მისი განმარტებ ა	ჩარჩო კონვენცია არ მოიცავს HTPs-ის განმარტებას (მუხ. 1(f)), თუმცა HTPs- ში მოიაზრება თამბაქოს შემცველი პროდუქტი, რომელიც იყენებს არატრადიციულ ტექნოლოგიას (წვის ნაცვლად გახურება)	TPD არ იყენებს ტერმინს "HTPs", თუმცა მას მოიაზრებს „თამბაქოს ახალი ნაწარმის“ ტერმინში (მუხ. 2(16)). დელეგირებული დირექტივა 2022/2100 განმარტავს HTPs-ს,	კანონი ცალკე განმარტავს HTPs-ს, როგორც თამბაქოს ნაწარმს, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ გახურების გზით მოხმარებისთვის (სკოტკმ, მუხლი 3.“ა.ი“).	სრული შესაბამისობა: HTPs განმარტება და მისი რეგულირება, როგორც თამბაქოს პროდუქტი, სრულად შეესაბამება	არსებობს რისკი, რომ ბაზარზე გამოჩნდება უნიკოტინო ან სხვა იმგვარი ნაწარმი, რომელიც თავისი არსით HTPs-ია, მაგრამ არ ერგება კანონში	

		(COP/6/14). HTPs ოფიციალურად აღიარებულია, როგორც თამბაქოს ნაწარმი და მასზე ვრცელდება ჩარჩო კონვენციის ყველა დებულება (COP8(22), 2018).	როგორც ახალ თამბაქოს ნაწარმს, რომელიც გაცხელებით წარმოქმნის ნიკოტინისა და სხვა ქიმიკატების შემცველ გამონაბოლქვს, რომელიც მისი მახასიათებლებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს უკვამლო ან მოსაწევი თამბაქოს ნაწარმი (2022/2100, პრეამბ. 4).	HTPs შედის თამბაქოს ნაწარმის კატეგორიაში და შესაბამისად, მასზე ვრცელდება კანონის ზოგადი დებულებები.	ჩარჩო კონვენციისა და TPD-ის მოთხოვნებს.	არსებულ განმარტებას და რჩება რეგულირების მიღმა.
2. თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის კონტროლი და მათში არომატიზატორების გამოყენების	2.1. დამახასიათებელი არომატების (Characteristic Flavours) აკრძალვა	ჩარჩო კონვენცია პირდაპირ არ კრძალავს არომატებს (მუხ. 9, 10), მაგრამ სახელმძღვანელოები მოიცავს მკაფიო მითითებას მხარეებისთვის, გააკონტროლონ ან	TPD კრძალავს დამახასიათებელი არომატიზატორების (მაგ., ხილი, ვანილი) გამოყენებას თამბაქოს ნაწარმში, მიმზიდველობის შესამცირებლად. ეს აკრძალვა გავრცელდა	საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დამახასიათებელი არომატების გამოყენების შეზღუდვას ან აკრძალვას თამბაქოს ნაწარმებში.	არსებითი შეუსაბამობა: რეგულირების არარსებობა დამახასიათებელი არომატების აკრძალვის კუთხით პირდაპირ ეწინააღმდეგება	არომატიზატორების შეზღუდვის არარსებობა ზრდის თამბაქოს ნაწარმის მიმზიდველობას (განსაკუთრებით

<p>რეგულირება</p>		<p>აკრძალონ ინგრედიენტები, რომლებიც ზრდის თამბაქოს მიმზიდველობას (მაგ., ხილის, მენტოლის არომატები) მოზარდებში მოხმარების დაწყების შესამცირებლად (Guidelines for implementation of Art. 9 and 10).</p>	<p>სიგარეტსა და ხელით გასახვევ თამბაქოზე 2016 წლის 20 მაისიდან (TPD, მუხ. 7(1)). 2022/2100 დელეგირებული დირექტივით აკრძალვა გავრცელდა HTPs-ზეც. ელექტრონულ სიგარეტებზე (ENDS) დამახასიათებელი არომატიზატორების რეგულირება რჩება წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში (TPD, პრეამბ. 47).</p>		<p>TPD-ისა და 2022/2100 დელეგირებული დირექტივის მოთხოვნებს, ისევე, როგორც ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო რეკომენდაციებს.</p>	<p>თ მოზარდებში), რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო კონვენციის მიზნებს და TPD-ის მიდგომას. შეუსაბამობა TPD-სთან ხელს უშლის ევროასოცირების შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და საჭიროებს ეროვნული კანონმდებლობის გადახედვას.</p>
	<p>2.2.დანამატების (Additives) კონტროლი</p>	<p>არჩო კონვენცია არ მოიცავს დანამატების აკრძალვას (მუხ. 9, 10). თუმცა, განხორციელების სახელმძღვანელოებ</p>	<p>TPD თამბაქოს ნაწარმისა და თამბაქოს ახალი ნაწარმისთვის (HTPs) კრძალავს დანამატებს, რომლებიც: ა) ქმნის</p>	<p>საქართველოს კანონმდებლობა არ შეიცავს ცალკე მუხლს ან დეტალურ ჩამონათვალს იმ დანამატებისა,</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა: რეგულირების არარსებობა პირდაპირ ეწინააღმდეგება</p>	<p>დანამატების რეგულირების არარსებობა ზრდის რისკს, რომ ბაზარზე განთავსდება არასწორი</p>

		<p>ი მოუწოდებს მხარეებს, დაარეგულირონ ან აკრძალონ დანამატები, რომლებიც: 1) ზრდის გემოვნურ მიმზიდველობას (არომატიზატორები), 2) ქმნის შთაბეჭდილებას ჯანმრთელობის სარგებელზე (ვიტამინები) ან 3) ასოცირდება ენერგიასთან (სტიმულატორები) (Guidelines for implementation of Articles 9 and 10).</p>	<p>ჯანმრთელობის სარგებლის ან ენერგიის შთაბეჭდილებას (მაგ., ვიტამინები, სტიმულატორები); ბ) ზრდის ტოქსიკურობას; გ) მიუთითებს ბუნებრივ თვისებებზე. (მუხ. 7(6)).</p> <p>მუხ. 7(7) ასევე კრძალავს დანამატებს ნაწარმის ტექნიკურ კომპონენტებში (ფილტრი, კაფსულა), თუ ის ცვლის სუნს/გემოს.</p> <p>ელექტრონული სიგარეტისთვის - ნიკოტინის შემცველი სითხე არ უნდა შეიცავდეს</p>	<p>რომელთა გამოყენება თამბაქოს ნაწარმში აკრძალულია. არ არსებობს ცალკე რეგულაცია რომელიც კრძალავს თამბაქოს ნაწარმის ტექნიკურ კომპონენტებში (ფილტრი, კაფსულა და ა.შ.) დანამატების გამოყენებას.</p>	<p>TPD-ის მოთხოვნებს, ისევე, როგორც ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო რეკომენდაციებს.</p>	<p>შთაბეჭდილების შემქმნელი პროდუქტები (თითქოს ეს პროდუქტი ჯანსაღია, ან არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს).</p> <p>ასოცირების შეთანხმების საფუძველზე, TPD-თან სრული შესაბამისობისთვის, აკრძალული დანამატების დეტალური ჩამონათვალის დანერგვა სავალდებულოა.</p>
--	--	---	--	--	---	---

			მუხ.7(6)-ში ჩამოთვლილ აკრძალულ დანამატებს (მუხ. 20(3)(c)). წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, დააწესონ უფრო მკაცრი რეგულაციები (მუხ. 24(3)).			
	2.3.შემადგენ ლობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების მოთხოვნები	ჩარჩო კონვენცია (მუხ. 9–10) ავალდებულებს მხარეებს, დააწესონ მოთხოვნა მწარმოებლების/იმპორტიორებისთვის გამჟღავნონ თამბაქოს ნაწარმის ინგრედიენტებისა და გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ სრული ინფორმაცია. მუხ. 10-ით მოთხოვნილია	TPD-ის მუხ. 5(1–3) ავალდებულებს მწარმოებლებს/იმპორტიორებს, წარადგინონ დეტალური ინფორმაცია ინგრედიენტებისა და გამოფრქვეული ნივთიერებების, მათ შორის ტოქსიკოლოგიური მონაცემების შესახებ. მონაცემების წარდგენა ხდება	მწარმოებელი/იმპორტიორი ვალდებულია ბაზარზე განთავსებამდე 3 თვით ადრე ჯანდაცვის სამინისტროს წარუდგინოს ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის (მ/შ ელექტრონული სიგარეტის) შემადგენლობის და გამოფრქვეული ნივთიერებების	ნაწილობრივი შესაბამისობა: მიუხედავად ჩარჩო კონვენციის საბაზისო მოთხოვნის დაკმაყოფილებებისა, არსებითი შეუსაბამობაა TPD-ის მოთხოვნებთან: 1) კანონი არ ითვალისწინებს მონაცემთა საჯაროობას,	ინფორმაციის მიღების ელექტრონული მექანიზმის არარსებობა და ინფორმაციის საჯაროობის მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა სამართლებრივი ხარვეზია TPD-სთან დაახლოების კუთხით.

		<p>ინგრედიენტების, დანამატების, ნიკოტინის დონისა და ტოქსიკური ნივთიერებების გამჟღავნება. სახელმძღვანელოები მოითხოვს ამ ინფორმაციის რეგულარულ წარდგენას და საჯარო ხელმისაწვდომობას კონფიდენციალური დონის დაცვით (Guidelines for implementation of Articles 9 and 10).</p>	<p>CEG-ის ერთიანი პლატფორმის მეშვეობით (Commission Implementing Decision 2015/2186). ეს მოთხოვნა ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც (მუხ. 20(2)(b)). ინფორმაცია წარედგინება ბაზარზე განთავსებამდე 6 თვით ადრე. წევრ სახელმწიფოებს ევალებათ მონაცემების ნაწილის საჯაროდ ხელმისაწვდომობა (მუხ. 5(4)).</p>	<p>შესახებ (სკოტკმ, მუხ. 4.3). HTPs-ზე და თამბაქოს ახალ ნაწარმზე მოქმედებს ცალკე დებულება - შეტყობინების ვალდებულება, რომელიც მოიცავს ინგრედიენტებისა და მისგან გამოფრქვეული ნივთიერებების შესახებ ინფორმაციას (მუხ. 4.3¹). მონაცემთა წარდგენა ხდება დისკის/მეხსიერების ბარათის საშუალებით. (ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება 01-20/ნ, 2018). საჯარო გამჟღავნება არ ხდება.</p>	<p>რაც არღვევს TPD მუხ. 5(4)-სა და ჩარჩო კონვენციის მუხ. 10-ის მოთხოვნას. 2) ინფორმაციის ფიზიკური ფორმით წადგენა (დისკი/ბარათი) არ შეესაბამება TPD-ის ერთიანი ელექტრონული სისტემის (EU-CEG) მოთხოვნას.</p>	<p>ფიზიკური ფორმატით ინფორმაციის მიღება ართულებს სამინისტროსთვის მონაცემების დამუშავების და ანალიზის პროცესს. ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საზოგადოებისთვის არღვევს მომხმარებლის უფლებას იცოდეს პროდუქტის შემადგენლობა, მათ შორის პოტენციურად ტოქსიკური დანამატების არსებობა, რაც ეწინააღმდეგება ჩარჩო</p>
--	--	--	---	---	--	---

						კონვენციის მთავარ პრინციპებს.
3. შეფუთვის, მარკირებისა და სამედიცინო გაფრთხილებების დატანის მოთხოვნები	3.1.სამედიცინო გაფრთხილებების ზომის/შინაარსი	ჩარჩო კონვენციის მუხ. 11 მოითხოვს, რომ ჯანმრთელობის გაფრთხილებებმა დაიკავოს შეფუთვის ფართობის 50% ან მეტი (COP რეკომენდაციით 65%+) და მოიცავდეს პიქტოგრამებს (Guidelines for implementation of Article 11). HTPs-ზე COP8(22) მოუწოდებს ამ მოთხოვნების (მუხ. 11-ის ჩათვლით) გავრცელებას, ნაკლები ზიანის შთაბეჭდილების თავიდან	დირექტივა 2022/2100-ის მიღების შემდეგ, HTPs-ზე ვრცელდება სიგარეტის იდენტური მოთხოვნები: სავალდებულოა კომბინირებული სამედიცინო გაფრთხილება (ტექსტი+პიქტოგრამა), რომელიც ფარავს შეფუთვის ზედაპირის 65%-ს (პრეამბ.7; 2022/2100; მუხ.10, TPD). ელექტრონული სიგარეტისთვის (მუხ. 20(4)) სავალდებულოა საინფორმაციო ფურცელი	HTPs-თვის სავალდებულოა მხოლოდ ტექსტობრივი სამედიცინო გაფრთხილება (ორი ნიმუშიდან ერთ-ერთი) (სკთშ. მუხ. 6.3, დადგენილება №150, 2020). კანონი მთავრობას ანიჭებს პიქტოგრამის დატანის უფლებამოსილებას, თუმცა ეს მოთხოვნა ამჟამად არ არის დადგენილი (სკთშ. მუხ. 6.22). ელექტრონული სიგარეტისთვის სავალდებულოა მხოლოდ საინფორმაციო ფურცლის	ნაწილობრივი შესაბამისობა: HTPs-ზე მხოლოდ ტექსტობრივი სამედიცინო გაფრთხილების არსებობა შეუსაბამოა ევროკავშირის მოთხოვნებთან. ასევე, ელექტრონული სიგარეტის გარე შეფუთვაზე გაფრთხილების არარსებობა შეუსაბამოა TPDის მოთხოვნებთან. შესაბამისობა ვლინდება მხოლოდ	თამბაქოს ახალი ნაწარმისთვის განხვავებული შეფუთვის სტანდარტების არსებობა ამ ნაწარმს მომხმარებლისთვის წარმოაჩენს ნაკლებად საზიანოდ. TPD-თან შესაბამისობისთვის, HTPs-ზე 65% კომბინირებული გაფრთხილების დაუყოვნებლივ დანერგვა არის სავალდებულო ასოცირების

		<p>ასაცილებლად. სახელმძღვანელოები მოითხოვს გაფრთხილებების განთავსებას ადგილობრივ ენაზე, მკაფიო შრიფტით და რეგულარულ როტაციას. ელექტრონულ სიგარეტზე COP7(13) მოუწოდებს მკაცრი მარკირებისა და გაფრთხილებების დაწესებას.</p>	<p>(ინსტრუქცია, უკუზღვევები, ტოქსიკურობა, დამოკიდებულება) და ერთ-ერთი ტექსტობრივი სამედიცინო გაფრთხილება (მუხ. 12(2)).</p>	<p>შეფუთვაში მოთავსება (სკოტუ, მუხ. 6.21). სხვა სახის გარე გაფრთხილებების (ტექსტი ან პიქტოგრამა) დატანის ვალდებულება არ არის დადგენილი.</p>	<p>საინფორმაციო ფურცელის მოთხოვნაში ელექტრონული სიგარეტისთვის .</p>	<p>შეთანხმებიდან გამომდინარე.</p>
	<p>3.2.სტანდარტიზებული შეფუთვის (Plain Packaging) მოთხოვნა</p>	<p>სტანდარტიზებულ ი შეფუთვა რეკომენდებულია ჩარჩო კონვენციის მუხ. 11/13 სახელმძღვანელოებით, როგორც რეკლამის/მიმზიდველობის აღმოფხვრის</p>	<p>TPD არ მოიცავს სავალდებულო სტანდარტიზებული შეფუთვის მოთხოვნას. წევრ სახელმწიფოებს აქვთ უფლება (მუხ. 24.2) დააწესონ უფრო მკაცრი ზომები შეფუთვის</p>	<p>დადგენილია თამბაქოს ნაწარმის სტანდარტიზების წესი, თუმცა ეს მოთხოვნა არ ვრცელდება ელექტრონულ სიგარეტზე და 2024 წლის 27 ივნისის საკანონმდებლო</p>	<p>ნაწილობრივი შესაბამისობა: საქართველო აკმაყოფილებს ჩარჩო კონვენციის რეკომენდაციას ტრადიციული თამბაქოს ნაწარმზე</p>	<p>HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტისთვის სტანდარტიზებული შეფუთვის არარსებობა ზრდის ნაწარმის მიმართ მიმზიდველობას და შეცდომაში</p>

		<p>საშუალება. ჯანმო მოუწოდებს მხარეებს აკრძალონ ლოგოების, ფერებისა და გამოსახულებების გამოყენება შეფუთვაზე (გარდა სტანდარტული ბრენდის სახელისა). ჩარჩო კონვენციის პოზიციით, ეს უნდა გავრცელდეს HTPs-სა და ENDS-ზეც (Guidelines for implementation of Art. 11 & 13).</p>	<p>(HTPs-ის ჩათვლით), თუ ეს გამართლებულია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, TFEU-სთან და WTO-ს ვალდებულებებთან შესაბამისობით (პრეამბ. 53).</p>	<p>ცვლილებების გათვალისწინებით არც HTPs-ზე. (სკოტკმ მუხ.6.9, მთავრობის დადგენილება №257, 2022).</p>	<p>სტანდარტიზებულ შეფუთვის მოთხოვნით. თუმცა, არსებითი შეუსაბამობა რჩება HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის კუთხით: მათზე სტანდარტიზებული შეფუთვის არგავრცელება ეწინააღმდეგება ჩარჩო კონვენციის პოზიციას და ნიშნავს TPD-ის მუხ. 24(2)-ით მინიჭებული უფლებამოსილების გამოუყენებლობას.</p>	<p>შემყვანია, რაც რაც აფერხებს ჩარჩო კონვენციის მიზნების მიღწევას (მიმზიდველობის შემცირება განსაკუთრებით მოზარდებში). თამბაქოს ინდუსტრიას რჩება შესაძლებლობა შეფუთვის მრავალფეროვნებით გვერდი აუაროს რეკლამის და პოპულარიზაციის აკრძალვას და სასურველი გახადოს მომხმარებლისთვის.</p>
--	--	---	---	---	---	--

	<p>3.3.შეცდომაში შემყვანი ელემენტების აკრძალვა შეფუთვაზე</p>	<p>ჩარჩო კონვენცია მკაცრად კრძალავს შეფუთვაზე შეცდომაში შემყვანი ინფორმაციას (მუხ. 11(1)(a)). აკრძალულია ტერმინები (მაგ., "მსუბუქი", "რბილი"), რომლებიც ნაკლები ზიანის შთაბეჭდილებას ქმნის (მუხ. 11(1)(b)). COP-ის გადაწყვეტილებები მოუწოდებს ამ აკრძალვების HTP-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც გავრცელებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული "რისკის შემცირებაზე" მინიშნებები</p>	<p>TPD კრძალავს ნებისმიერ ტექსტს, სიმბოლოს ან სურათს თამბაქოს შეფუთვაზე, რომელიც: ა) ქმნის მცდარ შთაბეჭდილებას რისკებზე/მახასიათებლებზე; ბ) მიანიშნებს ნაკლებ მავნებლობაზე (მაგ., "ნატურალური", "ორგანული"); ან გ) ასოცირდება ცხოვრების სტილთან (მუხ.13.1). HTPs-ზე ეს აკრძალვები სრულად ვრცელდება. ელექტრონულ სიგარეტზე ვრცელდება აკრძალვების უმეტესობა, რათა შეფუთვით არ მოხდეს ზიანის</p>	<p>აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის (მ/შ HTPs-ისა და ელექტრონული სიგარეტის) შეფუთვაზე ყალბი, შეცდომაში შემყვანი ან არასწორი წარმოდგენის შემქმნელი ინფორმაციის დატანა ნაწარმის მავნე ზემოქმედების შესახებ. აკრძალულია სიტყვები, რომლებიც ქმნის არასწორ წარმოდგენას (მაგ., „მსუბუქი“, „რბილი“, „ულტრამსუბუქი“, „მენტოლი“ და სხვა) (სკოტშ, მუხ. 6.1).</p>	<p>სრული შესაბამისობა:</p> <p>საქართველოს კანონი სრულად ემთხვევა ჩარჩო კონვენციის და TPD-ის მოთხოვნებს, რადგან თამბაქოს ახალი ნაწარმების (მ/შ HTPs-ისა და ელექტრონული სიგარეტის) ჩათვლით აკრძალულია როგორც ზოგადი, შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის, ასევე სპეციფიკური ტერმინების</p>	<p>შეცდომაში შემყვანი ტერმინების აკრძალვა ეფექტური სამართლებრივი მექანიზმია, რომელიც აფერხებს მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას და ხელს უწყობს ჩარჩო კონვენციის მიზნების განხორციელებას.</p>
--	--	---	--	--	--	---

		(COP8(22); COP7(13)).	შემცირებაზე ან ჯანმრთელობის სარგებელზე მინიშნებები (მუხ. 20(4)(b)(ii)).		დატანა შეფუთვაზე.	
4. მარკეტინგის, რეკლამისა და პოპულარიზაციის აკრძალვა;	4.1. ხილვადობის აკრძალვა სავაჭრო ობიექტში	ჩარჩო კონვენციის მუხ. 13 მოითხოვს თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის ყოვლისმომცველ აკრძალვას, მათ შორის სავაჭრო ობიექტებში ნაწარმის ხილვადობის აკრძალვას. COP-ის გადაწყვეტილებები (COP8(22); COP7(13)) მუხ. 13-ის სრული მოთხოვნები უნდა გავრცელდეს HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც,	TPD კრძალავს თამბაქოს ნაწარმის, მათ შორის HTPs-ის, რეკლამას ინტერნეტსა და ბეჭდურ მედიაში (მუხ.15-16). ელექტრონული სიგარეტის რეკლამაც აკრძალულია მედიაში (მუხ.20(5)). თუმცა, ორივე შემთხვევაში, ნაწარმის ხილვადობის რეგულირება სავაჭრო ობიექტებში დარჩა წევრი სახელმწიფოების კომპეტენციაში	სავაჭრო ობიექტში ხილვადობის (როგორც შიდა, ასევე გარე ხილვადობა) აკრძალვა დადგენილია თამბაქოს ნაწარმის, (მ/შ HTPs და ელექტრონული სიგარეტის), ასევე თამბაქოს აქსესუარის და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობისთვის. (სკვკმ, მუხ. 5.2. “მ“-„ნ“).	სრული შესაბამისობა: საქართველო სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო მითითებებს და TPD-ის ზოგად მოთხოვნებთან შედარებით უფრო მკაცრია.	ხილვადობის სრული აკრძალვა ეფექტურად აფერხებს მომხმარებელთა იმპულსურ გადაწყვეტილებებს და ინდუსტრიას უზღუდავს შესაძლებლობას, გამოიყენოს სავაჭრო ობიექტები როგორც უფასო სარეკლამო სივრცე.

		"ნაკლებად საზიანო" ალტერნატივებზე გადასვლის თავიდან ასაცილებლად.	(მუხ.24(3), მუხ.20(5)).			
4.2. ყოვლისმომცველი სარეკლამო აკრძალვა (Bans on Advertising)	ჩარჩო კონვენციის მუხ. 13 მოითხოვს თამბაქოს რეკლამის, პოპულარიზაციისა და სპონსორობის ყოვლისმომცველ აკრძალვას ყველა საშუალებით, ინტერნეტის ჩათვლით (მუხ. 13). ჩარჩო კონვენციის პოზიციით, ეს მოთხოვნა სრულად უნდა გავრცელდეს HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც (COP8(22); COP7(13)).	EU TPD ადგენს რეკლამის აკრძალვას ბეჭდურ მედიაში, რადიოში და ინტერნეტში თამბაქოს ნაწარმზე, მათ შორის HTPs-ზე (მუხ. 15, 16). ელექტრონული სიგარეტის რეკლამაც ანალოგიურად იზღუდება ზემოაღნიშნულ საშუალებებში (მუხ. 20(5)). TPD უფლებას აძლევს წევრ სახელმწიფოებს, დააწესონ უფრო მკაცრი	აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის (მ/შ HTPs და ელექტრონული სიგარეტის), თამბაქოს აქსესუარისა და მოწყობილობის ყველა სახის რეკლამა (მ/შ ინტერნეტში) (სკრშ მუხ. 82.1). გამონაკლისი ვრცელდება მხოლოდ თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლისთვის განკუთვნილ ბეჭდურ ან ელექტრონულ გამოცემაზე.	სრული შესაბამისობა: საქართველო სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის ყოვლისმომცველი რეკლამის აკრძალვის მოთხოვნას, თამბაქოს ახალი ნაწარმების ჩათვლით. ქართული მიდგომა TPD-ის ბაზისურ მოთხოვნებზე უფრო მკაცრია, რადგან TPD	რეკლამის ყოვლისმომცველი აკრძალვა (ინტერნეტის ჩათვლით) ეფექტურად აფერხებს თამბაქოს ინდუსტრიას თამბაქოს ახალი ნაწარმის პოპულარიზაციაში. ეს უზრუნველყოფს ჩარჩო კონვენციის უმაღლესი სტანდარტის მიღწევას და წვლილი შეაქვს მოზარდების	

			(ყოვლისმომცველი) ზომები (მუხ. 24(3)).	დამატებით, აკრძალულია თამბაქოს მოხმარების დემონსტრირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით (სკოტკმ, მუხ. 10.7), გარდა ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული გაფრთხილებების თანხლებით ჩვენების შემთხვევებისა.	უშვებს რეკლამის გამონაკლისებს და არ არეგულირებს თამბაქოს მოხმარების დემონსტრირებას.	მიერ თამბაქოს მოხმარების დაწყების პრევენციაში.
	4.3. სპონსორობის აკრძალვა	ჩარჩო კონვენცია მოითხოვს თამბაქოს სპონსორობის სრულ აკრძალვას, მათ შორის საზღვარგარეთ განხორციელებულ სპონსორობაზე. აკრძალვა ეხება ნებისმიერ	TPD კრძალავს თამბაქოს (მ/შ HTPs) და ელექტრონული სიგარეტის რეკლამას/პოპულარ იზაციას მედიასა და ტრანსსასაზღვრო ღონისძიებებზე (მუხ. 14, 15, 16, 20(5)).	საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს თამბაქოს ინდუსტრიის წარმომადგენლის (მწარმოებელი, იმპორტიორი, რეალიზატორი) პირდაპირ ან/და არაპირდაპირ სპონსორობას (ადმ.	სრული შესაბამისობა: საქართველო სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის მოთხოვნას ყოვლისმომცველ აკრძალვაზე. ქართული	პირდაპირი და არაპირდაპირი სპონსორობის აკრძალვა ეფექტურად ბლოკავს ინდუსტრიის შესაძლებლობას, იყიდოს სოციალური ლეგიტიმაცია

		ფინანსურ წვლილს, რომლის მიზანი/შედეგია თამბაქოს პოპულარიზაცია (მუხ. 13). COP-ის გადაწყვეტილებით (COP8(22); COP7(13)) ეს უნდა გავრცელდეს HTPs-სა და ელექტრონულ სიგარეტზეც.	TPD არ ითვალისწინებს სრულ აკრძალვას, მაგრამ მუხ. 24(3) წევრ სახელმწიფოებს უფლებას აძლევს, დააწესონ უფრო მკაცრი ზომები, მათ შორის სპონსორობის სრული აკრძალვა.	კოდექსი, მუხ. 1712). ეს აკრძალვა ვრცელდება თამბაქოს ყველა ნაწარმზე (მ/შ HTPs და ელექტრონული სიგარეტი).	კანონი TPD-ის რეგულაციები ს მაღალ სტანდარტებს იყენებს, რადგან TPD მხოლოდ ტრანსსასაზღვრო სპონსორობას ზღუდავს. საქართველოს კანონმდებლობა სრულად გამორიცხავს HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის სპონსორობასაც.	და მოახდინოს პროდუქტების პოპულარიზაცია ახალგაზრდულ/კულტურულ ღონისძიებებზე.
5. კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგის მექანიზმები.	5.1. ბაზრის ზედამხედველობა (Market Surveillance)	ჩარჩო კონვენცია მოუწოდებს მხარეებს, შექმნან ეფექტური მექანიზმები კანონმდებლობის აღსრულებისა და მონიტორინგისთვის	TPD-ის ბაზრის ზედამხედველობის სისტემა მოიცავს: 1. შემადგენლობის შესახებ ინფორმაციის მიღებას EU-CEG პორტალით (მუხ. 5,	მწარმოებლებისა და იმპორტიორებისგან მიიღება ინფორმაცია თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის შესახებ (მუხ. 4.3,	არსებითი შეუსაბამობა: მიუხედავად შემადგენლობაზე ინფორმაციის მიღებისა, არ არსებობს TPD-	ელექტრონული ბაზრის არარსებობა და აქტიური მონიტორინგის არქონა ზრდის რისკს, რომ ბაზარზე

		<p>ს (Art. 21, 22). სახელმძღვანელო მითითებები (COP8(22); COP7(13)) ხაზს უსვამს ბაზრის მუდმივი და აქტიური ზედამხედველობის საჭიროებას. ეს მოთხოვნა სრულად ვრცელდება HTPs- სა და ელექტრონული სიგარეტის კონტროლზეც.</p>	<p>20(2)). 2. მიკვლევადობის სისტემას (Traceability) EU- მასშტაბით, რომელიც HTPs-ზეც ვრცელდება (მუხ. 15-16). 3. მონიტორინგს, სადაც წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მოახდინონ ელექტრონული სიგარეტის ბაზრის განვითარების მონიტორინგი და ანგარიში წარუდგინონ კომისიას (მუხ. 20(8)).</p>	<p>4.31), თუმცა არ არსებობს EU-CEG- ის ანალოგიური ელექტრონული ბაზა. ბაზარზე მიდევნება ხდება მხოლოდ აქციზური მარკით, რაც არ იძლევა ინფორმაციის დროულად წარმოდგენის შემოწმების საშუალებას. თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობის ანალიზი, ბაზარზე არსებული პროდუქტის მონიტორინგი და ლაბორატორიული კვლევები არ ხდება.</p>	<p>ით მოთხოვნილი სისტემური მექანიზმები. არ არსებობს ელექტრონული მონაცემთა ბაზა, არ ხორციელდება აქტიური მონიტორინგი, ხოლო მიკვლევადობი ს სისტემა აქციზური მარკით შემოიფარგლებ ა, რაც ვერ უზრუნველყოფ ს თამბაქოს ახალი ნაწარმის ბაზარზე კონტროლის მაღალ დონეს.</p>	<p>განთავსდეს კანონმდებლობი ს შეუსაბამო, ჯანმრთელობის თვის საშიში (მაგ., მაღალი ნიკოტინის შემცველობის) თამბაქოს ახალი ნაწარმი. ასოცირების შეთანხმების გათვალისწინებ ით, TPD-სთან შესაბამისობისთ ვის აუცილებელია EU-CEG-ის მსგავსი ელექტრონული შეტყობინების სისტემის დანერგვა და მიკვლევადობის სისტემის სრულად ჰარმონიზაცია.</p>
--	--	---	---	--	--	---

	<p>5.2. ბაზარზე არსებული ნაწარმის ტესტირება და ანალიზის მეთოდები</p>	<p>ჩარჩო კონვენცია ავალდებულებს მხარეებს, დააწესონ მოთხოვნები თამბაქოს ნაწარმის შემადგენლობისა და გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვისა და მონიტორინგისთვის (მუხ. 9, 10). გაზომვები უნდა განხორციელდეს COP-ის მიერ დამტკიცებული მეთოდებით. ეს მოთხოვნა სრულად ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის შემოწმებაზეც (COP8(22); COP7(13)).</p>	<p>TPD მოითხოვს, რომ თამბაქოს ნაწარმის (მ/შ HTPs) შემადგენლობის და გამოფრქვეული ნივთიერებების გაზომვა (კუპრი, ნიკოტინი, CO) განხორციელდეს ჰარმონიზებული ISO სტანდარტების შესაბამისად (მუხ. 4(1)). ტესტირება უნდა ჩატარდეს თამბაქოს ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი, ქვეყნების მიერ დამტკიცებული ლაბორატორიების მიერ (მუხ. 4(2)).</p>	<p>ბაზარზე არსებული ნაწარმის ტესტირება არ ხდება. არ არსებობს ეროვნულ დონეზე დადგენილი ანალიზის სტანდარტიზებული მეთოდები.</p>	<p>არსებითი შეუსაბამობა: აქართველო ვერ აკმაყოფილებს ჩარჩო კონვენციისა და TPD-ის მოთხოვნებს, რომლებიც ითხოვს პროდუქციის შემადგენლობისა და გამოფრქვეული ნივთიერებების სტანდარტიზებულ გაზომვას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია TPD-ის მოთხოვნა ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი</p>	<p>ტესტირებისა და სტანდარტიზებული მეთოდების არარსებობა ქმნის უკონტროლო გარემოს HTPs-ისა და ელექტრონული სიგარეტისთვის\$. ჰარმონიზაციისთვის აუცილებელია სავალდებულო, სტანდარტიზებული ტესტირების დანერგვა და ინდუსტრიისგან დამოუკიდებელი ლაბორატორიების შექმნა, მონაცემთა სანდოობის</p>
--	--	--	--	--	--	--

					ლაბორატორიე ბზე, რაც საქართველოს კანონმდებლობით საერთოდ არ არის გათვალისწინებული.	უზრუნველსაყოფად.
5.3. აღსრულებ აზე პასუხისმგებელი უწყების მანდატი	ჩარჩო კონვენცია ითხოვს კანონის ეფექტიან აღსრულებასა და თანამშრომლობას (მუხ. 21, 22). ეს გულისხმობს პასუხისმგებელი უწყების ზუსტ განსაზღვრას და მისთვის საკმარისი სამართლებრივი უფლებამოსილების მინიჭებას (ინფორმაციის მოთხოვნა, ინსპექტირება, დაჯარიმება). COP-ის	TPD არ განსაზღვრავს ერთ კონკრეტულ უწყებას, მაგრამ ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, მკაფიოდ განსაზღვრონ პასუხისმგებელი ორგანოები კანონმდებლობის (შეტყობინების, მარკირებისა და რეკლამის აკრძალვის) აღსრულებაზე (მუხ. 26). ეს უწყებები უნდა იყვნენ	საქართველოს კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავს აღმასრულებელ უწყებებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი სამართლებრივი მანდატი (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის საფუძველზე) თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის ყველა ძირითადი	სრული შესაბამისობა: აქართველო სრულად შეესაბამება ჩარჩო კონვენციის მოთხოვნებს პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრასა და მათთვის ადეკვატური მანდატის მინიჭებაზე. ეს მიდგომა აკმაყოფილებს TPD-ის მოთხოვნასაც,	მკაფიო მანდატის არსებობა უზრუნველყოფს კანონის აღსრულებას.	

		გადაწყვეტილებით (მაგ., COP8(22)) ეს მანდატი უნდა მოიცავდეს HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის კონტროლის ყველა ასპექტს.	აღჭურვილი შესაბამისი უფლებამოსილებები თა და რესურსებით.	აკრძალვის აღსრულებისთვის. ეს მოიცავს როგორც ტრადიციული თამბაქოს, ასევე HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტების რეგულაციების ზედამხედველობას ა და სანქცირებას.	მათ შორის HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტების რეგულირების ზედამხედველობისთვის.	
	5.4.სანქციების შესაბამისობა დარღვევის სიმძიმესთან	ჩარჩო კონვენციის სახელმძღვანელო მითითებები (მაგ., მუხ. 13) მოითხოვს, რომ სანქციები იყოს ეფექტური, შემაკავებელი და პროპორციული. სანქციების ღირებულება უნდა აღემატებოდეს კანონის დარღვევით მიღებულ ეკონომიკურ სარგებელს. ეს	TPD-ის მუხ. 26 (აღსრულება და სანქციები) ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს, დაადგინონ სანქციები, რომლებიც უნდა იყოს: ეფექტური, პროპორციული და შემაკავებელი (მუხ. 26). სანქციების ზომა უნდა იყოს საკმარისად მაღალი, რათა არ მიეცეს	საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს ფულად ჯარიმებს თამბაქოს კონტროლის კანონის (მ/შ თამბაქოს ახალი ნაწარმის რეგულირების) დარღვევისთვის. თუმცა სანქციები ფიქსირებულია და არის პირდაპირ	ნაწილობრივი შესაბამისობა: ქართველო შეესაბამება ჩარჩო კონვენციის მოთხოვნას სანქციების არსებობაზე (ახალ ნაწარმზეც). თუმცა, შემაკავებელი ძალის თვალსაზრისით,	ფიქსირებული, დაბალი ჯარიმები ქმნის სტიმულს, რომ მსხვილმა კომპანიებმა რეგულარულად დაარღვიონ კანონი (მარკეტინგული სარგებელი > ჯარიმა). ჩარჩო კონვენციის მითითებებთან შესაბამისობისთვის, საჭიროა

		<p>მოთხოვნა ვრცელდება HTPs-სა და ელექტრონული სიგარეტის რეგულაციების დარღვევაზე (COP8(22); COP7(13)).</p>	<p>ინდუსტრიასსტიმული, განიხილოს ჯარიმა, როგორც მარკეტინგის ხარჯი. HTPs და ელექტრონული სიგარეტის დებულებების დარღვევებზე სანქციები უნდა მოიცავდეს ზომებს, როგორცაა პროდუქტის ბაზრიდან ამოღება ან განადგურება (მუხ. 20; მუხ. 26).</p>	<p>დაკავშირებული დარღვევით ინდუსტრიის მხრიდან მიღებულ ეკონომიკურ სარგებელთან. საშუალოდ, სანქციის ოდენობა 5000 ლარია.</p>	<p>ფიქსირებული ჯარიმები არ არის პროპორციული კომპანიების მოგებასთან. შესაბამისად, ჩარჩო კონვენციის მოთხოვნა (ჯარიმა > ეკონომიკური სარგებელი) სრულად არ სრულდება.</p>	<p>სანქციების დიფერენცირება (ბრუნვიდან გამომდინარე), რათა სანქციას ჰქონდეს რეალური, შემაკავებელი ძალა.</p>
<p>6. ცნობიერების ამაღლება და კვლევების განხორციელება</p>		<p>ჩარჩო კონვენცია ავალდებულებს მხარეებს განახორციელონ განათლების, კომუნიკაციისა და საჯარო ცნობიერების ამაღლების პროგრამები (მუხ.12). იგი ასევე</p>	<p>TPD პირდაპირ არ მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამებს. აქცენტი კეთდება ბაზრის მუდმივ მონიტორინგზე (მუხ.20(8)), ტოქსიკოლოგიური მონაცემების შეგროვებაზე (EU-</p>	<p>თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა (2021-2025) ითვალისწინებს: ა) საინფორმაციო კამპანიების განხორციელებას</p>	<p>ნაწილობრივი შესაბამისობა: ჩარჩო კონვენციის საბაზისო მოთხოვნები (საინფორმაციო კამპანიები და კვლევა) დაკმაყოფილებულია. თუმცა,</p>	<p>კვლევის ბიუჯეტის დონორებზე დამოკიდებულება ქმნის მდგრადობის რისკს და აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ კვლევების უწყვეტობას.</p>

		<p>ავალდებულებს შექმნან ეროვნული პროგრამები მონიტორინგისთვის, კვლევისა და მონაცემთა შეგროვებისთვის (მაგ.: გავრცელების კვლევები, შედეგების შეფასება) და ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობას (მუხ.20).</p>	<p>CEG) და ამ ინფორმაციის საჯარო ხელმისაწვდომობაზე (მუხ. 5(4), 20(8)), რაც ირიბად ემსახურება კვლევას. დირექტივა ითვალისწინებს ელექტრონული სიგარეტის არასასურველი ეფექტების ანგარიშგების ვალდებულებას (მუხ.20(10)).</p>	<p>(ბიუჯეტი 500,000 ლარი, სახელმწიფო დაფინანსებით) და ბ) ეროვნული კვლევების ჩატარებას ჯანმოს სტანდარტებით. კვლევის ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი (1,500,000 ლარი) დამოკიდებულია დონორების დაფინანსებაზე, ხოლო სახელმწიფო თანამონაწილეობა მინიმალურია (100,000 ლარი).</p>	<p>არსებობს შეუსაბამობა TPD-სთან (მუხ. 20(8)), რადგან არ არსებობს ვალდებულება ელექტრონული სიგარეტის ბაზრის განვითარების აქტიურ მონიტორინგზე .</p>	
--	--	---	--	--	---	--

შენიშვნა:

პოლიტიკის ანალიზის მიზნებისთვის, ცხრილის სათაურში ნახსენები ტერმინი „თამბაქოს ახალი ნაწარმი“ მოიაზრებს გასახურებელ თამბაქოს (HTPs) და ელექტრონულ სიგარეტს. ცხრილში მოცემული პოლიტიკის მიმართულებები გაანალიზებულია სწორედ ამ ორი ნაწარმის კონტექსტში.

ცხრილში მოყვანილი დებულებები არის პერიფრაზირებული და არა პირდაპირი ციტატები. პერიფრაზირების მიზანია ტექსტის წაკითხვადობის გაუმჯობესება, თუმცა შენარჩუნებულია დებულებების იგივე იურიდიული შინაარსი და სიზუსტე.

შესაბამისობის შეფასება მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: სრული შესაბამისობა, ნაწილობრივი შესაბამისობა, არსებითი შეუსაბამობა.

გამოყენებული ლიტერატურა

- ალკოჰოლის, თამბაქოსა და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების შემსწავლელი ევროპის სკოლების კვლევის პროექტი ESPAD (2019) საქართველო. ხელმისაწვდომია: <https://test.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=ad6b0c64-cc1f-4193-a5e6-aa8b83d42c18>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. (2014). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- გამოცდილების შემდეგი საფეხური, TEREА-ს შესახებ. IQOS.com. ხელმისაწვდომია: <https://ge.iqos.com/ka/products/terea>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- თამბაქოს კონტროლის პოლიტიკის საინვესტიციო შემთხვევა (საქართველო). 2018. ხელმისაწვდომია: <https://www.undp.org/publications/investment-case-tobacco-control-georgia>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025. (2021). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5192453?publication=0>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- თამბაქოს კონტროლის სახელმწიფო სტრატეგია 2021-2025-ის განხორციელების სამოქმედო გეგმა 2024-2025. (2023). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6032084?publication=0>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.
- საქართველოს კანონი თამბაქოს კონტროლის შესახებ. (2010, კონსოლიდირებული ვერსია 28.05.2025) ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1160150?publication=12>, ბოლოჯერ ნანახია: 16.11.2025.

საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ. (1998, კონსოლიდირებული ვერსია 13.12.2024).

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/31840?publication=34>, ბოლოჯერ ნანახია:16.11.2025.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ. (2004). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.

ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32866?publication=82>, ბოლოჯერ ნანახია:16.11.2025.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი. (1984, კონსოლიდირებული ვერსია 12.06.2025). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=597>, ბოლოჯერ ნანახია:16.11.2025.

საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ (27/06/2024, №4361). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/6206030?publication=0>, ბოლოჯერ ნანახია:16.11.2025.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N257 საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი თამბაქოს ნაწარმისა და მისი შეფუთვის სტანდარტიზების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ. (2022, კონსოლიდირებული ვერსია 11.07.2025). საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/document/view/5465340?publication=0>, ბოლოჯერ ნანახია:16.11.2025.

საქართველოს მთავრობის დადგენილება N150 საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ფილტრიანი და უფილტრო სიგარეტებისგან (გარდა გასახურებელი თამბაქოსი) გამოფრქვეული ნივთიერებების (ნიკოტინის, კუპრის, მხუთავი გაზის) ზღვრულად დასაშვები ნორმების, მათი გაზომვისა და რეგულირების წესებისა და საქართველოში სარეალიზაციოდ განკუთვნილი ელექტრონული სიგარეტის ან სხვა მსგავსი მოწყობილობის ნიკოტინის შემცველი მასალის/კარტრიჯის/კაფსულის/კონტეინერის მოცულობის, მასში ნიკოტინის შემცველობის ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის ადგილებში, ასევე კოლოფსა/ბლოკსა და შეფუთვაზე

